გუბას სანიკიძე
ლევან სანიკიძე

უბის ისტორია

1

ქართული ბასილოგრაფია

(ეფეთა ნუსხა)

გამომცემლობა „საბჭოთა“
თბილისი · 1992 წელი

63.3(2ს)
ს263

ეს წიგნი პირველი ნაწილია მკითხველისათვის შუღმივ საშახსოვრო-საცნობარიოდ მოკლედ ნათქვამი, „უბით“ თუ „გულისჯიბით“ საჭარებული მშობლიური ისტორიისა.

ავტორთა ჩანაფიქრით, „უბის ისტორიათა“ სერიით, „ქართულ ბიბლიოგრაფიას“, ანუ ქართველ მეფეთა ნუსხას, უნდა მოჰყვეს:

„ქართული ბიტალიოგრაფია“ (ქართველთაგან გადახდილ ბრძოლათა ნუსხა),

„ქართული ქრონიოგრაფია“ (საქართველოს მნიშვნელოვან წელთა ნუსხა),

„ქართული პერსონოგრაფია“ (ქართველ საისტორიო პიროვნებათა ნუსხა).

© გამომცემლობა „საბჭოთა

1. იბერია-ქართლის მეფენი

ფარნავაზი პირველი დიდი ქართველი ხელმწიფეს საქართველოს პირველი გაერთიანებული ქრისტეს წინარე IV-III საუკუნეთა მიჯნაზე. იგი მცხეთის მამასახლისის, ხამარას ძისწული (მამის სახელი ცნობილი არ არის). ფარნავაზი სამი წლისა იქნებოდა, როცა პონტოდან („საბერძნეთიდან") ძლიერი ლაშქრით მოვიდა აზონი (ალბათ, პონტელი ქართველი. მეიჩნევდნენ ალექსანდრე მაკედონელის სარდლად), რომელმაც მოჭრა ხამარაც და მისი ძმაც (ფარნავაზის მამა) და თვითონ დაიდგა ხმელეთი ტახტი მცხეთაში. ერმა ფარნავაზი ლეღამ მთაში გახიზნა და იქ გაზარდა. ვაჟკაცობაში ყველზე გამოჩენილი ფარნავაზი. ლეღასთან ერთად, მცხეთაში დაბრუნდა და შეუდგა საიდუმლო ხმლადის აზონის ძალაუფლების დასამხობად. მან კავშირი შეკრა დასავლეთ საქართველოს, ეგრისის მთავარ ქუჯასთან და შეერთებული ძალებით, დაამხეს აზონის ბატონობა. თვითონ აზონი ბრძოლაში დაიღუპა. მცხეთაში მეფედ დაჯდა ფარნავაზი. აქედან იწყება ფარნავაზიანთა დინასტიის ისტორია. გამეფებისთანავე ფარნავაზი შეუდგა დიდ რეფორმატორულ და აღმშენებლობით საქმიანობას. გააერთიანა ხრეულად სასაქართველო და დაჰყო იგი საერისთავოებად, სათავეში ერისთავებით. ხულ იყო რვა საერისთავო: არგვეთი, კახეთი, ხუნანი, სამშვილდე, წუნდა, ძარხე, კლარჯეთი და ეგრისი. ხელახლა ააშენა, ახალი კედელ-გალავნებით და ციხე-კოშკებით გააძაგრა, განამტკიცა მცხეთა და მისი აკროპოლისი არმაზ-ციხე, იქვე აღმართა ხალოკავი კერპი არმაზი. აღადგინა და ააშენა ყველა სხვა ციხე-სიმაგრე, რომელიც მანამდე დაენგრია მტრის შემოსევას, თუ სტიქიურ უბედურებას.

დასავლეთ საქართველოში ააშენა ახალი ციხე-სიმაგრენი — შორაპანი და დიმნა (დიმი). მისმა თანამებრძოლმა, ეგრისის ერისთავმა ქუჯიმ აღაშენა ქალაქი ციხე-გოჯი. ფარნავაზის სახელთან დაკავშირებულია უდიდესი კულტურულ-საგანმანათლებლო რეფორმა — ქართული დამწერლობისა და მწიგნობრობის დაფუძნება („ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული"), გამეფდა 27 წლისა, იმეფა და იღვაწა 65 წელიწადი, აღესრულა 92 წლისა. დაკრძალეს არმაზს.

საურმაგ I — ფარნავაზის ძე, მეფე მამის შემდგომ, ქრისტეს წინარე III საუკუნეში. ერისთავები აუჯანყდნენ. საურმაგმა კავკასიონის გადაღმიდან ოვსებს და დურძუკებს მოუხმო და მათი დახმარებით ჩაახშო აჯანყება.

მირიან I — საურმაგის ძე (ფარნავაზის შვილიშვილი), მეფე მამის შემდგომ, ქრისტეს წინარე III საუკუნის ბოლოს. მის დროს ჩრდილოეთიდან კახეთს შემოესივნენ დურძუკნი და ჭართალელნი. მირიანმა ისინი სასტიკად დაამარცხა, დარიალის კარი გაიარა, დურძუკეთი და ჭართალი დაიმორჩილა, დარიალის გადმოსასვლელნი ქვის ციხე-ზღუდეებით ჩაჭკეტა და ჩარაზა.

ფარნაჯომი — მირიან I-ის ძე, ქართლის მეფე ქრისტეს წინარე III-II საუკუნეთა მიჯნაზე. გააძლიერა და განამტკიცა მცხეთა და ქართლის სხვა ციხე-ქალაქნი. კახეთში ააშენა ნეკრესი, ზადენის მთაზე — ციხე ზადენი, იქვე აღმართა კერპი ზადენ. შეუდგა სპარსულ ცეცხლთაყვანისმცემლობას. მცხეთაში სპარსელი მოგვები (ქურუმები) მოიყვანა და ხალხშიც სპარსული რელიგიის გავრცელებას აპირებდა, მაგრამ ერისთავები აუჯანყდნენ და მეფე ბრძოლაში დაიღუპა.

არსოკ I — ქართლის მეფე, ქრისტეს წინარე II საუკუნეში.

არტაბი — ქართლის მეფე ქრისტეს წინარე I საუკუნის პირველ ნახევარში. მის დროს, ქრ. წ. 65 წელს, იბერია-ქართლში პირველად შოვიდნენ რომაელები, გნეუს პომპეუსის სარდლობით. რომაელებმა აიღეს არმაზ-ციხე. არტაგმა არმაზიდან მცხეთას გადამავალი ხიდი

დასწვა მტკვარზე. გაიმართა საზავო მოლაპარაკება. არტაგმა ხიდი აღადგინა. რომაელები მცხეთას გადაეიდნენ. არტაგი პომპეუსს აღარ ენდო და არაგვისაკენ წარემართა. რომაელები მიჰყვნენ. ქართველებმა რომაელებს ძლიერი პარტიზანული ბრძოლები გაუმართეს. უღრან ტყეებში უსაფრდებოდნენ, ისარს უშენდნენ, მოულოდნელი თავდასხმებით სისხლს აქცევინებდნენ. რომაელებმა ტყეების გაჩეხვა და ცეცხლის წაკიდება დაიწყეს. დახოცილ მეომარ ქართველთა შორის ბევრი ქალის გვამიც აღმოჩნდა. არტაგი ზავზე დათანხმდა. იგი იძულებული შეიქნა პომპეუსისთვის მძევლებად თავისი ორი ძე მიეცა, მასთან მდიდარი ძღვენიც მიერთმია - ოქროს ტახტი, ოქროს მაგიდა და ოქროს სარეცელი. ამიერიდან იბერია-ქართლი რომის იმპერიის მფლობელობაში შევიდა „რომაელი ხალხის მოკავშირისა და მეგობრის“ სტატუსით; მაშასადამე, საკუთარი მეფობით, ავტონომიით, შინაურ საქმეებში ჩაურევლობით.

ფარნავაზ II, ანუ **ბარტომ**, – არტაგის ძე, ქართლის მეფე ქრისტეს წინარე I საუკუნის შუა წლებში. მან „უმატა ზღუდეთა მცხეთისათა და ყოველთა სიმაგრეთა ქართლისათა“. მის დროს, ქრ. წ. 36 წელს, რომაელებმა მეორედ და უკანასკნელად ილაშქრეს საქართველოში. ფარნავაზ II კვლავ შეურიგდა „რომაელი ხალხის მოკაშირეობას და მეგობრობას“.

მირიან II - ქართლის მეფე ქრისტეს წინარე I საუკუნის მეორე ნახევარს. „ნებიერად მეფობდა მცირედ-ჟამ და მოკუდა“.

არსოკ II – ქართლის მეფე ქრისტეს წინარე I საუკუნის ბოლოს.

მირდატ I, ანუ **ადერკი** – გამეფდა ქრისტეს დაბადების წელს. მან ხელახლა გააერთიანა სრულიად საქართველო - „ყოველი ქართლი და ეგრისი“. მის დროსვე აწამეს იესო ქრისტე, ხოლო ქრისტეს კვაროი ელიოზ მცხეთელმა და ლონგინოზ კარსნელმა გოლგოთიდან ჩამოიტანეს მცხეთას და აქვე დაკრძალეს. მაშინ

ძოვალენ. აგრეთვე ქრისტეს მოწაფენი — ანდრია პირველწოდებული და სიმონ კანანელი, ქრისტიანობის ქადაგებით საქართველოში. თვითონ მირდატ I ქრისტიანობის მოძულე და მტერი აღმოჩნდა. იგი ღრმად განარისხა დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში კერპების მსხვრევამ და ქრისტიანობის გავრცელებამ. სამეგრელოში ქრისთაფები გაგზავნა ჯარით, ჯვრები და ხატები აალებინა, ქრისტიანობა აკრძალა და ხალხი ისევ წარმართობაზე შეაბრუნა.

ფარსმან I - ქართლის მეფე ქრისტეს შემდგომი I საუკუნის პირველ ნახევარში. მის დროს რომი, პართია და იბერია (ქართლი) იბრძოდნენ ხიმრეთის ტახტის დაუფლებისთვის. ფარსმანმა ჯერ თავისი ძმა მირდატი გაამეფა ხიმრეთში (35 წელს). რამდენიმე შეტაკება პართიელებთან ფარსმანის გამარჯვებით დასრულდა. უკანასკნელ დიდ ბრძოლაში მან პართიელებიც გაანადგურა და მათი ხარდალიც, მეფის ძმა ორიდი ორთაბრძოლაში მძიმედ დაჭრა. მერე ფარსმანმა ხიმრეთში თავისი ძე, რადამისტი გაგზავნა გასამეფებლად. რადამისტმა მირდატი მოკლა და ხიმრეთის ტახტი თვითონ დაიჭირა.

მირდატ II - ფარსმან I-ის ძე, ქართლის მეფე ქრ. შ. I საუკუნის 70-80-იან წლებში. მის დროს რომაელი კეისარ-იმპერატორები (ფლავიუსების დინასტია) ქართველებთან „დიდ მეგობრობასა და ხელგარეულში“ იყვნენ. 75 წელს რომის იმპერატორმა ვესპასიანემ და მისმა შვილებმა (ტიტუსი და დომიციანე) მირდატს მცხეთაში ქვის კედელი გაუმაგრეს. ამის შესახებ იუწყება წარწერა მცხეთაში ნაპოვნ ქვის კედელზე.

ძარიანი — ქართლის მეფე ქრისტეს შემდგომ II საუკუნის დამდეგს.

ფარსმან II ძველი — ქართლის მეფე II საუკუნის პირველ ნახევარში, „კაცი კეთილი და უხვად მიმნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართებელი ბრძოლისა, უშიში ყოთარცა უხოცარი“. 114 წელს,

რომის დიდმა იმპერატორმა ტრაიანემ ფარსმანს დიდძალი ძღვენი გამოუგზავნა და, როგორც მოკავშირე-მეგობარს, პართიის წინააღმდეგ ხალმარი დახმარება სთხოვა. ფარსმანმაც გაუგზავნა ტრაიანეს ქართული ჯარი. ტრაიანეს შემდგომ კეისარ-იმპერატორთან, ადრიანესთან, ფარსმანს პირველად განხეთქილება ჰქონდა. ქართველმა მეფემ ჯარები შეიყვანა ჯერ ხომხეთში. შემდეგ ალბანეთსა და კაპადოკიაში და სამივე ამ ქვეყნიდან გაიძეა რომაელები. ადრიანემ ფარსმანს მოსთხოვა რომში გამოცხადებულიყო. ფარსმანმა ცივი უარი შეუთვალა. ადრიანე იძულებული გახდა დაეთმო. მან ფარსმანს გამოუგზავნა იმდენი ძღვენი, არავისთვის არასოდეს რომ არ უბოძებია; ამ საგანგებო ძღვენს კი ადრიანემ საჩუქრად 50 ლეგიონერი-მეომარი და ერთი სპილოც გამოაყოლა. ფარსმან ქველის სიძლიერეს განსაკუთრებული სიფრთხილითა და პატივით ეპყრობოდა იმპერატორი ანტონინუს პიუსი, რომელმაც ქართველი მეფე, თავისი ოჯახით, საგანგებოდ მიიწვია რომში. რამდენიმე დღის ღრეობა-ნადიმობის შემდგომ, ფარსმანმა და მისმა ქართულმა ამალამ რომაელების აზვენა ცხენოსნური ჯირითი. შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. იმპერატორის ბრძანებით. მარსის მოედანზე აღმართეს ცხენზე ამხედრებული, მოჯირითე ქართველი მეფის ქანდაკება. ანტონინუს პიუსმა სცნო ფარსმან ქველის სამეფოს საზღვრები: ტრაპეზუნიდ-ლაზეთის ზაზიდან მტკვრის ქვემო წელამდე და კავკასიონიდან არაქსამდე. პართიელთა მეფე ვოლოგეზ III ვერ ურიგდებოდა ქართლის ესოდენ გაძლავრებას. ამიტომ იგი ეხმარებოდა ფარსმანის მოწინააღმდეგეებს მცხეთის სახახლის კარზე. ასეთი მოიტერე ჰყავდა ფარსმანს მისი ბიძაშვილი მირდატი. ვოლოგეზმა მირდატს რამდენჯერმე მისცა ჯარი ფარსმანის დასამხობად, მაგრამ ფარსმანმა ყველა ბრძოლა მოიგო. ბოლოს, მოღალატეებმა ფარსმანის მოწამეს და მოკვლა მოახერხეს.

მირდატ III ფარსმან II ქველის ბიძაშვილი, ქართლის

ტახტის მაძიებელი. II საუკუნის შუა წლებში, პართიის მეფის, ვოლოგეზ III-ის მოკავშირე და მოყვარე (ცოლად ვოლოგეზის ბიძაშვილი ჰყავდა). რამდენჯერმე პართიელთა ჯარებით სცადა ფარსმანის ჩამოგდება ტახტიდან, მაგრამ ყოველთვის მარცხი განიცადა. მერე ფარსმანი მოაწამლინა და გამეფებასაც მიაღწია. მაგრამ დიდხანს ვერ იმეფა. მისმა მოწინააღმდეგეებმა, ქართლის ჯარებს გარდა, დასავლეთ საქართველოდან მეგრელთა ლაშქარი მოიხმეს. ლიახვთან გამართულ დიდ ბრძოლაში პართიელები განადგურდნენ. მირდატიც ამ ბრძოლაში დაიღუპა.

ქსეფარნუგი - ქართლის მეფე II საუკუნის ბოლოს.

ადამი (ადამი) - ფარსმან II ქველის ძე, ქართლის მეფე III საუკუნის დამდეგს (ქსეფარნუგის შემდეგ). გამეფებიდან მხოლოდ სამი წელი იცოცხლა. დარჩა ერთი წლის ძე, ფარსმანი (შემდგომში ფარსმან III). ტახტის მემკვიდრის გაზრდამდე ქართლს განაგებდა ადამის დედა, ფარსმან ქველის ქვრივი, დედოფალი ღადანა.

ფარსმან III - ადამის ძე, ფარსმან II ქველის შვილიშვილი, III საუკუნის პირველი ნახევარი. ადამს იგი ერთი წლისა დარჩა. გაზარდა და ტახტზე დასვა ბებია-დედოფალმა ღადანამ (ფარსმან ქველის მეუღლემ). ფარსმან III წარმატებით ინარჩუნებდა უკვე კარგა ხნის ტრადიციად დადგენილ ქართლის პირველობას წინა აზიაში.

ამაზასპი - ძე ფარსმან III-ისა, ქართლის მეფე III საუკუნის შუა წლებში. სპარსეთის მეფე შაბურ I-მა ამაზასპს მოსთხოვა რომაელებს გადაუდექ და მე შემოგიერთდეთ. ამაზასპმა ცივი უარით უპასუხა. ამ დროს ოვსთა ლაშქარი შემოიჭრა ჩრდილოეთიდან. ამაზასპმა ისინი სასტიკად დაამარცხა. მერე თვითონ გადავიდა ოსეთში და დაიმორჩილა იგი. რომი კი „მოკავშირე-მეგობრის“ პირობას არ ასრულებდა. ამიტომ ამაზასპმა რომს ზურგი აქცია და სპარსეთთან კავშირი შეკრა. მეფის ასეთმა პოლიტიკამ ქართველთა

ბანაკი ორად გათიშა. ქრისთავთა უმეტესობა მეფეს განუდგა და გაუძღვრდა. დასახმარებლად მოუხმეს რომაელებს, სომხებს და ოვსებს. ამაზასპმაც სპარსეთიდან მოირთო ძალები. გუთისხევთან გამართულ დიდ ბრძოლაში სპარსელები დამარცხდნენ და მეფე ამაზასპიც იქვე დაიღუპა.

რევ I მართალი – ამაზასპ მეფის დისწული, ქართლის მეფე III საუკუნის 70-იან წლებში. რეგმა წინა მეფის სპარსულ ორიენტაციაზე ხელი აიღო და რომაელთა „კავშირ-მეგობრობას“ დაუბრუნდა. მან ცოლად შეირთო წარჩინებული ბერძენი ქალი სეფელია, რომელმაც თან მოიტანა და მცხეთის თაღზე აღმართა კერპი აფროდიტესი. თვითონ მეფეც კერპთაყვანისმცემელი იყო, მაგრამ შემწყნარებლობას იჩენდა ქრისტიანული რელიგიის მიმართაც. რეგი იყო დიდსულოვანი, გულმოწყალე და სამართლიანი, და ხალხმაც ამის გამო შეარქვა მას „მართალი“.

ვარე – ქართლის მეფე III საუკუნის 80-იან წლებში (რეგის შემდგომ).

ბაკურ I – ქართლის მეფე III საუკუნის ბოლოს (ვარეს შემდგომ).

მირდატ IV – ქართლის მეფე III საუკუნის ბოლოს (ბაკურის შემდგომ).

ასფაგუშა – ქართლის მეფე, მირდატ IV-ის შემდეგ, III-IV საუკუნეთა მიჯნაზე. ასფაგუშას წამოუწყია უჯარმის ციხე-ქალაქის მშენებლობა.

რევ II – ქართლის მეფე, ასფაგუშის შემდეგ, IV საუკუნის დამდეგს.

მირიან III – ქართლის დიდი ხელმწიფე IV საუკუნის პირველ ნახევარს. მის დროს მოვიდა კაპადოკიიდან წმინდა ნინო, დაიმსხვრა წარმართული კერპები, ქრისტიანობა გამოცხადდა სახელმწიფო რელიგიად, მოინათლა ხალხი, მეფე და მისი სახლობა (325-335 წლებს შორის), მცხეთაში აშენდა პირველი ქრისტიანული ეკლესია

„სვეტიცხოველი“. საქართველო მტკიცედ დაუკავშირდა ქრისტიანულ ბიზანტიას. მტკიცე კავშირი და მეგობრობა დამყარდა მირიანსა და ბიზანტიის (რომის) კეისარ კონსტანტინეს შორის. მირიანი დაკრძალულია მისგანვე დაარსებულ სვეტიცხოველში.

ბაქარი – ძე მირიან III-ისა, ქართლის მეფე IV საუკუნის შუა წლებში. უფლისწულობის ჟამს იგი კეისარ კონსტანტინეს მძევლად ჰყავდა კონსტანტინოპოლში, ხოლო როცა ქართლმა ქრისტიანობა მიიღო, კეისარმა ბაქარი დიდი ძღვნით და პატივით გამოისტუმრა მცხეთას. გამეფების შემდგომ, ბაქარი წარმატებით განაგრძობდა ქართლის გაქრისტიანებას: „იმან მოიქცევნა უმრავლესნი კავკასიანნი, რომელნი ვერ მოექცევნეს მამასა მისსა“. ბაქარის დროს ხიმხეთში ნახარარები (წარჩინებულნი) აუჯანყდნენ მეფე არშაკ II-ს. არშაკი საქართველოში მოვიდა და დახმარება ითხოვა. ბაქარმაც გაატანა ქართული ჯარი. ხიმეხთა მეფემ შინა-აჯანყება ჩააქრო.

მირდატ V – ბაქარის ძე, მირიან III-ის შვილიშვილი, ქართლის მეფე IV საუკუნის 60-იან წლებში. მან პირველმა დაიწყო ფართო საეკლესიო მშენებლობა სამხრეთ საქართველოში – კლარჯეთში, ერუშეთში, წუნდაში, თუხარისში. მირდატის ბრძანებით სვეტიცხოველში „ცხოველ სვეტს“ ნაწილი ჩამოაჭრეს და მისგან ჯვარი გამოკვარითეს; თვითონ სვეტი გარშემო, ფუძიდან კაპიტელამდე, ქვითკირით შემოსეს და მის ზეთავზე აღმართეს „ჯუარი იგი, ძელი განმაცხოველებელი“.

ხაშრამაბ II – ქართლის მეფე, მირდატ V-ის შემდგომ, IV საუკუნის 70-იან წლებში. მის დროს სპარსეთის მეფე შაბურ II შემოესია ქართლს. საურმაგმა ტახტი დათმო. შაბურმა ქართლის მეფედ დასვა საურმაგის ნათესავი ვარაზ-ბაკური. საურმაგმა ბიზანტიის კეისარ ვალენტის თორმეტი ლეგიონი გამოართვა და მცხეთას მოადგა. ვარაზ-ბაკური საურმაგს დაუზავდა. ქართლი ორად გაიყვეს: მტკვრის მარჯვენა მხარეს საურმაგი გამეფდა, მარცხენას – ვარაზ-ბაკური.

ვარაზ-ბაკური საერისთავო II-ის ნათესავი და ქართლის მეფეობის მეტოქეები, IV საუკუნის 70-იან წლებში მეფეობდა მტკვრის მარცხენა მხარეს.

ფარსმან IV ბიზანტიაში ფარსმან იბერიელის სახელით ცნობილი, ძე ვარაზ-ბაკურისა, კაცი ნიჭიერი და მხედრული ხასიათით ღიღად აღმატებული, ტანად ახოვანი და პირად სახიერი. დიდი პატივით სარგებლობდა კეისარ არკადიუსის (395-408) კარზე. რიცა იმპერიის მთავარსარდლის პოსტზე ორი კანდიდატი იყო ქართველი ფარსმანი და გერმანელი გაინა იმპერატორი ქართველის მხარეზე იხრებოდა, მაგრამ ხვეულად მაძინ არკადიუსს შეატყობინეს, რომ ფარსმანი და ღელოფალი ეკლიქსია ერთმანეთის გამიჯნურებიანო. ფარსმანმა ძლივს დაიხსნა თავი ხიკვლილისაგან: ეკლიქსიამ მას მაცნედ და მაშველად გუგზავნა კოლხი ხუბარმახითი. ფარსმანი კონსტანტინოპოლიდან გამოიქცა, მცხეთას მივიდა და მალე კიდეც გახელმწიფდა. იმეფა თორმეტი წელი (400-412). კონსტანტინოპოლთან მტრობა არკადიუსის ხიკვლილამდე გაგრძელდა. ფარსმანი მცირე ანიაში ხმირად თავს ესხმოდა რომის ხამფლეობელებს. არკადიუსის ხიკვლილის (408 წ.) შემდეგ მცხეთასა და კონსტანტინოპოლს შორის მეგობრული ურთიერთობა აღდგენილ იქნა.

ბუზმარი ქართლის მეფე 412-430 წლებში, ფარსმან V-ის შემდეგ. ბიზანტიის კეისარი თეოდოსი II და სპარსეთის მეფე იეზდიგერდ I ეძალებოდნენ ბუზმარს „კავშირ-მეგობრობის“, თან ერთადერთ ძეს, ძურვანოსს (შემდგომში ხახელოვანი პეტრე იბერიელი) მძევლად ითხოვდნენ. ბოლოს და ბოლოს, ბუზმარმა ბიზანტია არჩია და ძურვანოსი მძევლად თეოდოსის გუგზავნა კონსტანტინოპოლში.

არჩილ I ქართლის მეფე ბუზმარის შემდგომ 430 წლიდან. განიოქმული პეტრე იბერიელის ბიძად ეკუთვნოდა. არჩილი გამეფებისას უკვე ღრმად მოხუცი იყო და დიდხანსაც ალარ უცოცხლია.

მირდატ VI - არჩილის ძე, ქართლის მეფე, მაჩაბლის, არჩილის შემდეგ (V საუკუნის 30-40-იანი წლები).

ვახტანგ ბერბასლიერ - მირდატის ძე, დიდი ქართველი ხელმწიფე. დაიბადა 442 წელს; შვიდი წლისა მამით დაობლდა. აღზარდა დედამ, ქვრივმა დედოფალმა საგდუხტმა და, მახთანს, სპასპეტმა ხაურამაგმა. გამეფდა 15 წლისა (457 წელს). 16 წლისამ ჩრდილოეთით ილაშქრა; პირველად შეება და დახოცა ხაზართა და ოვსთა ბელადები; დაამორჩილა ხაზარეთი, ოვსეთი, ყივჩაყები, პაჭანიგები, ჯიქები. ჯიქეთიდან აფხაზეთსა და ეგრისს გადმოვიდა. ეგრისიდან გაიქცა ბიზანტიელები. მის „ჩრდილოურ ლაშქრობებს“ დაჭირდა სამი წელიწადი (458-461). 19 წლისა მიბრუნდა მცხეთას. 21 წლისამ ცოლად შეირთო სპარსეთის შაჰის, ჰორმიზდ III-ის ასული ბალენდუხტი, რომლისგანაც მარწმუნებენ შეეძინა ორი შვილი, მათგან უფროსისწული და მემკვიდრე ხელმწიფე დარჩა. დედოფალი მშობიარობას გადაჰყვა. 464 წელს 22 წლის ვახტანგი გაეშურა სამხრეთ-დასავლეთით, პირველს ქართულ მიწა-წყალთა შემოსაერთებლად. ზღვიდან ალი ცეცხლ სამაგრეანი: ანმორეთი, ტკლეცი და სტურა, მერე დაამორჩილა შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროს ბერძნული ქალაქები. ბიზანტიის კეისარი ლეონ I ითულებული გახდა ზავი ეთხოვა. ზავის მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთ ქართული პროვინციები საქართველოს შემოეერთა. დამოუკიდებლობაზეც შეთანხმდნენ - ვახტანგი ცოლად შეირთავდა კეისრის ასულს, სამაგიეროდ ლეონ კეისარი მზითევად მოსცემდა აფხაზეთს. 467 წელს ვახტანგმა დაამარცხა ქართლზე მოლაშქრე სპარსელთა მხედრობა, რომელსაც თვითონ შაჰინშაჰი ჰორმიზი ხარდლობდა. ამ ბრძოლიდანვე გაურკვეველია ვახტანგის ცხობილი ზედწოდება სახელი „გორგასალი“: თავზე მას ოქროცურვილი მუზარადი ეხურა. წინ მგლისა და უკან ლომის გამოსახულებით. და მოიერიშე ბუმბერაზი მეფეს ზან დაშინებული სპარსელები ერთმანეთს გასძახოდნენ: „ლურ

ახ გორგასარ!“ – „ძეერიდეთ თავსა მგლისასა!“ დამარცხებულმა ჰერეთმა ზავი ითხოვა. ზავის მიხედვით, ქართველმა ხმანებმა მდინარე არაქსამდე და კახეთის ზღვამდე გადაინაცვლეს. ამის შემდეგ შ�კ ლეგენდა მოგვითხრობს ქართველი მეფის ინდოეთში ლაშქრობის ამბებს. საქართველოში მობრუნებისას, ვახტანგმა გადაწყვიტა შემოქმედი კათალიკოსობა და პირველ კათალიკოსად კონსტანტინოპოლიდან მოიწვია ჰეტრე. ამან მცხეთის ეპისკოპოსის. მიქაელის დიდი რისხვა გამოიწვია და, როცა ვახტანგი მიქაელს შეეგება და წესისაებრ ამბორისაღოვად დაიხარა, მიქაელმა მეფეს კბილებში წიხლი სცა. ვახტანგმა მიქაელი საქართველოდან გაიძეა, ხოლო მცხეთაში პირველ კათალიკოსად ჰეტრე დასვა. ჰეტრეს ერთად მეფემ კონსტანტინოპოლიდან ჩამოიყვანა თორმეტი საძღვლელი. ამათგან ერთი, საძოელი, მცხეთის ეპისკოპოსად დასვა, დანარჩენი თერთმეტი კი, ქართლ-კახეთის სხვა საეკლესიებში გაიმწესა ეპისკოპოსებად. მაშინ კონსტანტინოპოლიდან ჩამოიყვანეს აგრეთვე, კეთილ ლეონ I-ის ახელი, ელენე, რომელიც ვახტანგმა ცოლად შეირთო და საქართველოს დედოფლად გამოაცხადა. ელენესგან ვახტანგს შეეძინა ორი ძე (ლეონ და მირდატ) და ორი ასული. ვახტანგი განასრულებდა დიდ აღმშენებლობით საქმიანობას. მან განაახლა და განამტკიცა მცხეთისა და არმაზის ციხეგორნი, ძველი, ხის ხეფეცხოველის ტაძარი დიდ ქვის ხიზილ გადააკეთა; აეშენა უკარიმა, მეტეხი და შეუდგა ტფილისის, როგორც ახალი საფარსტო ქალაქის მშენებლობას. V საუკუნის მიწურულს, სპარსელებმა გაიძლიერეს შემოტევები. გადამწყვეტ ჟამს, მოკავშირეებმა (ჰუნებმა, ბერძნებმა, ხომხებმა) ულალატეს ქართველთა მეფეს. ვახტანგი იგრძნობს გადავიდა და ახალ ხიმარ ძალთა შეყრას შეუდგა. 502 წელს სპარსეთის შაჰი კავადი უზარმაზარი მხედრობით შემოიჭრა ივრის ხეობაში. ვახტანგი შეება რიცხობრივად ხუთჯერ აღმაჭრელ მტერს. უძლიესი ბრძოლა მაინც ქართველთა გამარჯვებით მოლოდა, მაგრამ შეცრალ, ვინმე

მოდალატისგან მძლავრად ნახრალი ისარი იღლიაში მოხვდა თავდავიწყებით მყისვარ მეფეს. მაინც მოელი დღე იბრძოლა ისარნაძგერალმა. სპარსელებმა დაიხიეს და რუსთავ-ბოსტანქალაქს შეეფარნენ. სასოწყვეტილად დაჭრილი ვახტანგ მეფე უჯარმას მიიყვანეს. ხოკვლილის წინ მეფემ დალოცა თავისი პირმში ძე დარი. აღესრულა ვახტანგ გორგასალი. დაკრძალეს მისგანვე აგებულ მცხეთის ხვეტიცხოველში. გამეფდა 15 წლისა, იმეფა 45 წელი, აღესრულა 60 წლისა. ხოლაღლით იყო „თორმეტი ბრეწალი" (2 მეტრი და 40 სმ?!); მისი უზარმაზარი ტანსაცმელი და ხაშურეულნი, ხიფლავთან გამოფენილნი, დიდი ხნის მანძილზე ანცვიფრებდნენ მნახველებს. ქართულ ლრიმას დაეფუძნა მისი სახელი „გორგასლიანი". უმრავი ლეგენდა მეინნა ხალხურ მეფეზე ქართველმა ხალხმა, ხელმწიფეზე, ლვანი რომ მოეფერებოდა და „ლმერთი ყანწს მოაწოლებდა"; რომელსაც „ზეციდან ლვთიური ზარის ხმა ეხმოდა"; რომელიც ყოველ თვალზე უსწრაფესი თვალით ჰაერში მფრინავ ისრებს ჰხედავდა. გორგასალის გასაოცარი ეპიტაფიაც ხალხმა შეთხზა და გულზე დაიწერა:

ვახტანგ მეფე ლმერთს უყვარდა,
ცოდან შემოესმა რეკა,
თალხუნზე ფეხი შესდგა,
დიდმა მოგმა აწყეს ლრეკა.

ლარი, ანუ **ლარსელ** ძე ვახტანგ გორგასლისა, საქართველოს მეფე, 502-515 წლებში. ლარის ხელი მიჰყო სპარსელთაგან ათხრეულნი ქართლის აღდგენას. მან „განახრელნა ზღუდენი ტფილისისანი, და, ვითა ებრძანა ვახტანგს, იგი შეეშინა ხახლად საჭეფოდ" გამოაცხადა საქართველოს საგმირეფლ. ლარის ხეალა მთელ ქართველთა გაქრისტიანება და საამისოდ ისინი მცხეთასა და ტფილისშიც მოიწვია. მაგრამ ვერაფერს გახდა: მთელები, წარმართად მოხენილნი, წარმართადვე გაბრუნდნენ მოგებში.

ბაბური II დაჩის ძე, შვილიშვილი ვახტანგ გორგასლისა. გამეფდა დაჩის სიკვდილის (დაახლ. 515 წ.) შემდგომ, მაგრამ გამეფების წელსავე გარდაიცვალა.

ბურბანი ქართლის მეფე (515-523), ეგრისის მეფის, წათე I-ის თანამედროვე. გურგენის დროს მეფის ხელისუფლების შეკვეთრეებისათვის ბრძოლას იწყებენ დიდგვარიანი აზნაურები. ამას ზედ დაერთო სპარსელთა მიმძლავრება. კაკად შაჰმა გურგენს ბრძანება გამოუგზავნა: ქართველებმა ქრისტიანობა უარყონ, მაზდეანობა მიიღონ, ყოველი საყოფაცხოვრებო ადათი სპარსულად აღასრულონ, მიცვალებულებიც კი მიწაში აღარ დამარხონ, არამედ სპარსული წესით ცის ქვეშ დაყარონო. ამის გამო, 523 წელს, გურგენის მეთაურობით, ქართლი აჯანყდა სპარსეთის წინააღმდეგ. სპარსელები ქართლს შემოესივნენ. გურგენი თავისი ოჯახითა და ხეფეფულითა ამალით ეგრისს გადავიდა. წათემ დიდი პატივით მიიღო ეგი. ეგრისიდან გურგენი, წათესთან ერთად, კონსტანტინოპოლს ჩავიდა. იმპერატორი იუსტინე დიდი პატივით შეხვდა ქართველ მეფეებს. მათ შორის კავშირი და მეგობრობა გამოცხადდა. გურგენი სიკვდილამდე კონსტანტინოპოლს დარჩა.

ძამანარსი ქართლის მეფე, გურგენის შემდეგ (523-535). სპარსთა მიმძლავრებისაგან შეწუხებული ძამანარსი, მეუღლე-დედოფალისა და დარბაზისერთა თანხლებით, კონსტანტინოპოლს ეწვია და კეისარ იუსტინიანეს კავშირი და მეგობრობა სთხოვა. კეისარი დიდი სიხარულით შეხვდა ამ თხოვნას და დიდძალი ძღვნითაც გამოისტუმრა სტუმრები; მაგრამ ბიზანტიასთან სიახლოვემ ვერ უშველა ძამანარსს. სპარსელებმა ქართლში მეფობა გააუქმეს და „მარზპანობა“ შემოიღეს.

2. ქართლის ერისთავარნი

ბუარამი ქართლის პირველი ერისთავარი, სპარსთაგან მეფობის გაუქმების შემდგომ, VI საუკუნის ბოლოს. გუარამს ბიზანტიელთაგან „კურაპალატის“ ტიტულიც ჰქონდა. „იყო კაცი ძორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა“. მან დაიწყო მცხეთის ჯვრის ძონასტრის აშენებლობა (დაასრულა ადარნასემ). „ამანვე გუარამ კურაპალატმან განაახლა საფუძველი ტფილისისა და სიონისა“. გვარად იყო ბაგრატიონი, სპერის ქართული ოჯახიდან. იგი გახდება მთავარი გმირი შემდგომში ფართოდ გავრცელებული ლეგენდისა, ბიბლიური დავითისა და სოლომონისგან ბაგრატიონთა საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ: თითქოს დავით-სოლომონის ლვთისმეტყველური ნაკადიდან შვიდი ძმის მოხვლა, ამათგან სამი რომ სომხეთში დარჩა, „სომეხ ბაგრატუნიანთა“ შტოდ, ხოლო ოთხი საქართველოში მოვიდა „ქართველ ბაგრატოვანთა“ მამამთავრებად. სწორედ ამ ოთხ ძმათაგან იყო გუარამ, ქართლის პირველი ერისთავარი და ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი.

სტეფანოზ I გუარამის ძე, ქართლის ერისთავარი მამამისის შემდგომ, VII საუკუნის პირველ მეოთხედში. 626 წელს ქართლს შემოესივნენ ბიზანტიელები, ჰერაკლე კეისარის სარდლობით, და ხაზარები, ჯიბღუ ხაკანის წინამძღოლობით. ტფილისის კედლებთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში სტეფანოზი დაეცა გმირის სიკვდილით. მომდევნო წელს ხაზარებმა აიღეს და აიკლეს ტფილისი.

ადარნასე ბაკურის ძე, ქართლის ერისთავარი, სტეფანოზ I-ის შემდეგ, 626 წლიდან. მან დაასრულა მცხეთის ჯვრისა და ტფილისის სიონის ტაძართა აშენებლობა.

სტეფანოზ II ადარნასეს ძე, ქართლის ერისმთავარი, მამამისის შემდგომ, VII საუკუნის 40-50-იან წლებში. მის დროს პირველად მოვიდნენ საქართველოში არაბები. ამათთან პირველი საომარი შეხვედრები, 642 წელს, ქართველებმა დიდი წარმატებით მოიგეს. 654 წელს არაბთა სარდალი ჰაბიბ იბნ-მასლამა წამოვიდა დიდძალი მხედრობით. ამჯერად სტეფანოზმა მშვიდობიანი შერიგება შესთავაზა არაბ სარდალს. მასლამამ დიდი ხიმინჯებით მიიღო ქართველებთან ზავი და სტეფანოზს „დაცვის სიგელი“ გამოუგზავნა. ქართველებმა ამ „სიგელის“ ძალით, ხარკის, ჯიზიათის გადახდა იკისრეს: კომლზე, წელიწადში თითო დინარი (დაახლ. 5 მან.).

ნერსე I – ქართლის ერისმთავარი, სტეფანოზ II-ის შემდეგ, VII საუკუნის 80-90-იან წლებში. 686 წელს ხომხები არაბებს აუჯანყდნენ და დახმარება ქართველებს ითხოვეს. ნერსე სასწრაფოდ გაეშურა და ქალაქ დვინის მახლობლად გამართულ დიდ ბრძოლაში ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს არაბთა სარდალი ბარაბა.

სტეფანოზ III ქართლის ერისმთავარი, VIII საუკუნის 30-40-იან წლებში. მის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა შემოტევები არაბთაგან. საქართველოს შემოესია მურვან ყრუ (735-737 წწ.). სტეფანოზი თავისი ოჯახით ეგრისში გადავიდა. ციხე-გოჯში დადგა, იქვე გარდაიცვალა და მისმა შვილებმა (მირი და არჩილი) ჯერ იქვე დაასაფლავეს, ხოლო შემდეგ, არჩილმა მამა ქუთაისს გადაასვენა და იქ დაკრძალა.

მირი სტეფანოზ III-ის უფროსი ძე. მურვან ყრუს შემოსევის დროს იგი მამასთან და უმცროს ძმასთან, არჩილთან ერთად, დასავლეთ საქართველოში (ჯერ ეგრისს, შემდეგ აფხაზეთს) გადავიდა. როცა მურვან ყრუ აფხაზეთში მივიდა, ქალაქ ანაკოფიასთან, მირი და არჩილი ქართველთა მცირე ჯარით გამოეხლნენ არაბებს, დაამარცხეს და გაიძაქცეს ისინი. მაგრამ თვითონ მირი ბრძოლაში დაიჭრა, ფცრდში ნაძგრები მაზრაკით. ქართველთა გამარჯვებით გახარებულმა

ბიზანტიის კეისარმა ლეონ III-ემ მირს საბეჭეო გვირგვინი და სკიპტრა გამოუგზავნა. ბრძოლაში მიღებული ჭრილობით მირი დასნეულდა და გარდაიცვალა. არჩილმა იგი მცხეთას დაკრძალა. მირს ძე არ ჰყოლია; შვილი ასული დარჩა. ამაოგან ბიძამ, არჩილმა ექვსი ქართველ ერისთაველებს შერთო ცოლებად, ხოლო მეშვიდე, გურანდუხტი, ბიზანტიის კეისარს, ლეონ III-ეს (თუ კონსტანტინე V-ეს) მოათხოვა.

არჩილი სტეფანოზ III-ის უმცროსი ძე. მურვან ყრუს შემოსევის ყამს, მამასთან და უფროს ძმა მირთან ერთად, ჯერ ეგრისს გადავიდა, მერე აფხაზეთს. აქ, ანაკოფიასთან გამართულ ბრძოლაში, ძმებმა არაბები დაამარცხეს და უკუაქცეს. არჩილმა ჭრილობისგან გარდაცვლილი მირი მცხეთას გადმოასვენა, ხოლო მამა, სტეფანოზი, ციხე-გოჯიდან ქუთაისს. თორმეტი წელიწადი (დაახლ. 738-750 წწ.) არჩილი ქუთაისში იჯდა და თავს სრულიად საქართველოს მეფედ თვლიდა. მაგრამ ქართლი მაინც არაბეთის მოხარკე ქვეყანა იყო. არჩილი ქართლს გადავიდა და არაბთაგან ათხრეულული ქვეყნის აღდგენას შეუდგა. VIII საუკუნის 60-იან წლებში, არაბთა მთრიგი ლაშქრობა მოეწყო საქართველოში. არჩილმა მშვიდობიანი მოლაპარაკებით სცადა ქვეყნის გადარჩენა. არაბთა სარდალმა არჩილი ჯერ ცბიერი ლიქნობით მიიყვანა, მერე ქრისტიანობის უარყოფა და მაჰმადიანობის მიღება მოსთხოვა, ხოლო, როცა ამაზე ცივი უარი მიიღო, შეიპყრო და თავი გააგლეინა. არჩილს დარჩა ოთხი ასული (მათ შორის უმცროსი, ხალამაზით განთქმული შუშანი) და ორი ძე - იოვანე და ჯუანშერი. არჩილი ქართველმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი მოხსენიების დღეა 4 ივლისი (ახალი სტილით).

ჯუანშერი - არჩილის უმცროსი ძე. როცა არჩილი არაბებმა სიკვდილით დასაჯეს (VIII საუკუნის 60-იან წლები), მისმა ორმა ვაჟმა, იოვანემ და ჯუანშერმა საქართველო „გაიყვეს“: დასავლეთ საქართველოში იოვანე გადავიდა, დედისა და ორი დის თანხლებით,

ხილი ჯუანშერმა დანარჩენი ორი და დაიტოვა და ქართლ-კახეთის „მეფედ“ დარჩა. ხაზარია ხაკანმა ჯუანშერს ხიხოვა ცოლად გაუგზავნა მისი უმცროსი და, გასაოცარი ხელმაზით განიქმული შუშანი. ჯუანშერის ლდგამ და თვითონ შუშანმა უარი ხოქვეს „წარმართი ხელმწიფეთან“ დამოყვრებაზე. გაავებულმა ხაზარმა 764 წელს დიდძალი მხედრობა გამოგზავნა, ქართველთა დასასჯელად, ხარდალ ბლეჩანის მეთაურობით. ხაზარებმა ქართლ-კახეთი აოკლეს, ჯუანშერი და შუშანი ტყვედ წაიყვანეს. დარიალის კართან მეხვენების ლრის შუშანმა ბეჭდის თვალის ქვეშ დამალული ნაწამლავი ამოსწოვა და თავი მოიკლა. ბლეჩანმა მარტო ჯუანშერი წარუყვანია თავის მბრძანებელს. ხაკანი განრისხდა — რაღაც მკვლარი მაინც არ მაჩვენეთ შუშანი, და მისი ბრძანებით ბლეჩანს, ორ ცხენს შორის გაბმით და განზიდვით, თავი წააგლეჯეს. ჯუანშერი შვიდი წელი დარჩა ხაზარეთში. ბოლოს იგი ხაკანმა ლიდი ძღვნით გამოისტუმრა საქართველოში.

ნერსეს II ქართლის ერისმთავარი, VIII საუკუნის 70-იან წლებში. 771-772 წლებში ქართლ-კახეთში ლიდი აჯანყება მოხდა არაბთა შესაძულრავად. ხალიფა მანსურმა, „ბორიტ კაცთა შესმენით“, აჯანყება ნერსეს დააბრალა, ბაღდადში გაიწვია და საპყრობილეში ჩასვა. ხუთი წლის შემდეგ (775 წ.) ახალმა ხალიფამ, მაჰდიმ ნერსე გაათავისუფლა და ისევ ქართლის ერისმთავრად გამოუშვა. მაგრამ მაჰდიმ ისევ „ბორიტ კაცთაგან“ შეიტყო, რომ ნერსე ახალ აჯანყებას აპირებდა. ნერსემ ახალ ტყვეობას დაასწრო, ოჯახი აფხაზეთს გაგზავნა, თვითონ ჯერ ხაზარეთს გადავიდა. მერე ხაზარეთიდან აფხაზეთს. აქ მან შეიტყო, რომ ხალიფას მის ადგილზე, ქართლის ერისმთავრად დაუნიშნავს მისი დისწული, სტეფანოზ გურგენის ძე. ნერსე ერისმთავრობას ვერ დაუბრუნდა; მხოლოდ ისლა იცმარა, რომ სტეფანოზმა იგი ხალიფას შეარიგა და აფხაზეთიდან ისევ ტფილისს დაბრუნდა.

სტეფანოზ IV გურგენის ძე, ადარნასე ბაგრატიონის შვილიშვილი, ქართლის ერისთავი, ნერსეს II-ის შემდეგ, 776-786 წლებში. მის დროს, 785 წლის 21 იანვარს (ახ. სტ.) არაბებმა აწამეს ახო ტოკალელი.

ანეტ I დიდი იხ. მოძღვნილი თაეში „ტაო-კლარჯეთის მეფენი“.

3. ტაო-კლარჯეთის ეპოქა

ათეტ I დიდი ადარნასე ბაგრატიონის უმცროსი ძე, ბიზანტიიდან ბოძებული „კურაპალატის“ ტიტულით; საქართველოს ხელახალი გაერთიანების დამწყები, პირველი მეფე-ხელმწიფე ბაგრატიონია საგვარეულოდან. 786 წლიდან 813 წლამდე ტაოლოსში იჯდა, რიგორც ქართლის ერისთავარი. 810 წელს აშოტმა ტაოლოსიდან განდევნა არაბები. 813 წელს არაბებმა ისევ დაიჭიროს ტაოლოსი. აშოტი ხამხრეთ საქართველოში გადავიდა, ტაო-კლარჯეთში გახელმწიფდა, არტანუჯი საბოლოო ქალაქად გამოაცხადა. აქედანვე იწყება მისი მეფობა და თავგამოდებული ბრძოლა ქართული მიწების შემოერთება-შემომტკიცებისათვის. 813 წელსვე მან კავშირი შეკრა ბიზანტიის კეისარ ლეონ V-თან, „კურაპალატის“ ტიტულიც მისგან მიიღო. მთელი ხამხრეთი საქართველო შემოერთა აშოტმა. 818 წელს დახვლეთ საქართველოს მეფესთან, თეოდოსი I-თან კავშირში, დაამარცხა გრიგოლ კახთა ერისთავი და მისი მოკავშირე ტაოლოსის არაბი ამირა. ამ გამარჯვებით აშოტმა ისევ დაიბრუნა კახეთის ერისთავის, გრიგოლ ქორეპისკოპოსისგან ადრე წართმეული ქსნის ხეობა. აშოტი სრულიად ქართლის მფლობელად გახდა. მერე ბარდავიც დაიმორჩილა. აშოტს ერთი „ხიმეის დიაცი“ მეჰყვარებოდა. გრიგოლ ხანთელმა ის ქალი იდუმალ წაართვა და ლალათა მონასტერს მისცა მონაზვნად. აშოტმა ქალის დაბრუნება სცადა, მაგრამ მონასტრის წინამძღოლმა ფეოდორეთიამ გადაჭრით უარი უთხრა. მაშინ უთქვამს აშოტს: „ნეტარ მას კაცსა, ვინც ცოცხალ ადარა არს!“ 826 წელს არაბები შემოესივნენ ხამხრეთ საქართველოს. ქვეყნის შიგნითაც გაჩნდნენ მოღალატენი, რომლებმაც არტანუჯის ტაძარში მოჰკლეს

მეფე აშოტ დიდი კურაპალატი. შეთქმულთა მეთაურები ყოფილან ვინმე „ოროზ-მორიზის ძენი“, რომლებიც ხალხმა გაწყვიტა მეფის მკვლელობისათვის. აშოტი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა. მისი მოსახსენიებელი დღეა 11 თებერვალი (ახალი სტილით).

ბაგრატ I კურაპალატი – აშოტ I დიდის შუათანა ძე, ქართლის მეფე, 826-876 წწ. ბაგრატმა ჯერ მესხეთიდან განდევნა არაბები. 842 წელს ხალიფას ტფილისის ამირა საჰაკ ისმაელის ძე აუჯანყდა და მის წინააღმდეგ კავშირი ბაგრატს სთხოვა, სამაგიეროდ შიდა ქართლი აღუთქვა. ხალიფამ და ბაგრატმა, რეხთან გამართულ ბრძოლაში, გადამდგარი ამირა ვერ სძლიეს, ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა, მაგრამ ხალიფას აღთქმისამებრ, შიდა ქართლი ბაგრატის სამფლობელოებს მაინც შეუერთდა. 853 წელს ტფილისის ამირას დასასჯელად ხალიფამ ახალი არაბული მხედრობა გამოგზავნა, ბუღა თურქის სარდლობით. ბუღამ კავშირი ისევ ბაგრატ ქართველთა მეფეს სთხოვა. საჰაკ ამირას კი კავშირი დასავლეთ საქართველოს მეფესთან, თეოდოსი II-სთან შეეკრა. ბუღა თურქმა ტფილისი აიღო, საჰაკ ისმაელის ძე შეიპყრო და თავი გააგდებინა; ქალაქი საშინლად აიკლო, 50000 ტფილისელი გაწყვიტა. თავისი ერთ-ერთი სარდალი, ზირაქი, ბუღამ გაგზავნა დასავლეთ საქართველოსკენ, საიდანაც ჯარით უკვე მოეშურებოდა თეოდოსი-II. ზირაქს მოკავშირედ ბაგრატ მეფე მიჰყვებოდა ქართველთა ჯარით. ბრძოლაც ამათი გამარჯვებით გათავდა. ბაგრატმა თეოდოსი II-ს წაართვა არგვეთი. 876 წელს ბაგრატი გარდაიცვალა. დარჩა სამი ძე: დავითი, ადარნასე და აშოტი. მეფობა მიიღო უფროსმა, დავითმა.

დავით I კურაპალატი – ბაგრატ I კურაპალატის უფროსი ძე, ქართველთა მეფე 876-881 წწ. მას ტახტისათვის ეცილებოდნენ: ბიძა გუარამ მამფალი, გუარამის-ძე ნასრი და მეორე ბიძის, ადარნასეს ძენი – გურგენი, აშოტი და სუმბატი. დავითს დამხმარე ძალად მოევლინა დიდი ფეოდალი ლიპარიტ ბალვაში, რომელიც სწორედ

იმ ჟამად ჩამოსახლებულიყო არგვეთიდან (კაცხიდან) თრიალეთში, კლდეკარში. დავითის ხახულის ტაძრის აშენებლობა ახალი დამთავრებული ჰქონდა, რომ მისი მოკვლა მუხანათობით მოახერხა ნასრი გუარამის ძემ (881 წ.). მოკლულ მეფეს მცირეწლოვანი ძე დარჩა, შემდგომში ცნობილი ადარნასე ქართველთა მეფე.

ბურბან I კურაპალატი ადარნასეს უფროსი ძე (მეფე ბაგრატ I-ის უფროსი ძმა). მეფე დავით I-ის მოკვლის შემდეგ ათი წელიწადი (881-891) იჯდა ქართველთა საყოველ ტახტზე. 888 წელს გურგენი ადარნასე დავითის ძეს ეხმარებოდა მამამისის მკვლელის, ნასრი გუარამის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამისთვის მან ახლად გამეფებული ადარნასესგან ჯილდოდ მიიღო არტაანი. ბოლოს მაინც „შეიმტვრეს ურთიერთას“ გურგენი და ადარნასე მეფე. არტაანის ხეკში გამართულმა ბრძოლამ გურგენს მარცხი და სასიკვდილო ჭრილობა არგუნა (891 წ.).

ადარნასე II კურაპალატი მეფე დავით I-ის დედისერთა ძე. როცა მამამისი ნასრი გუარამის ძემ მოკლა (881 წ.), ადარნასე მცირეწლოვანი იყო. შვიდი წლის შემდეგ კი, 888 წელს, მან დაამარცხა და მოკლა კონსტანტინოპოლიდან ტახტის სამეებლად ჩამოსული ნასრი გუარამის ძე და ამავე წელს ავიდა ტახტზე. ადარნასე II ქართველთა მეფის სახელწოდებით (ადარნასე „პირველად“ იწოდება ბაგრატიონთა დინასტიის მამამთავარი, პირველი მეფის, აშოტ I დიდის მამა). წინარე მეფეს, გურგენ I-ს, ადარნასე ჯერ პატივით ეპყრობოდა, ნასრის წინააღმდეგ ბრძოლაში თანადგომისათვის არტაანიც უბოძა, მაგრამ შემდეგ მაინც „შეიმტვრეს ურთიერთას“ და ამ „შემტვრებას“ გურგენი შეეწირა კიდეც (891 წ.). იმიჟამად სომხეთში გარდაიცვალა აშოტ ბაგრატუნი და ტახტისთვის ცილობა ატყდა აშოტის ძე სუმბატსა და აშოტის ძმა აბასს შორის. ბიძა-ძმისწულის ბრძოლაში ადარნასე ქართველთა მეფემ ძმისწულის მხარე დაიჭირა და მისი დახმარებით სუმბატმა კიდევაც დაიმტკიცა სომხეთის ტახტი.

904 წელს კონსტანტინე აფხაზთა მეფემ ქართლის დაპყრობა სცადა. ადარნასე და სუმბატი შეებნენ და დაამარცხეს დასავლეთ საქართველოს მეფე. კონსტანტინემ მოკავშირეთა გათიშვა სცადა და სომეხთა მეფეებთან მივიდა შესაკავშირებლად. ადარნასემ ეს დროზე შეიტყო, კონსტანტინე თვითონ სომხების შეპყრობინა და ანისის ციხეში ჩააგდებინა. მაშინ დასავლეთ საქართველოში სასტიკად „აღშფოთებულმა მეგრელებმა", „საძრწოთელ მეფეებზე" შურისსაძიებლად თავისთვის ახალი ძლიერი მეფის არჩევა მოინდომეს. სუმბატი დაეყრდნო და კონსტანტინე ციხიდან გამოეშვა. ამან საშინლად განარისხა ადარნასე მეფე და სომეხთა მეფეს საბოლოოდ გაუმტერდა. 914 წელს არაბთა უკანასკნელი დიდი ლაშქრობა მოეწყო სომხეთსა და საქართველოში. ხალიფას უზარმაზარ მხედრობას მოუძღოდა სარდალი აბულ ყასიმ აბუსაჯის ძე. არაბებმა ჯერ აიღეს და აიკლეს სომხეთი. ქართველთა მხრიდან უმოკავშიროდ დარჩენილ სუმბატ სომეხთა მეფეს თავი გააგდებინეს და საქართველოსკენ წამოემართნენ „სპითა დიდითა და ურიცხვითა, რომელთა არა იტევდა ქუეყანა". ტფილისში მათ შეეგება ამირა ჯაფარ ალის ძე. ტფილისიდან კახეთს გაესივნენ, კახეთიდან ისევ ქართლს. დაანგრიეს უფლისციხე. აქედან სამცხეს გადაეხეხნენ, თმოგვის ციხეს მიაწყდნენ ამაოდ. თმოგვს თავი მიანებეს და ყველისციხეს შეუტიეს. აქ ქართველებმა დიდი ბრძოლა გადაიხადეს ახალგაზრდა გმირის, მიქაელის სარდლობით. მიქაელი გმირის სიკვდილით დაილუპა. ქართველმა ეკლესიაც იგი, გობრონ წამებულის სახელით, წმიდათა პანთელეონში ჩარიცხა (გობრონის ღღე 30 ნოემბერი, ახ. სტ.). ამით გათავდა არაბთა უკანასკნელი ლაშქრობა საქართველოში. ადარნასე II გარდაიცვალა 923 წელს და დარჩა ოთხი ვაჟიშვილი: დავითი, აშოტი, ბაგრატი და სუმბატი. არტანუჯის ტახტზე ადის უფროსი, დავით II ქართველთა მეფის სახელწოდებით. .

დავით II ადარნასე II ის უფროსი ძე, საქართველოს მეფე

923-937 წწ. დავითის და ძის ძმების ყმაწვილობისას მოუსწრია მამის სიკვდილმა. ამით ისარგებლა ვალიც ბიზანტიელმა მოხელემ და არტანუჯის მთავარ ცისკენ ბიზანტიის სახელმწიფო დროშა აღმართა. ადარნასეს ვაჟებმა მუქარით სავსე წერილი გაუგზავნეს კვისარ რომანოზ I-ს. ან ახლავე არტანუჯიდან თქვენი დროშა თქვენვე ჩამოხსენით, ან ომს გაუჯალებთო. კვისარმა ბოდიში მოიხადა ამის შესახებ მე არაფერი გაცოდეთ და დროშაც მაშინვე ჩამოახსნევინა. დავით II 937 წელს მოკვდა უძეოდ.

ბაბრატ II რიფბვეონ ძე ხუმბატ კურაპალატისა ქართველთა მეფე 937-994 წწ. „რეგვენი“ შეარქვეს ყმაწვილობისას, გამოუცდელობისათვის. მოსაწილეობდა ვალაშკერტის, ბრძოლაში არაბთა ამირას, მამლანის წინააღმდეგ 990 წელს.

ბეგრატ II ძე ბაგრატ II-ისა. ბაგრატიონთა ტაოს შტოდან, მეფეთა მეფე, 994-1009 წწ. ცოლად ჰყავდა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფის გიორგი II-ის ასული გურანდუხტი. (შეეძინათ მომავალი ერთიანი საქართველოს მეფე ბაგრატ III). მეფობდა ტაოში, მაგრამ ეძორჩილებოდა კლარჯეთის მეფეთამეფეს დავით III კურაპალატს. 989 წელს კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე განუდგა ბაგრატ III-ს. ბაგრატი საქართველოსკენ დაიძრა ლაშქრით. „ბოროტმა ენებმა“ დავით III გაახელვეს შენი შვილობილი და გაზრდილი შენს დასაქმობად მოდისო. დავითი სასოწარკვეთილებამ. გურგენ II-მაც იარაღი აიხსნა და შვილის მოსაშველებლად გაეშურა. დავითმა ჯარი დაალეგინა. გარდათხრილთან (ბაღეთში) გამართულ ბრძოლაში გურგენი დამარცხდა, გაიქცა და წყეთის ციხეში ჩაიკეტა. მალე გამოირკვა, რომ ბრძოლა ტყუილად მოხდა: დავითი და ბაგრატი, რიგორც ერთგული და მოყვარული ძმისაგან შეცილობილი, ერთმანეთის მოყვრულად შეხვდნენ. გურგენი ტაოში დაბრუნდა. 1008 წელს იგი გარდაიცვალა და მისი საყვლობელიც მისმავე ძმ, ბაგრატ III-მ შეიერთა.

ადარნასე III კურაპალატი ძე ბაგრატ მაგისტროსისა, ტაო-კლარჯეთის მეფე, 958-961 წწ. სახელოვანი დავით III-ის მამა.

დავით III დიდი მეფეთმეფე კურაპალატი ძე ადარნასე III-ისა, მეფეთმეფე 961-1001 წლებში, მაშინდელ მსოფლიოში სახელგანთქმული ხელმწიფე, საქართველოს გაერთიანების რეალური ძალა და წინამძღოლი. 979 წელს ბიზანტიის საიმპერატორო კარის წინააღმდეგ აჯანყდა ბარდა სკლიაროსი. კონსტანტინოპოლის სასახლემ დახმარება ქართველ ხელმწიფეს სთხოვა. დავითმა ოთხმეტი ათასი ქართველი მეომარი გაგზავნა თორნიკე ერისთავის სარდლობით, რომელმაც სკლიაროსი გაანადგურა და ბასილი კეისარი ტახტზე დაამაგრა. სამაგიეროდ კეისარმა დავითს უბოძა: კარინი (არზრუმი), ბასიანი, ჰარქი, აპაჰუნიქი, ხალდო-არიჭი, ხვეკი და კლიხურა. 980 წელს დავითმა აიღო მანაზკერტი (ვანის ტბასთან). განდევნა არაბები და ჩაასახლა ქართველები და სომხები. 997 წელს ისევ ვანის ტბის პირას დავითმა არაბების წაართვა ქალაქი ხლათი. 998 წელს მისმა ჯარმა, რომელსაც გაბრიელ ოსტიპანტრეს ძე სარდლობდა, გაანადგურა არაბთა 100 ათასიანი არმია, რომელსაც სარდლობდა მამლანი. დავით III-ის საქმრეთული საზღვრები ვანის ტბისა და ერზინკას (ერზინჯანი) გასწვრივ დაკვალრდა. 975 წელს, ოთხმოცდაათ ძარეშისძის ხელშეწყობით, დავითმა ქართლის ტახტზე დასვა თავისი შვილობილი ბაგრატ III (ძე გურგენ II-ისა), ხოლო 978 წელს მასვე ჩააბარა მთელი დასავლეთი საქართველო. 1001 წელს მოკვდა დავით III, 1008 წელს კი გურგენ II, და „საქმრეთული ტახტებიც" ბაგრატ III-ს დარჩა. ამგვარად, ვახტანგ გორგასალის აღსასრულიდან 500 წლის თავზე, საქართველო ხელახლა გაერთიანდა (1010 წელს ბაგრატ III შემოიერთებს კახეთ-ჰერეთსაც).

4. ეგრის-აფხაზეთის ეფეები

ბაკური ეგრის ლაზეთის მეფე II საუკუნის შუა წლებში. „დიდი მეგობრობა“ ჰქონია რომის იმპერატორ ანტონინეს პიუსთან (138 161 წწ.).

ბუბაზ I ეგრის-ლაზეთის მეფე, დაახლ. 455-510 წლები. მან ყოველი სახის ქვეშევრდომობაზე უარი შეუთვალა ბიზანტიის იმპერატორ მარკიანეს (450-457). მაშინ, 456 წელს, ეგრისს ბიზანტიელთა არმიები შემოესივნენ. ეგრისელებმა (ლაზებმა) უცხო ხერხით გაანადგურეს მტერი: წინასწარ დიდი ორმოები ამოუთხრიათ, ოგ შეტეხა და აკინაგმა წყრ ალმართ ნაურეზეთაი, ზემოდან ნელტიბ-ალაუფარებიათ, ნელტეებზე ძაწა მოუფენიათ და ზედაც ბერი დაუთესიათ. მოიერიშე ბიზანტიელების ჯარიალეთ ამწვანებული მინდორი ნაყენრათ. მეომრები შუტებზე ეგდებოდნენ და ოხოლებოდნენ. კეთილმა შერიგება ითხოვა. გუბაზმა კონსტანტინოპოლიდან მოწვევაც მოიღო. ისევ გამოცხადდა იქ, შუბლისან თანამემამულეთა თანხლებით. მარკიანემ ფრთხილი ნაფიქრი აკადრა სტუმარს. მაგრამ გუბაზის დახვწილმა მჭევრმეტყველებამ, თავაზიანობამ ალხაგზე ხიტვა-პასუხმა, ხალვათისმეტყველი და ნაფილოსოფოი განსწავლულობამ, მოიზიდლავმა მანერებმა ნაგსებთ დაატყვევა იმპერატორი და მისი ხახახლის კარი. ბოლოს, გუბაზი ბიზანტიელებმა დიდი ძღვნითა და პატივით გამოისტუმრეს ეგრისს.

წათა I ძე გუბაზ I-ისა. ეგრის-ლაზეთის მეფე, 510-530 წლებში, გურგენ ქართლის მეფის თანამედროვე. 523 წელს წათე, სპარსთაგან ლტოლვილ გურგენთან ერთად, კონსტანტინოპოლს ეწვია. იმპერატორი იუსტინე დიდის პატივით შეხვდა ქართველ

მეფეების. ძალიან მიეწინაა წათეს ლაზთათანი ჩაცმულობა, განსაკუთრებით ლაზური წითელი წაღები, გაწყობილი მარგალიტებით და ქრისტიანული არწეგებით. აქვე წათე მოინათლა ქრისტიანად, გაძლიერდა ბიზანტიის მოკავშირედ და მეგობრად. ქვრივმა წათემ ძალიანვე ცოლად შეირთო უწარჩინებულესი სენატორის ახალი, ხახულად ვალერიანე. დიდი ძღვნითა და ხარკებით დაბრუნებული მეფე-ლეონიდი დაბრუნდა ეგრისს. 528 წელს აღდგა ომი ეგრისისათვის სპარსეთსა და ბიზანტიას შორის. ამბავი კიდევ დიდხანს მხედრობა მეფეზეობა ეგრისს. წათე I ძალიანურად ებრძოდა ურიცხვ მტერს. ბიზანტიელები კი არც ისე გულმოდგინედ ეხმარებოდნენ მოკავშირეს და მოყვარეს. 530 წლის მახლობლად ეგრისის ტახტზე უკვე ბუბან წათეს ძე ზის. შესაძლოა, თვით წათე სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპა.

ბუბანი II ძე წათე პირველისა, ეგრის-ლაზეთის დიდი მეფე. 530-554 წლებში. იგი ჯერ განაგრძობს მამისგან დაწყებულ შეურიგებელ ბრძოლას სპარსელებთან. მერე, რიცა ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ე. წ. „მარადიული ზავი“ დაიდო (532 წ.) და ეგრისი სპარსელთაგან გათავისუფლდა, ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ ჯარები მეფეგანა ეგრისში. ამის გამო აღშფოთებულმა ბუბანმა შაპ-ანშან ხოსრო ანუშირვანთან გაიბა კავშირი. სპარსელებიც ეგრისში შეესიენ და ბიზანტიელების შეებნენ. განსაკუთრებით ძნიშ ბრძოლები გაიმართა ცხენ-ხიმაგრე პეტრას გარშემო. ბუბანი ძალე დარწმუნდა, რომ სპარსული ულელი უფრო ძნიშ იყო, ვიდრე ბიზანტიური. თან ისიც შეატყო (ფარსმანის შეატყობინა), რომ სპარსელები ოდუმალ ხიკვლილს უმზადებდნენ მას და საბოლოოდ გადაწყვეტა ისევ „ერთმორწმუნე ბიზანტიელების“ მიმხრობოდა. ისევ სპარსელებს ებრძოდა ბუბანი მეფე. დიდი ხანმაცოცხა. ოცწლიანი ომი ძალი გმირობით წარიმართა. ბიზანტიელი ხარდლები კი ისევ უგულოდ, ღაბრულად და ხმირად ძოლალტურად ექცეოდნენ

ლაზთა ხელმწიფეს. გუბაზიც აღარ ერიდებოდა მათ, პირში ლანძღავდა და კეისარსაც ატყობინებდა მისი სარდლების უვარგისობას. ბიზანტიელმა სარდლებმაც კეისარი შეცდომაში შეიყვანეს, გუბაზს ღალატი დააბრალეს და 554 წელს, ხობისწყლის პირას, უიარაღო მეფე ღალატით მოჰკლეს.

ნათე II – ძე ნათე I-ისა, ძმა გუბაზ II-ისა, მეფე ეგრის-ლაზეთისა. 523 წელს იგი, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი, მამამ კონსტანტინოპოლს წაიყვანა და იქვე დატოვა აღსაზრდელად. როცა ეგრისში მყოფმა ბიზანტიელმა სარდლებმა მეფე გუბაზ II მუხანათურად მოჰკლეს (554 წ.), ეგრისელებმა მეფედ კეისრისაგან ნათე გამოითხოვეს. კეისარმა იუსტინიანემ ეს თხოვნა აღასრულა და ნათე ეგრისის მეფედ გამოაცხადა. იმეფა 554 წლიდან...?

.....

ხერბი ბარნუკისძე – ეგრის-ლაზეთის „ერისმთავარი" („მეფე"?), VII საუკუნის 90 იანი წლები. 697 წელს იგი ბიზანტიის კეისარს, ლეონტის აუჯანყდა და ბიზანტიელები განდევნა ეგრისიდან. მაგრამ მაშინ არაბები შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ ეგრისში.

.....

ლეონ II – ძმისწული ლეონ I-ისა (ლეონ „პირველად" ითვლება „აფხაზეთის" ერისთავი, ვასალი ბიზანტიისა). ლეონ II პირველია, ვინც „მეფის" ტიტული მიიღო „აფხაზეთში" (755-800 წწ). იგი შეუკავშირდა ხაზარებს (დედა ხაზართაგან ჰყავდა), აუჯანყდა ბიზანტიელებს და თავი გამოაცხადა დამოუკიდებელ მეფე-ხელმწიფედ. სატახტო ქალაქად დაიდგინა ქუთათისი.

თეოდოსი I – უფროსი ძე ლეონ II-ისა, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის") მეფე. 800-825 წლებში (თეოდოსი-„პირველად" ითვლება VIII საუკუნის „აფხაზეთის" ერთ-ერთი ერისთავი). მეფე თეოდოსი I იყო სიძე სამხრეთ საქართველოს მეფის, აშოტ I ბაგრატიონისა. იგი ეხმარებოდა სიძეს ქსნის ხეობის დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

დემეტრე II – შუათანა ძე ლეონ II-ისა, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფე 825-861 წლებში. რამდენჯერმე დაამარცხა და გააძევა თავისი სამეფოდან ბიზანტიელები. ებრძოდა საქართველოში შემოჭრილ ბულა თურქის არაბულ მხედრობას. გაცხოველებით ზრუნავდა ქრისტიანიზმის განმტკიცებისათვის დასავლეთ საქართველოში. მისი მზრუნველობით განასრულებდნენ სამონასტრო აღმშენებლობას გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფეები.

გიორგი I – უმცროსი ძე ლეონ II-ისა, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფე 861-868 წლებში. საუფლისწულო მამულად ჰქონდა წერეფი; აქედან, ზედნადებ სახელად – „წერეფელი“. თავგამოდებით იბრძოდა ქართლის დაუფლებისათვის. ბოლოს, შემლო კიდეც, ქართლში მმართველად ჩაესვა თავისი ძმისწული, ბაგრატ დემეტრეს ძე, მაგრამ თითქმის უმალვე გარდაიცვალა და ქართლის დაუფლება-შემოერთების საქმეც, „აფხაზეთის“ სასახლის კარზე გადატრიალების გამო, ჩაიშალა.

იოვანე შავლიანი – დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფე, 868-880 წლებში. სამეფო ძალაუფლება ხელთ იგდო შეთქმულებისა და უზურპაციის გზით. როცა მეფე გიორგი I მოკვდა (868 წ.), მისივე ანდერძით, „აფხაზეთის“ ტახტი უნდა დაეჭირა ძმისწულს, ბაგრატ დემეტრე II-ის ძეს. მაგრამ ქვრივი დედოფალი და სასახლის კარზე დაწინაურებული იოვანე შავლიანი (წარმომავლობით, სვანი) შეითქვნენ და ბაგრატს სიკვდილი დაუპირეს („შთააგდეს ბაგრატ ზღუასა“), მაგრამ ბაგრატი სიკვდილს გადარჩა და თავი კონსტანტინოპოლს შეაფარა. „აფხაზეთის“ ტახტზე იოვანე შავლიანი დაჯდა. შვილიც, ადარნასე, ტახტის მემკვიდრედ გაამზადა, ცოლად სამხრეთ საქართველოს (ტაო-კლარჯეთი) გავლენიანი მთავრის, გუარამ მამფალის ასული შერთო.

ადარნასე შავლიანი – ძე იოვანე შავლიანისა, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფე, 880-887 წლებში. ცოლად ჰყავ-

და ტაო-კლარჯეთის ძლიერი მთავრის, გუარამ მამფალის ასული.

ბაგრატ I – დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფის, დემეტრე II-ის ძე. ბიძამისმა, მეფე გიორგის I-მა, ბაგრატ ქართლის მმართველად დასვა, მაგრამ მალე, გიორგის გარდაცვალებისთანავე, ქვრივმა დედოფალმა და იოვანე შავლიანმა მოკვლა დაუპირეს („შთააგდეს ბაგრატ ზღუასა“), მაგრამ ბაგრატი გადარჩა და კონსტანტინოპოლს შეაფარა თავი. სანამ ის ბიზანტიაში იყო, „აფხაზეთის“ ტახტზე „შავლიანების“ დინასტია სუფევდა. მობრუნდა ბაგრატ უფლისწული ეგრის-აფხაზეთს, ბიზანტიური ჯარის თანხლებით მიუხდა ქუთათისს და მოკლა ადარნასე შავლიანი; მისი ქვრივიც, გუარამ მამფალის ასული ცოლად შეირთო და დაჯდა „აფხაზეთის“ ხელმწიფედ 887 წელს. იმეფა 893 წლამდე. იგი ამაოდ ცდილობდა თავისი გავლენა გაევრცელებინა ტაო-კლარჯეთზეც.

კონსტანტინე – ძე მეფე ბაგრატ I-ისა, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფე, 893-922 წლებში. 904 წელს მან „დაიპყრა ქართლი“. მაშინ გაერთიანდნენ ტაო-კლარჯეთის მეფე ადარნასე II და სომეხთა მეფე სუმბატი; ერთად შეებნენ და დაამარცხეს „აფხაზთა მეფე“. კონსტანტინემ სცადა მოწინააღმდეგეთა გათიშვა და სუმბატს ცალკე გაუმართა საზავო მოლაპარაკება. მაგრამ ადარნასე ქართველთა მეფემ ეს დროზე შეიტყო, კონსტანტინე სწორედ „სეპარატისტული მოლაპარაკების“ ჟამს თვითონ სომხებს გაათოკვინა და ანისის ციხეში ჩააგდებინა. დასავლეთ საქართველოში, ასეთი მუხანათობით „გადარეული მეგრელები“, „სამხრეთელ მეფეებზე“ შურის საძიებლად, თავისთვის ახალი, კონსტანტინეზე უფრო ძლიერი მეფის არჩევას შეუდგნენ. სუმბატ სომეხთა მეფე საშინლად დაფრთხა, „აფხაზთა სამეფო“ ტახტზე ისევ უფრო „თვინიერი“ კონსტანტინე ამჯობინა და იგი საპყრობილედან გაუშვა. ამან ადარნასე განარისხა და სომეხ მეფეს მტრად გადაეკიდა. 920 წელს კონსტანტინემ, კვირიკე კახთა ერისთავის მიწვევით, ჰერეთში ილაშქრა. ჰერეთის ერისთავმა,

აღარნასე პატრიკმა, ჯვრით ხელში სცადა სისხლისღვრის აღკვეთა. კონსტანტინემ ორი ციხე ჩაიბარა ჰერეთში – არიში და გავაზი. კვირიკემ ორჭობის ციხე მიიღო. მალე, ამის შემდეგ, 922 წელს, კონსტანტინე გარდაიცვალა და სამეფო ტახტისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდნენ მისი შვილები – გიორგი და ბაგრატი.

გიორგი II -- კონსტანტინე მეფის უფროსი ძე, „სრული ყოვლითა სიკეთითა, სიმხნითა და ახოვნებითა“, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფე, 922-957 წლებში. ტახტი განიმტკიცა მხოლოდ მას შემდეგ, როცა თავიდან მოიშორა მეორე პრეტენდენტი, მისი ნახევარძმა ბაგრატი. გიორგიმ თავისი უფროსი ძე, კონსტანტინე ქართლის მმართველად დასვა, მაგრამ შვილი აუჯანყდა და ქუთათისის ტახტის წართმევაც დაუპირა. გიორგიმ კახელები შემოიკავშირა, გადამტერებული შვილი დაამარცხა, შეიპყრო, თვალები დათხარა და დაასაჭურისა; ხოლო, ქართლი ახლა სამმართველოდ თავის მეორე ძეს, ლეონს გადასცა. იმჟამად კახეთში ახალი ერისთავი ავიდა საერისთავო ტახტზე - კვირიკე ფადლას ძე. ამ ახალ ერისთავს გარდაბნელი აზნაურები აუჯანყდნენ და დასახმარებლად გიორგის მოუხმეს. გიორგიმ მიწყევა სიამოვნებით მიიღო; ჯერ თვითონ ააოხრა კახეთი, მერე ლეონიც გაიყოლია და მამა-შვილმა ტყვედ აიყვანა კვირიკე ერისთავი. კვირიკემ მთელი კახეთი ქუთათისელ მეფეს ჩააბარა და ტყვეობიდან თავი ასე დაიხსნა. მაგრამ მალე ქართლელმა და კახელმა აზნაურებმა კვირიკე შეაგულიანეს და გიორგის წინააღმდეგ იარაღი ააღებინეს. გიორგიმ ლეონი გაგზავნა კახეთის ხელახლად დასამორჩილებლად. ლეონიც შეეცადა კახეთში, მაგრამ მოულოდნელად მამის გარდაცვალების ამბავი შეიტყო (957 წ.) და კვირიკეს დაუზავდა, დაუმოყვრდა კიდეც. გიორგი მეფეს დიდი გავლენა ჰქონდა სამხრეთ საქართველოზეც. მისი ასული გურანდუხტი ცოლად ჰყავდა გურგენ II მეფეთამეფეს (ამათგან დაიბადა საქართველოს დიდი ხელმწიფე ბაგრატ III);

გიორგი იყო დაუღლელი მაშენებელი ეკლესიათა და ციხე-სიმაგრეთა. მან ააშენა დიდებული ჭყონდიდ-მარტყოფის ტაძარი.

ლეონ III – მეფე გიორგი II-ის მეორე ვაჟი, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის") მეფე, 957-967 წლებში. როცა გიორგი II-მ უფროსი ძე, ქართლის მმართველი კონსტანტინე ღალატისთვის დააბრმავა და დაასაჭურისა, მის ადგილზე ქართლის მმართველად ლეონი დანიშნა. ამის შემდეგ ლეონი მამას კახეთის დამორჩილებაში ეხმარებოდა. ბოლოს კახეთის დამორჩილება მთლიანად ლეონის წინამძღოლობით განესრულა. მამის სიკვდილმა (957 წ.) ლეონს კახელებთან ზავი დააჩქარებინა. იგი კახეთის ერისთავს, კვირიკეს, კიდევაც დაუმოყვრდა: ლეონის ასული ცოლად შერთეს კვირიკეს ძეს. მაგრამ ეს ქალი მალე მოკვდა და ლეონი – უკვე მეფე ლეონ III, ისევ შეესია კახეთს, ააოხრა არაგვისპირები, მუხნარი, ხერკი და ბაზალეთი. ლეონის დროს აშენდა მოქვისა და კუმურდოს ტაძრები. ლეონ III გარდაიცვალა 967 წელს; დარჩა ორი ძე, დემეტრე და თეოდოსი.

დემეტრე III – მეფე ლეონ III-ის უფროსი ძე, დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის") მეფე, 967-975 წლებში. გამეფებისთანავე მას ტახტისათვის ბრძოლა გაუმართა უმცროსმა ძმამ, თეოდოსიმ, რომელიც მანამდე კონსტანტინოპოლში იმყოფებოდა. ჯერ სამცხეს მოვიდა თეოდოსი და აქ შეუდგა მომხრეთა შეკრებას. აქვე მას მოულოდნელად თავს დაეცა დემეტრეს ლაშქარი. თეოდოსი სამცხიდან ქართლში გაიქცა და ძმას ერისთავს, ადარნასეს შეაფარა თავი. სამი თვის უშედეგო წინააღმდეგობის შემდეგ, თეოდოსი კახეთს გაიქცა და იქ შეეფარა. დემეტრემ კახეთის ერისთავს, კვირიკეს შეუთვალა – ჩემი ძმა შენის შუამდგომლობით გამომიგზავნე და ჩვენ თვითონ მოვრიგდებით სამეფოს გაყოფაშიო. კვირიკე დათანხმდა. ძმები თავიანთი თანამოაზრე მხარეებით ერთმანეთს შეხვდნენ მცხეთის სვეტიცხოველში და აქვე შეფიცეს, „მხურვალე ფიცით", ურთიერთ

შერიგება და ფიცის გაუტეხლობა. მაგრამ როგორც კი მეტოქე ძმა ხელთ მოიხელთა, ფიცის გატეხვა არად ჩააგდო და თეოდოსის თვალები დასთხარა. მალე ამის შემდეგ ოვითონ დემეტრე მეფეც გარდაიცვალა (975 წ.) უშვილძიროდ. ქუთათისის ტახტი დაიჭირა უსინათლო თეოდოსიმ.

თეოდოსი II – მეფე ლეონ III-ის უმცროსი ძე, ქუთათისის ტახტისთვის ებრძოდა უფროს ძმას, მეფე დემეტრე III-ს, რომელმაც იგი, ბოლოს, მოტყუებით ხელში ჩაიგდო და თვალები დათხარა. მალე დემეტრეც მოკვდა და თვალდაშრეტილი თეოდოსი მაინც გამეფდა, იმეფა სამი წელიწადი (975-978). მას შემდგომ კი ქუთათისის ტახტზე ადის ახალი, გაერთიანებული საქართველოს ხელმწიფე, ბაგრატ III.

5. ერთიანი საქართველოს მეფენი

ბაბრატ III სრულიად საქართველოს მეფე, 978-1014 წლებში, ძე გურგენ II მეფეთმეფისა, შვილიბილი და აღზრდილი დავით III მეფეთაძეფე კურაპალატისა. ბაგრატის დედა გურანდუხტი (გურგენ II-ის მეუღლე) დახავლეთ საქართველოს მეფის, გიორგი II-ის ახული იყო. ამიტომ ბაგრატი ხაუკეთესო კანდიდატი უნდა ყოფილიყო გაერთიანებული საქართველოს ტახტზე. 975 წელს დავით III-მ, თანე ძარეშისძის ხელშეწყობით, ბაგრატი ქართლის ტახტზე დასვა, ხოლო 978 წელს დახავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“), ანუ ქუთაისის ტახტეც დაუმკვიდრა. ბაგრატი ენერგიულად მოქმედებდა. მან გაანადგურა ქართველ აზნაურთა შეთქმულება, რომელსაც ქუთარ ტბელი მეთაურობდა. დაიმორჩილა კლდეკარის ერისთავი რატი ლიპარიტის ძე. 1001 წელს გარდაიცვალა დავით III, ხოლო 1008 წელს გურგენ II, და სამხრეთ საქართველოც ბაგრატის ხელში გადავიდა. 1010 წელს ბაგრატ III-მ შემოიერთა კახეთ-ჰერეთი და ამით ხუთსუბთ დასრულდა საქართველოს გაერთიანება. ბაგრატმა გაანადგურა ტახტის მოცილე ბაგრატიონთა უკანასკნელი ნარჩენები. 1011 წელს ბაგრატ III შეიჭრა განძის საამირაოში; მას უნდა დაესაჯა ამირა ფადლონი, რომელიც აქამდე ხშირი თავდასხმებით აწუხებდა ჰერეთს და კახეთს. ფადლონი შანქორში ჩაიკეტა. ქართველებმა კელელგალავანნი მიუნგრიეს შანქორს. ფადლონმა სიცოცხლის დანარჩენება ითხოვა და სამაგიეროდ სრული მორჩილებისა და მოხარკეობის პირობა დასდო. შემდეგ ბაგრატმა დალაშქრა და დაიმორჩილა მთელი ჩრდილოეთ კავკასია ჯიქეთიდან კასპიის ზღვამდე. ბაგრატი ეწეოდა დიდ კულტურულ საქმიანობას. მან ააშენა

მოწამეთის ეკლესია და ბრწყინვალე ტაძრები ბედიას და ქუთათისს. განსაკუთრებით დიდებული იყო ქუთათისის ტაძარი („ბაგრატის ტაძარი"), რომლის აშენებასა (1003 წელს) და კურთხევაზე ბაგრატ მეფემ მრავლად აწვია შინაურებიც და უცხოელებიც, მეფეებიც და მდაბიოებიც, საძღვდელონიც და საერონიც. ბაგრატი გარდაიცვალა ტაოში, 1014 წლის 7 მაისს, პარასკევს. გამეფდა 15 წლისა, იმეფა 36 წელიწადი, აღესრულა 51 წლისა. ზვიად ერისთავთერისთავმა ტაოდან წამოასვენა და ბედიის მონასტერში დაკრძალა. დარჩა ერთადერთი შვილი, გიორგი, 12 წლისა, რომელმაც დაუყოვნებლივ დაიჭირა ერთიანი საქართველოს ტახტი.

გიორგი I – ძე ბაგრატ III-ისა, სრულიად საქართველოს მეფე, 1014-1027 წლებში. იყო ნიჭიერი და მამაცი ხელმწიფე, „ახოვან და ყოვლითურთ უშიში, ვითარცა უხორცო". გამეფების წელს განუდგა კახეთ-ჰერეთი. სამხრეთ-ქართული პროვინციებისთვის დიდი ომები ჰქონდა ბიზანტიის კეისარ ბასილი II-სთან. 1014-1016 წლებში მან დაიბრუნა ტაო-ბასიანის მხარე, რომელიც ადგილობრივ აზნაურთა ღალატის წყალობით 14 წელიწადი ეპყრათ ბიზანტიელებს. ბიზანტიასთან შემდგომი ომისათვის გიორგი კავშირს ეძიებდა ეგვიპტის ხალიფა ალ-ჰაქიმთან. კავშირი არ შესდგა. 1021 წელს, სოფელ შირიმთასთან, ქართველები ბიზანტიელებთან ომში დამარცხდნენ. მომდევნო წელს ბასიანში კესიარმა ბასილი II-მ რუსთა რაზმებიც გამოიყვანა ბრძოლაში. (მაშინ პირველად შეხვდნენ ერთმანეთს რუსები და ქართველები). ქართველებმა ბრძოლა ისევ წააგეს. 1022 წელს დაიდო ზავი. ტაო ისევ ბიზანტიის საზღვრებში დარჩა. გიორგის ვაჟი, ოთხი წლის ბაგრატი (შემდგომში მეფე ბაგრატ IV), სამი წლით მძევლად წაიყვანეს კონსტანტინოპოლს. 1027 წელს გიორგი პირველი გარდაიცვალა, თრიალეთს. გამეფდა 12 წლისა, იმეფა 13 წელიწადი, აღესრულა 25 წლისა. დაიკრძალა ქუთათისში. დარჩა ქვრივი დედოფალი მარიამი, ერთადერთი ძე, ბაგრატი, და ორი ასული –

გურანდუხტი და კატაი. გარდაცვლილ მეფეს ჰყოლია კიდევ „მეორე ცოლი“, ოვსთა მეფის ასული, სახელად ალდე, რომლისგანაც დაბადებულა დემეტრე (ამ დემეტრეს შტოსაგან, მეექვსე მუხლად, წარმოსდგება თამარ მეფის ქმარი დავით სოსლანი).

ბაგრატ IV - ძე გიორგი I-ისა, სრულიად საქართველოს მეფე, 1027-1072 წლებში. 1022 წელს, ოთხი წლისა მძეულად წაიყვანეს ბიზანტიას. დაბრუნდა სამი წლის შემდეგ. საქართველოს სამეფო ტახტზე ავიდა ცხრა წლისა (1027 წ.). დიდი მტრობა ჰქონდა ბიზანტიის კეისარ კონსტანტინე VIII-სთან ტაოსათვის. 1030 წელს დედამისი მარიამი კონსტანტინოპოლს ეწვია, მშვიდობა აღადგინა კეისარ რომანოზ III-სთან. მისი ძმისწული ელენე კი ცოლად ჩამოუყვანა ბაგრატს. ელენე მალე მოკვდა უშვილოდ. ბაგრატმა მეორე ცოლად შეირთო ოვსთა მეფის ასული ბორენა, რომლისგანაც შეეძინა გიორგი (შემდგომ მეფე გიორგი II), მართა (იგივე მარიამი, შემდგომ ბიზანტიის დედოფალი) და კიდევ ერთი ასული (სახელი უცნობია). 1032 წელს ბაგრატმა, ეკლეცთან ბრძოლაში, სასტიკად დამარცხა განძის ამირა ფალდონი. ქვეყნის შიგნით დიდი მტრობა ჰქონდა ფეოდალებთან, განსაკუთრებით კლდეკარის ერისთავ ლიპარიტ ლიპარიტის ძე ბალვაშთან. 1037-1038 წლებში ბაგრატმა ტფილისი ალყაში მოაქცია და ის იყო კიდეც უნდა აეღო, მაგრამ სამხრეთიდან თურქ-სელჩუკთა შემოსევის საფრთხემ იძულებული გახადა ტფილისის ამირას დაზავებოდა. 1044 წელს ბაგრატმა წარმატებით ილაშქრა კახეთს. მაგრამ მის შემოერთებას ხელი შეუშალა ზურგიდან ლიპარიტ ბალვაშის გამოსვლამ. 1045 წელს მეფემ აბენთან მომხდარ ბრძოლაში დამარცხა ტახტის მოცილე ნახევარძმა დემეტრე (ოვსის ქალისაგან), რომელსაც მხარეში უდგნენ ბიზანტიელები და ლიპარიტი. 1045 წელს ბაგრატმა, სომეხთა თხოვნით, დაიჭირა ქალაქი ანისი, 1045 წელს პირველად შეიერთა ტფილისიც, მაგრამ მალე, ისევ ფეოდალთა ღალატის წყალობით, ტფილისიც დაკარგა და ანისიც. 1047 წელს, სასირეთის

ჭალაზე გამართულ ბრძოლაში ლიპარიტ ბაღვაშმა დაამარცხა ბაგრატი. იმავე წელს ისევ გაიმარჯვა ლიპარიტმა არყის ციხესთან მოიმხდარ შეტაკებაში. 1054 წელს ბაგრატი კონსტანტინოპოლს ჩავიდა და კეისარ კონსტანტინე მონომახისს ლიპარიტთან შერიგების შუამდგომლობა სთხოვა. კეისარმა ისინი დაიხვეწა. ლიპარიტმა ბაგრატის მეფობა აღიარა, თავისთვის მესხეთისა და ქართლის ერისთავთერისთავობა დაიმტკიცა. ბაგრატი ბიზანტიაში საბერ წელი დარჩა. ამასობაში, ლიპარიტის დაბეჯითებითი მოთხოვნით, საქართველოს მეფედ ბაგრატის მცირეწლოვანი ძე, გიორგი გამოცხადდა, რომელსაც მზრუნველად თვითონ ლიპარიტი დაენიშნა. 1057 წელს ბაგრატი მოიბრუნდა ბიზანტიიდან. მალე ამის შემდეგ, მესხმა აზნაურებმა ლიპარიტი შეიპყრეს და ბაგრატს მოჰგვარეს. მეფემ იგი ბერად აღკვეცა, საქართველოდან ბიზანტიაში გააძევა. 1060 წელს ბაგრატმა შემოიერთა ჰერეთ-კახეთი. 1065 და 1068 წლებში თურქ-სელჩუკებმა, სულტან ალფ-არსლანის მეთაურობით, ორჯერ სასტიკად ააოხრეს საქართველო. 1069 წელს ბაგრატმა გაანადგურა საქართველოში შემოჭრილი განძის ამირა ფადლონი. იმავე წელს ბაგრატმა მეორედ აიღო ტფილისი, მაგრამ შიგ ისევ არაბი ამირა ჩააყენა და ყოველწლიურ ხარკად 44000 დრაჰკანი დააკისრა. 1070 წელს ბაგრატმა ქართველთა და მოკავშირე-მოყვარე ოვსთა ჯარები, უფლისწულ გიორგის სარდლობით, განძას შეუსია და ფადლონი ერთხელ კიდევ გაანადგურა. 1071 წელს ბაგრატის ასული მართა (მარიამი) ბიზანტიის დედოფალი შეიქნა, მისი მეუღლე მიხეილ VII დუკა პარაპინაკი, აქამდე უფლისწული, უკვე ბიზანტიის საიმპერატორო ტახტზე ჯდება. 1072 წელს, 24 ნოემბერს, მეფე ბაგრატ VI გარდაიცვალა „მუცლის სალმობით". დაკრძალეს ჭყონდიდს, „კაცი უმშვენიერესი ყოველთა კაცთასა", „სრული სიბრძნითა ფილოსოფოსისათა", რომელსაც უყვარდა შეგონება: „ვიდრე თვალითა არა ვიხილო, არა ვიწამო". გამეფდა 9 წლისა, იმეფა 47 წელიწადი, აღესრულა 56 წლისა.

გიორგი II — ძე ბაგრატ IV-ისა, საქართველოს მეფე, 1072-1089 წლებში. მცირეწლოვანი გიორგი მამამ, კონსტანტინოპოლს წასვლისას (1054 წ.), თავის ადგილას დატოვა ქუთათისის ტახტზე. ერთი წლის შემდეგ, ბაგრატზე მტრად გადაკიდებულმა ლიპარიტ კლდეკარის ერისთავმა რუისში, გიორგი სრულიად საქართველოს მეფედ აკურთხებინა და „მზრდელად“ თვითონვე დაუდგა. როცა ბაგრატი კონსტანტინოპოლიდან მობრუნდა (1057 წ.), გიორგიმ მამას ტახტი დაუბრუნა. 1070 წელს ბაგრატმა გიორგი ქართველთა და ოვსთა ჯარებს უსარდლა და განძას გაგზავნა. გიორგიმ ამირა ფადლონი გაანადგურა, განძა აიღო და დიდი ნადავლით დაბრუნდა უკან. 1072 წელს კი, მამის სიკვდილის შემდეგ, იგი ავიდა საქართველოს სამეფო ტახტზე. გიორგი არ იყო მტკიცე პიროვნება. სიმამაცე და რაინდული სიქველე არ აკლდა, მაგრამ ნებისყოფით იყო ლბილი და მერყევი. მისი სტიქია ნადირობა და ნადიმობა იყო, მაშინ როცა ქვეყანას უმძიმესი განსაცდელი აწვა. 1073 წელს მეფეს განუდგნენ ნიანია ქვაბულის ძე, ივანე ლიპარიტის ძე ბაღვაში და ვარდან სვანთა ერისთავი. მეფემ ისინი დაამარცხა, მაგრამ დასჯის მაგივრად დაასაჩუქრა: ივანეს სამშვილდე და ლოწობანი მისცა, ნიანიას — თმოგვი, ვარდანს — ასკალანა. 1074 წელს თურქ-სელჩუკები შემოესივნენ საქართველოს. გიორგიმ ისინი ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა. 1074 წელს, ბიზანტიის განთქმულმა ქართველმა სარდალმა და პოლიტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანისძემ, გიორგის მისცა ქალაქი კარი. 1079-1080 წლებში საქართველოში დაიწყო თურქთა განუწყვეტელი შემოსევები („დიდი თურქობა“). ქვეყანა აოხრდა, გაიძარცვა და გაწყდა. გიორგი იძულებული გახდა სულტან მალიქ-შაჰს სწვეოდა ზავის ჩამოსაგდებად. მალიქ-შაჰმა მაოხარი ლაშქრობები საქართველოზე შეწყვიტა, სამაგიეროდ გიორგის ხარაჯის გადახდა დააკისრა. გიორგიმ კახეთის შემოერთება სცადა და ვეჟინის ციხეს ალყად შემოადგა. ალყა მთელი შემოდგომა

გაგრძელდა, როცა თოვა დაიწყო, გიორგიმ ვეყინს ალყა მოხსნა და აჯამეთის ტყეებს მიაშურა სანადიროდ. 1088 წელს საქართველო საშინელმა მიწისძვრამ დააქცია. 1089 წელს გიორგი მიხვდა, რომ უმძიმეს კრიზისში ჩავარდნილ ქვეყანას ვერ უვლიდა და მეფობა თავის ძეს, 16 წლის დავითს გადაულოცა. გიორგი II გარდაიცვალა 1112 წელს.

დავით IV აღმაშენებელი – ძე გიორგი II-ისა, საქართველოს უდიდესი ხელმწიფე, 1089-1125 წლებში; უბრწყინვალესი მხედარი და მხედართმთავარი, მრავალმხრივი რეფორმატორი და ორგანიზატორი, უგანათლებულესი მწიგნობარი და კულტურტრეგერი, უბრძენესი ხელისუფალი და პოეტი-ჰიმნოგრაფი (ავტორი ლექსისა – „გალობანი სინანულისანი“). გამეფდა 1089 წელს, მამის, გიორგი II-ის სიცოცხლეშივე. საქართველო მან ჩაიბარა კატასტროფულ მდგომარეობაში მყოფი. – თურქთაგან სრულიად დაქცეული, „მოჭმული“ და ამოწყვეტილი, ფეოდალურად დაქუცმაცებული და დაკნინებული. გამეფებისთანავე დავითმა შემოიკრიბა ქართველი პატრიოტები, შეადგინა საკუთარი ჯარი-გვარდია („მონა-სპა“) და დაიწყო ბრძოლა თურქთა გასადევნად, საქართველოს გასათავისუფლებლად და გასაერთიანებლად. გაანადგურა გაურჩებული კლდეკარის ერისთავები ლიპარიტ ივანეს ძე და რატი ლიპარიტის ძე, ასევე ძაგან ერისათვი. 1099 წელს თურქთა სულტანს შეუწყვიტა ხარკის გადახდა. 1101 წელს აიღო ზედაზნის ციხე. 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე გაატარა რეფორმა, რომლის ძალით, საეკლესიო თანამდებობიდან გადააყენა უღირსი სამღვდელონი. ამიერიდან სასულიეროთა და საეროთა დაწინაურება ხდებოდა არა წარჩინებულობისა და წოდებრიობის მიხედვით, არამედ მხოლოდ პირადი ღირსებების გათვალისწინებით. დაახლოებით იმავე ჟამს შექმნა დავითმა „სავაზირო“ („მთავრობა“), რომელსაც სათავეში ჩაუყენა

მწიგნობართუხუცესი გიორგი ჭყონდიდელი (ერთსა და იმავე დროს, საერო და სასულიერო ხელისუფალი). 1104 წელს, ერწუხთან გამართულ ბრძოლაში, გაანადგურა თურქები. 1110 წელს აიღო სამშვილდე და ძერნა, იმავე წელს თრიალეთში მოსპო თურქთა უზარმაზარი მხედრობა, 1115 წელს თურქებს წაართვა რუსთავი. 1116 წელს თურქთა დიდი ბანაკი გაანადგურა ტაოში, 1117 წელს აიღო გიში და ქალაძორი (შირვანში), 1118 წელს თურქები მოსპო რახსის პირას, იმავე წელს აიღო ლორე და აგარანი. 1118-1119 წლებში გაატარა სამხედრო რეფორმა: ჩრდილოეთიდან გადმოასახლა 200000 ყივჩაყი — 40000 ოჯახი; ყოველი ოჯახიდან ერთი მეომარი მუდმივ ჯარისკაცად გაამწესა; ამას გარდა ჰყავდა 5000 მონა-სპა და ქართველთა ლაშქარი, საჭიროების დროს „ქუდზე კაცის“ დაძახილით. 1118 წელს დაიმორჩილა ოვსეთი, 1120 წელს გაანადგურა თურქები ბორტიასთან, იმავე წელს შირვანში აიღო: ყაბალა, ლიჟათი, ქურდევანი, ხოლო სამხრეთით გაანადგურა თურქები აშორნიას, სევგელმეჯს. რამდენჯერმე ილაშქრა სომხეთში, სპარსეთსა და სირიაში. 1121 წელს მოსპო თურქთა მხედრობა ხუნანს, ბარდავს და განძას. იმავე 1121 წლის 12 აგვისტოს გადაიხადა ყველაზე დიდი ბრძოლა — დიდგორის ომი, სადაც 56000 მეომრით სრულიად გაანადგურა მაჰმადიანთა კოალიციური 400000-ანი ურდო. მომდევნო 1122 წელს გაათავისუფლა ტფილისი და საქეფო ტახტიც აქვე გადმოიტანა ქუთათისიდან. 1123 წელს აიღო დმანისი, შირვანში — გულისტანი, შაბურანი, ღასანნი, ხოზაონდტი და დარუბანდი, სომხეთში: გაგნი, ტერონაკალი, ქავაზინნი, ნორბედი, მანასგომნი, ტალინჯაქარი. იმავე წელს, თურქები გაანადგურა ჯავახეთს, კოლას, კარნიფორას, ბასიანსა და სპერს; მას უკან, შემოიმტკიცა ანისი, ვანანდი, არარატი, ხაბანდა, არცახი, 1124 წელს ხელახლა დაიმორჩილა შირვანი — შემახია, ბირიტი, დარუბანდი. ამგვარად, დავით აღმაშენებელმა თავისი სკიპტრის ქვეშ მოაქცია და გააერთიანა

კავკასიის ხალხები და შექმნა მძლავრი „კავკასიური იმპერია“, რომელიც გაშლილი იყო „ნიკოფსიიდან (ტუაპსე) დარუბანდამდე (დერბენდი) და ოსეთიდან არეგაწამდე (სამხრეთ სომხეთი)“. მის სახელმწიფოში ყველა ერი ცხოვრობდა სრული თანასწორობით, თანადგომითა და თანაძმობით, განურჩევლად მათი ტომობრივი წარმომავლობისა და რელიგიური აღმსარებლობისა. დავითი იყო დაუცხრომელი კულტურული აღმშენებლობის მოთავე თავად დიდი მწიგნობარი, მუდამ ზრუნავდა განათლებული საზოგადოების აღზრდისათვის, ახალგაზრდობას აგზავნიდა უცხოეთის კულტურულ ცენტრებში სასწავლებლად. თვითონ საქართველოში დიდი კულტურული სავანეები ააშენა. 1106 წელს დაიწყო სახელოვანი გელათის მშენებლობა, ვითარცა „მეორე იერუსალიმი“ და „მეორე ათინა“. აქ დააარსა ცნობილი „გელათის აკადემია“, სადაც სამოღვაწეოდ ჩამოიყვანა საზღვარგარეთ სახელგანთქმული ქართველი მეცნიერები, მწერლები, ფილოსოფოსები, მათგან – იოანე პეტრიწი და არსენ იყალთოელი. აკადემიები დააარსა აგრეთვე იყალთოში, გრემში, მღვიმევში. დავითს სიჭაბუკეში ცოლად შეროეს სომეხი ქალი, შეეძინა უფლისწული დემეტრე (შემდგომ – მეფე დემეტრე I). პირველი ცოლის შესახებ სხვა არაფერია ცნობილი. მეორე ცოლად მოიყვანა გურანდუხტი, ყივჩაყთა მთავრის, ათრაქა შარაღანის ძის ასული, რომლისგანაც შეეძინა კიდევ ერთი ძე – ვახტანგი (ცუატა), და ასულნი – თამარი, კატა და თამარ მრწემი. თამარ უფროსი ცოლად ჰყავდა შირვანის შაჰს, მანუჩარ II-ეს, კატა – ბიზანტიის კეისარ იოანე კომნენოსის უმცროს ძმას, ალექსის, ხოლო თამარ მრწემი – ოსეთის მეფეს (დემეტრე I-ის დროს მისოხოვდა). ვახტანგი, დავითის საგანგებო ანდერძით, დემეტრეს უნდა აღეზარდა და თავის შემდგომ სამეფო მისთვის დაეტოვებინა. დემეტრე ამ ანდერძს არ შეასრულებს... დავითი იყო „შუენიერ ხატითა, უშუენიერეს მორთულობითა გუამისათა, შეწყობილ ანაგებითა

და ახოვან ტანითა, ძლიერ ძალითა, უძლიერეს სიმახვილითა, საწადელ ღიმილითა, უსაწადლეს მეშუნვარებითა, მაღლიერ ხედვითა, საზარელ ლიმებრ მკრთალობითა". გარდაიცვალა 1125 წლის 24 იანვარს. გამეფდა 16 წლისა. იმეფა 36 წელიწადი, აღესრულა 53 წლისა. დაკრძალეს მისგანვე აგებულ გელათის, ამიერიდან ერთიანი საქართველოს მეფეთა საძარხ-სამარტვილეში. ისტორიაში დამკვიდრდა ხალხისგან შერქმეული უბრწყინვალესი ზედსახელით „აღმაშენებელი" და ტიტულატურით - „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშაჰ და შაჰინშაჰ და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა თვითმფლობელობით მპყრობელი". მისი სახელი შერჩა ქართულ ხმალს („დავითფერული") და ქართულ დროშას („დავითიანი").

დემეტრე (დემეტრე) I ძე დავით IV აღმაშენებლისა, საქართველოს მეფე 1125-1156 წლებში. იგი დავითს შეეძინა პირველი ცოლისგან, სომხის ქალისგან. დავითი დემეტრეს ყრმობიდანვე აჩუქა საამხედრო და საამოქალაქო საქმეთა გაძღოლას. დემეტრემაც ჭაბუკობიდანვე გამოიჩინა თავი ნიჭით, მხედრული სიმამაცით და სიქველით. 1117 წელს დავითმა იგი წარგზავნა შირვანს სალაშქროდ. დემეტრემ ბრწყინვალედ ჩაატარა ეს ლაშქრობა. მტერი გაანადგურა, ქალაქი ქალაქორი აიღო და დიდი ნადავლით დაბრუნდა უკან. გამეფების წელს (1125 წ.) თურქები გაძეცა ლმანისიდან და ხუნანიდან. მის დროს ანისს ისევ დაბრუნდნენ მაჰმადიანი მმართველები, მაგრამ დემეტრემ ისინი აიძულა საქართველოს ერთგულ ყმადნაფიცებად დარჩენილიყვნენ ბოლომდე. 1138 წელს დემეტრემ ილაშქრა განძას, აიღო იგი, მოხსნა მთავარი ალაყაფის კარები და ჩამოიტანა გელათს (დღემდე გელათს ინახება). სასახლის კარზე კი დემეტრეს დასახსნობად შეთქმულება მოეწყო. შეთქმულებს დემეტრე უნდა ჩამოეგდოთ და ტახტზე დავითის მეორე ძე (ყივჩაყის ქალისაგან), ვახტანგი, ანუ ცუალა აეყვანათ. დემეტრემ შეთქმულებს დაასწრო, ვახტანგს თვალები

დაიხარა, შეთქმულებს თავები დააყრევინა. 1150 წელს მეორედ მოუწყვეს შეთქმულება, რომელსაც ამჟამად მისივე უფროსი ძე, დავითი მეთაურობდა. დავითი ვერ შერიგებოდა იმას რომ ტახტის მემკვიდრედ დემეტრე უმცროს ძეს გიორგის ამზადებდა. დემეტრემ ეს შეთქმულებაც დროზე გაიგო, შვილს აპატია, მაგრამ მისი თანაშეთქმულნი ზოგი დახოცა, დანარჩენები საქმობლოდან გააძევა. 1153 წელს ანისს შემოესია აქირა სალდუხ. დემეტრემ სალდუხი სასტიკად დაამარცხა, ტყვედაც წაქოიყვანა. 1155 წელს მას მაინც წაართვა ტახტი დავითმა. დემეტრე ბერად შედგა, დამიანე ბერის სახელით, დავით-გარეჯის მონასტერში. აქვე დაწერა მან ცნობილი საგალობელი:

შენ ხარ ვენახი, ახლად აღყუავებული,
ნორჩი კეთილი, ედემში დანერგული,
ალვა სულნნელი, საკოთხით გამოსრული,
ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული,
და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინვებული.

მისი შვილი კი, დავით V-ედ წოდებული, გამეფებიდან მეექვსე თვეს გარდაიცვალა. დემეტრემ მაშინვე ბერის ჩოხა გაიძრო და ისევ დაიდგა თავზე საქართველოს მეფის გვირგვინი, თანამოსაყდრედ კი (თანამმართველად) უმცროსი ძე, გიორგი დაისვა. სულ ცალე თვითონაც გარდაიცვალა (1156 წ.) და ტახტი დარჩა მის ძეს, გიორგი III-ეს. დემეტრე ახოვანი, მშვენიერი კაცი იყო, მამაცი, უხვი და კეთილი. მან დაასრულა და აკურთხა გელათის ტაძარი (1125 წ.) დაიკრძალა იქვე, გელათში;

დავით V – უფროსი ძე დემეტრე I-ისა, შვილიშვილი დავით აღმაშენებლისა, საქართველოს მეფე, 1155 წელს. მამას ებრძოდა ტახტისათვის, რადგან დემეტრეს უმცროსი შვილი, გიორგი, უფრო უყვარდა და სამეფოდ მას ამზადებდა. მამამ შვილი ვერ გაიმეტა და ბოლოს, 1155 წელს, ბერად შედგა. დავითი გამეფდა, მაგრამ

გამეჯვნიდან მხოლოდ ექვსი თვე იცოცხლა. დაკრძალულია გელათს.

გიორგი III – უმცროსი ძე დიმიტრე I-ისა, შეილიშვილი დავით აღმაშენებლისა, საქართველოს დიდი ხელმწიფე, 1156-1184 წლებში. მისდევდა ფარული ხასიათის საგარეო პოლიტიკას; დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს სამეფლობელო საზღვართა გასაფართოებლად. 1156 წელს კალზეანის ომში ერეკლეს ... 1161 წელს აიღო და შემოიერთა ანისი. იმავე წელს გაანადგურა 80000-ანი მუსლიმანური მხედრობა, რომელთაც მეთაურობდნენ: შაჰარმენ სულტანი ნასირ ადდინ სუკმან II, დიარბეკარის ამირა კუტბ ადდინ ილღაზი და არზრუმის ამირა ალ-მელიკ სალიკ-სალდუხი. 1161 წელს წარმატებით ილაშქრა არზრუმს და დაატყვევა თვითონ არზრუმის ამირა. მომდევნო წელს კი, გიორგიმ აიღო დვინი და გაგი. 1167 წელს მან გაილაშქრა შირვანს, დააკავა მუსკური, შარაბამი, შაბურანი და დარუბანდი. შარვანშა ტარტი განუმტკიცა თავის მამიდაშვილსა და ქვეშევრდომს ალსართანს. იმავე წელს ილაშქრა ბასიანს, ნახჭევანს, მასისს, ლალეას, ბარდავს და ბელაყანს. 1173 წელს ხელმეორედ აიღო ანისი. იმავე წელს კიდევ ერთხელ სასტიკად დაამარცხა თურქები. კვლავ იმავე წელს, გიორგის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყო მისმა ძმისწულმა (დავით V-ის ძემ) ლემნა ბატონიშვილმა. გიორგი შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა: ლემნას თვალები დასთხარა და დაასაჭურისა, მისი თანამდგომნი კი დახოცა. გიორგი იყო უმამაცესი მეომარი. გამჭრიახი სარდალი და პოლიტიკოსი, „ლომთა უმხნესი და არწივთა უმაღლესი", მოტრფიალე ნადირობისა, ლხინისა და დროსტარებისა, ბუნებით ხალისიანი, ოჯახურ გარისხების ჟამს ფრიად სასტიკი და დაუნდობელი. ჭაბუკობისას ერამამ ცოლად შეროო ოვსთა მეფის ასული, ბურდუხან (ძალიან ლამაზი ქალი, „მისებრი სიალი არა ეხილა ქართლის თემსა"). ამ შეუღლებისგან წარმოიშვა ჯერ, სახელოვანი თამარი, შემდეგ – რუსუდანი. გიორგი III გარდაიცვალა კახეთს, 1184 წლის

27 მარტს, ვნების კვირის სამშაბათს. ჯერ დაკრძალეს მცხეთას, იმავე წელს გადაასვენეს გელათს.

თამარ მეფე – ახული გიორგი III-ისა, საქართველოს უდიდესი ხელმწიფე, 1184-1210 წლებში; განთქმული ლეგენდარული სიმშვენიერით, უზენაესი სიბრძნითა და უსაზღვრესი ზნეობით. დაიბადა 1166 წელს; მამამ, გიორგი III-მ, თანამოსაყდრედ (თანამმართველად) დასვა 1178 წელს, ხოლო ერთპიროვნული ხელმწიფედ, „მეფეთ-მეფის“ ტიტულით, შეიქნა იგი 1184 წელს (მამის სიკვდილის შემდეგ). გამეფებისთანავე თამარი დიდგვარიანმა ფეოდალებმა აიძულეს მალალი თანამდებობიდან გადაეყენებინა „უფალი“ ვაზირები (ეუბასარი და აფრიდონი). შემდეგ, მეგობრულეთუხუცესი ყუთლუ-არსლანის „დასმა“ სცადა თამარისთვის უმაღლესი საკანონმდებლო ძალაუფლებების ჩამორთმევა და საამისოდ ცალკე დაწესებულების, „ისნის კარავის“ დაარსება. ყუთლუ-არსლანი თამარის ბრძანებით შეიპყრეს და დილეგში ჩააგდეს. მაშინ ჰყრიბილის ძიმრეებმა აჯანყება დააპირეს. თამარმა საიმრად აღძრულთა ბანაკში შეაძავლებად ორი ქალი, „საპატიო დიოფალნი“ გაგზავნა ხუაშაქი ცოქალი და კრავაი ჯაყელი. და ამ მანდილოსანმა ძოციქულებმა დააცხრეს „დასველების“ ძველებურება, და ქალი-ხელმწიფის წინაშე მუხლიც მოაყრევინეს. ამრიგად, თამარმა ამ გამოსვლის დათრგუნვა შესძლო, თუმცა „დარბაზის“ უფლებები მნიშვნელოვნად გააფართოვა. თამარის დროს ქართველებმა გარეშე მტრებთან ძრაფალი ძლევამოსილი ბრძოლა გადაიხადეს. ამათგან ყველაზე საყურადღებოა: არანსა და გელაქუნს (1184 წ.), კლარჯეთსა და შავშეთს (1184 წ.), კარს, კარნიფორასა და ბასიანს (1185 წ.), დვინს (1186 წ.), პართიას (1187 წ.), განძას (1187 წ.), ტაოს (1189 წ.), ბარდავს (1193 წ.), არზრუმს (1193 წ.), გელაქუნს (1193 წ.), არაქსის ხეობას (1193 წ.), შამქორს (1195 წ.), განძას (1195 წ.), ამბერდს (1196 წ.), განძას (1202 წ.), დვინს (1202 წ.), არტაანს (1203 წ.), ადარბადაგანს (1203 წ.),

ხლათის (1204 წ.), კარს (1204 წ.), ლაზიკა-პონტოს (1204 წ.), ბასიანს (1204 წ.), არჭეშს (1208 წ.), არღაჟელს (1208 წ.), სპარსეთს (1209 წ.), თამარის დროს საქართველოს საზღვრები: გაიწია ჩრდილოეთით – ნიკოფსიიდან დარუბანდამდე, სამხრეთით – სინოპიდან არღაველამდე. საქართველოს საზღვრებში შედიოდნენ: საკუთრივ საქართველო, სომხეთი, შირვანი, ადარბადაგანი, ტრაპეზუნტის საკეისრო, არზრუმის საამირო, ერზინკის საამირო, ხლათის სასულტნო, განძის სასულტნო (არანი), ქაშაგეთი (ჩერქეზეთი), ოვსეთი, დურძუკეთი, ლუნძეთ-ლეკეთი. თამარის დროის საქართველო საზოგადოებრივი, პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და ზნეობრივი აყვავების უმაღლეს საფეხურზე იდგა. ამიტომაც თამარის მეფობა საქართველოს ისტორიაში ინაიოლება როგორც „ოქროს ხანა“. თამარი განუწყვეტლივ ზრუნავდა ეკლესია-მონასტრებისა და საშეცნიერო-საგანმანათლებლო საკანეთა დაარსება-პატრონობისათვის. იგი გარს იკრებდა თავის თანამედროვე დიდ მოაზროვნეებს, მოღვაწეებს, მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, ხელოვნების ოსტატებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ „თამარის ეპოქის“ ღვიძლი შვილია გენიალური შოთა რუსთაველი. თამარი იყო წამომწყები და უშუალო მონაწილე სახელმწიფოს ყოველი „დიდი და მცირე“ საქმისა და განაზრახისა. სამხედრო ექსპედიციებსაც ზოგჯერ პირადად მიუძღოდა, როგორც მხედართმთავარი (მაგალითად, მისი უშუალო სარდლობით აიღეს ქართველებმა ქალაქი დვინი, 1202 წელს); ან და, ჩვეად ჰქონდა: გალაშქრების წინ ჯარს დალოცავდა, მთავარსარდალს სახელმწიფო დროშას ჩააბარებდა და ლაშქარს ერთხანს ფეხშიშველა გაუძღებოდა ბრძოლის ველისკენ, მობრუნდებოდა და ლოცვად დადგებოდა ლაშქრის მშვიდობით და ძლევამოსილად დაბრუნებამდე. საოცარი სიმშვენიერისა და სიბრძნის წყალობით, მასზე უამრავი ლეგენდა და გადმოცემა შეითხზა საქართველოში და საქართველოს გარეთაც (ბიზანტიაში, სომხეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიაში, ინდოეთში,

რუსეთში). მისი ეპითეტებია: „მშვიდმნათობიერი“, „სამგზის სანატრელი და სამებისგან ოთხად თანააღზევებული“, „დედოფალი ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლისა, ჩრდილოეთისა და სამხრეთისა“, „მზეთა მზე და დედოფალთა დედოფალი, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინვებული“ და სხვ. თამარი პირველად გათხოვდა 1185 წელს, რუს უფლისწულზე, სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ძეზე, რომელსაც სახელად ერქვა იური (გიორგი). ეს ქორწინება გამოდგა უიღბლო – გიორგი რუსი აღმოჩნდა სოდომური გარყვნილებით დასნეულებული და იგი თამარმა ქმრობისგანაც მოიკვეთა და საქართველოდანაც გააძევა. მერე ქმრად თამარმა შეირთო დავით სოსლანი (1189 წ.). ამ ქორწინებით თამარს შეეძინა ერთი ძე-გიორგი-ლაშა, და ერთი ასული – რუსუდანი. გარდაიცვალა თამარი 1210 წელს (სხვადასხვა ვარაუდით – 1213 წელს, ან კიდევ – 1207 წელს). დაკრძალეს გელათის. მაშ, მამის თანამოსაყდრედ გამოცხადდა 12 წლისა, ერთპიროვნულად გამეფდა 18 წლისა, იმეფა 26 წელიწადი, აღესრულა 44 წლისა. მისი სახელიც დაებეჭდა ქართულ სახელმწიფო დროშას – „თამარიანი“ (გორგასლიან-დავითიან-თამარიანი).

გიორგი IV ლაშა („განმანათლებელი“, „ქვეყნისა მანათობელი“) – ძე თამარ მეფისა, საქართველოს მეფე, 1210-1222 წლებში. 1206 წელს, დავით სოსლანის სიკვდილის შემდეგ, 12 წლის გიორგი თამარმა დაისვა თანამოსაყდრე მეფედ. 1210 წელს, თამარის გარდაცვალების შემდეგ, შეიქნა საქართველოს და კავკასიის ხალხთა ერთიანი სახელმწიფოს მეფეთამეფედ. გამეფებისთანავე გიორგის განუდგა განძის ათაბაგი. მაშინვე განძას მიუხდა გიორგი, დაიმორჩილა და დახარკა იგი. ასევე, 1219-1220 წლებში, გიორგიმ ხელახლა დაიმორჩილა და დახარკა ოროტნი, ნახიჭევანი, ხლათი და კარნუ-ქალაქი (არზრუმი). გიორგი-ლაშა დიდი სახელით სარგებლობდა ევროპაში; უწოდებდნენ „ქრისტიანობის ბურჯს“, „ახალ ალექსანდრე

მაკედონელს“ და სხვ. მიწვეული იყო V ჯვაროსნულ ომში, რომის პაპის, ჰონორიუს III-ის მიერ. ლაშა გამალებით ემზადებოდა ამ ლაშქრობისთვის, მაგრამ ამ დროს მოულოდნელად საქართველოში შემოიჭრნენ მონღოლები. 1220 წელს გამართულ ბრძოლაში, რომელსაც გადამწყვეტი შედეგი არ მოჰყოლია, ლაშა დაიჭრა, დასნეულდა და გარდაიცვალა (1222 წელს). ლაშა-გიორგი თავისუფალი აზროვნებისა და ყოფაქცევის („თვითბუნება“) კაცი იყო. უყვარდა ბოჰემური ცხოვრება, ახლო ურთიერთობა ჰქონდა რინდებთან (მისტიკოს-ფილოსოფოსებთან), პოეტებთან, მსახიობებთან. მოეწონა ველისცეხული ქალი, შეუყვარდა, ქმარს წაართვა და სასახლეში წაიყვანა. მისგან შეეძინა ძე, დავითი (შემდგომში - დავით VII ულუ). ბოლოს, ის ქალი დაათმობინეს, სხვა ცოლი აღარ შეეურთავს. გარეგნულად გიორგი-ლაშა იყო ფრიად მომხიბლავი, ახოვანი და სახიერი, ბუნებით მამაცი რაინდი, გულმოწყალე და დიდსულოვანი ხელმწიფე. გამეფდა 17 წლისა, იმეფა 12 წელიწადი, აღესრულა 29 წლისა. დაკრძალულია გელათს.

რუსუდანი – ასული თამარისა, უმცროსი დაი გიორგი IV ლაშასი, საქართველოს მეფე, 1222-1245 წლებში. დაიბადა 1195 წელს. სახელოვანი დედისგან დაჰყვა საარაკო სიმშვენიერე. 1222 წელს დანიშნული ჰქონდა ქორწინება შირვანის შაჰზე, მაგრამ იგი ჩაიშალა გიორგი-ლაშას უეცარი სიკვდილის გამო. შემდეგ რუსუდანი ცოლად გაჰყვა კარნუ-ქალაქის (არზრუმის) სულტანის ძეს, მოღის ედღინს. შეეძინა თამარი და დავითი (შემდგომში – მეფე დავით VI ნარინი). მეფობა გიორგი-ლაშამ უანდერძა, სიკვდილის წინ. ამ ანდერძით რუსუდანს ევალებოდა აღეზარდა ლაშას ძე დავითი და მისთვის ჩაებარებინა სამეფო ტახტ-გვირგვინი. რუსუდანმა ძმის ანდერძი დაივიწყა და დავით ლაშას ძე თავის სიძესთან (თამარის ქმართან), ყიას ად-დინ ქაიხოსრო II-სთან გაგზავნა და დილეგში ჩააგდებინა, ხოლო საქართველოს ტახტის მემკვიდრედ თავისი ხუთი

წლის ვაჟი (დავით რუსუდანის ძე) გამოაცხადა. რუსუდანის მეფობის დროს საქართველოს ჯერ ხვარაზმშაჰი ჯალალ ად-დინი შემოესია. 1225 წელს, გარნისის ბრძოლაში, მთავარსარდლის, იანე მხარგრძელის ღალატის წყალობით, ქართველებმა ომი წააგეს, ჯალალ ად-დინმა ტფილისი აიღო და ასი ათასი სული აფიანი აიოწყვიტა. ამის შემდეგ ამ სისხლიანმა დამპყრობელმა კიდევ ხუთი წელიწადი ითარეშა აღმოსავლეთ საქართველოში. რუსუდანი კი დასავლეთ საქართველოში, ქუთათისში იყო გადახვეწილი. მერე მონღოლები შემოიჭრნენ და დაიპყრეს აღმოსავლეთ საქართველო. რუსუდანმა აქაც სრული უმწეობა გამოიჩინა მტერთან ბრძოლაში. ერთ ხანს რომის პაპს სთხოვადა შემწეობას, მაგრამ როცა იქიდან იმედი გაუცრუვდა, ისევ მონღოლებთან სცადა შერიგება. თავი მონღოლთა ყმად სცნო, ოღონდ ამ მსოფლიო დამპყრობლებს მისი შვილი დავითი საქართველოს მეფედ ეცნოთ. ამ მიზნით იგი დათანხმდა მონღოლ ნოინთა მოითხოვნას და შვილი ყაენთან გაგზავნა მეფედ დასამტკიცებლად. ორი წელიწადი ელოდა ყარაყორუმში გადაკარგულ შვილს რუსუდანი და მის ლოდინში, წუხილით „განლეული“, გარდაიცვალა (1245 წ.). გამეფდა იგი 27 წლისა, იმეფა 23 წელიწადი, აღესრულა 50 წლისა. დაიკრძალა გელათს.

დავით VI ნარინი – ძე რუსუდან მეფისა, შვილიშვილი დიდი თამარისა, საქართველოს მეფე, 1230-1293 წწ. 1930 წელს ხუთი წლის დავითი რუსუდანმა თანამოსაყდრედ (თანამეფედ) გამოაცხადა. ამით მას სურდა დაეპირისპირებინა იგი ძმისწულისთვის, დავით ლაშას ძისთვის. მალე რუსუდანმა დავით ლაშას ძე რუმში გაგზავნა და სიძეს, ქაიხოსრო ყიას ად-დინს, ღილეგში ჩააგდებინა. მონღოლებთან მიაღწია შეთანხმებას მისი ძე მეფედ ეცნოთ. და შვილი მონღოლეთს, ყაენთან გაგზავნა, მეფედ დასამტკიცებლად. დავითი მონღოლეთიდან რამდენიმე წელს აღარ გამოუშვეს, როცა ჩამოვიდა, დედამისს ცოცხალს ვეღარ ჩამოუსწრო. ამასობაში

მონღოლთა სატახტოში (ყარაყორუმში) დავით ლაშას ძეც ჩავიდა საქართველოს ტახტის საძიებლად. 1249 წელს მანგუ ყაენმა ორივე დავითი დაამტკიცა საქართველოს მეფეებად – დავით ლაშას ძე, „ულუ“ (უფროსი) და დავით რუსუდანის ძე, „ნარინ“ (უმცროსი); ანუ, დავით VI ნარინი და დავით VII ულუ. 1258 წელს დავით ნარინი ჰულაგუ ყაენს გადაუდგა და დასავლეთ საქართველოში (ქუთაისში) გამაგრდა. ამიერიდან საქართველოში ორმეფობა დაიწყო. 1261 წელს დავით ნარინმა პატივით მიიღო ყაენისგან განდგომილი დავით ულუ. მერე მათ შორის უთანხმოება ჩამოვარდა. დავით ულუს „დასი“ ნარინს ტახტიდან ჩამოგდებას უპირებდა. მაგრამ ისევ შეთანხმდნენ და საქართველო კვლავაც ორად „გაიყვეს“. დავით ნარინი მფარველობდა და უკავშირდებოდა ყველას, ვისაც საომარი მდგომარეობა ჰქონდა მონღოლთა ყაენთან. მან ასეთი მეგობრული და მეომრული კავშირი შეკრა ეგვიპტის სულტან ბიბარსთან. დავითმა ქუთაისის სახახლეში დიდის პატივით მიიღო და თანადგომა აღუთქვა აბაღა ყაენისაგან დამარცხებულ და დევნილ თეგუდარს. აბაღა დიდძალი ძღვენისა და პატივის აღთქმით ეხვეწებოდა დავითს, უარი ეთქვა თეგუდარის თანადგომა-შეწყობაზე. რიცა თეგუდარელებმა დასავლეთ საქართველოშიც თავთანებობა დაიწყეს, დავით ნარინმა აბაღა ყაენის თხოვნა აღასრულა და თეგუდარი დასავლეთ საქართველოდან გამოდევნა. აბაღამ თეგუდარი გაანადგურა და დავითს დიდძალი ძღვენი, „ნიჭნი დიდნი და პატივნი“ გამოუგზავნა. მალე დავითმა შეიფარა აბაღა ყაენის ახალი მოქიშპე ღალღური. ამ დროს დავითს განუდგა რაჭის ერისთავი – კახაბერ კახაბერისძე, რომელმაც ღალღური გადაიბირა, ყაენს შეარიგა და ორჯერ მონღოლთა ლაშქარიც შემოუსია ქუთაისს (1275, 1278 წწ.). მერე კახაბერისძემ პატიება ითხოვა; დავითმაც აპატია. თუმცა მალე ისევ გამჟღავნდა კახაბერისძის ღალატი. მაშინ დავით მეფემ მას თვალები დათხარა, ცალი ხელი და ცალი ფეხიც მოკვეთა და მისი ორივე ვაჟი

კონსტანტინოპოლს გააძევა. დავითის დროს პონტო-ტრაპეზუნტის მხარე (თამარისაგან დაარსებული „ტრაპიზონის იმპერია") ბიზანტიამ დაიპყრო. დავით ნარინი ამას არ შეურიგდა, პონტო-ტრაპიზონის ქვეყანას ჯარი შეუსია, ბიზანტიელები განდევნა და ეს ძველი ქართული ქვეყანა ისევ საქართველოს დაუქვემდებარა. დავითი სიკვდილამდე დარჩა აზიელ ხელმწიფეთაგან ერთადერთი, რომელიც მონღოლებს არ ემორჩილებოდა და თავის სამეფოს დამოუკიდებლად განაგებდა. იგი გარდაიცვალა 1293 წელს, 68 წლის ასაკში. იყო ტანად საშუალო, ხმელი, ძვალსხელი, პირად ფერმკრთალი; ტკბილმოსაუბრე, მტკიცენებოვანი, შესანიშნავი ცხენოსანი, მონადირე რჩეული, მკვირცხლი, ფეხმარდი. იგი ორჯერ იყო ნაქორწინევი. პირველი ცოლი იყო თამარ ამანელისძის ასული, რომლისგანაც შეეძინა სამი ვაჟი — ვახტანგი, კონსტანტინე და მიქაელ. მეორე ცოლი იყო თეოდორა, ბიზანტიის იმპერატორის, მიხეილ VIII პალეოლოგოსის ასული, რომლისგანაც დარჩა კიდევ ერთი ძე — ალექსანდრე. დავით ნარინ რუსუდანის ძე დაკრძალულია გელათს.

დავით VII ულუ — მეფე გიორგი IV ლაშას ძე, შვილიშვილი დიდი თამარისა, საქართველოს მეფე, 1247-1270 წლებში. მცირეწლოვანი იყო, როცა მამა გარდაეცვალა. ლაშამ სიკვდილის წინ მისი აღზრდა დას უანდერძა. ანდერძით, რუსუდანს ძმისწულისთვის სამეფო ტახტი უნდა გადაეცა, როცა იგი წამოიზრდებოდა. მაგრამ ამის ნაცვლად, რუსუდანმა მეფედ თავისი ძე დავითი გამოაცხადა, დავით ლაშას ძე კი თავის სიძეს, რუმის სულტან ყიას ად-დინ ქაიხოსრო II-ეს გაუგზავნა, დილეგში ჩააგდებინა, სადაც მან შვიდი წელი გაატარა და სიკვდილს ძლივს გადარჩა. იგი გადაარჩინა ერთგულმა თანაშეზრდილმა გლეხის ბიჭმა, რომელიც უფლისწულს ექსორიაშიც წაჰყოლოდა და დილეგში საჭმელ-სასმელსაც აწოდებდა, მისგანვე საიდუმლოდ გაოხრილი ხვრელის საშუალებით. ბოლოს დავითი ქართველმა ერისმთავრებმა მოიკითხეს,

მონღოლი ნოინების დასტურითა და ხელშეწყობით გაათავისუფლეს და მეფედ დაისვეს. მეფედ იგი მონღოლთა ყაენს უნდა დაემტკიცებინა და დავით ლაშას ძეც შეუდგა მონღოლეთის გზას. ჯერ იგი ბათო ყაენს გამოეცხადა, ყოლგაზე. ბათიმ ქართველები ალერსიანად მიიღო, დავითის მეფობას დასტური მისცა და, სარგის თმოგველთან ერთად, ყარაყორუმს გაუშვა. იქ მას დახვდა ტახტის საძიებლად მასზე ადრე წასული მამიდაშვილი, დავით რუსუდანის ძე. 1249 წელს, მანგუ ყაენმა ორივე დააკმაყოფილა საქართველოს მეფედ: დავით ლაშას ძე, ანუ დავით ულუ (უფროსი) და დავით რუსუდანის ძე, ანუ დავით ნარინი (უმცროსი). აქ იგულისხმება ასაკობრივი უფროს-უმცროსობა, თორემ სამეფო თანრიგით პირველია დავით VI ნარინი (რაკი იგი დედამ გაამეფა უფრო ადრე — 1230 წელს) და მეორე დავით VII ულუ. 1256 წელს დავით ულუ მონაწილეობდა მონღოლთაგან ალამუთის ციხის აღებაში. მის დროს, 1254 წელს, მონღოლებმა მოახდინეს საქართველოს აღწერა. 1258 წელს დავით VI ნარინი ჰულაგუ ყაენს აუჯანყდა და დასავლეთ საქართველოში გაიაგრდა. დავით VII ულუს სამეფოდ მარტო აღმოსავლეთ საქართველო დარჩა. იმავე წელს დავით ულუმ თავი გამოიჩინა ბაღდადის აღებაში. მისი მეთაურობით, ქართველებმა კედლის ქვეშ ხვრელი შეიხარეს, ქალაქში შეიჭრნენ და მონღოლებს კარი გაუღეს. 1260 წელს ჰულაგუ ყაენმა დავითი ეგვიპტეში სალაშქროდ გაიწვია. დავითმა ყოყმანის შემდგომ სალაშქროდ წასვლაზე უარი სთქვა და ყაენს განუდგა კიღიც-ერისმთავრებს კი უფლება მისცა, როგორც სურდათ ისე მოქცეულიყვნენ. სარგის ჯაყელის გარდა, ყველა ერისთავი მონღოლებს მიეშველა და ყაენს სალაშქროდაც გაჰყვა ეგვიპტეში. ჰულაგუმ აჯანყებული დავით ულუს წინააღმდეგ არღუნ ნოინი გამოგზავნა, რომელმაც ჯერ ცოლ-შვილი მოსტაცა დავითს, მერე მის წინააღმდეგ სალაშქროდაც დაიძრა. ტაშისკართან გამართულ ბრძოლაში 30000 მონღოლს გვერდით უდგა მოღალატე ერისთავთაგან მოყვანილი

16000 ქართველი. დავით ულუს და სარგის ჯაყელს მხოლოდ 8000 მესხი შეომარი შემოუმატათ. ბრძოლა მაინც ქართველთა გამარჯვებით დაიწყო, მაგრამ ისევ მოღალატე ერისთავთა ხრიკების წყალობით, არლუნ ნოინმა გაიმარჯვა. შემდეგი შეტაკება ციხისჯვართან გაიმართა. არლუნმა ციხისჯვარი ვერ აიღო და უკუიქცა. დავით ულუ და სარგის ჯაყელი ქუთაითისში გადავიდნენ. დავით ნარინი პატიეით შეხვდათ. ერთ ხანს ორივე დავითი თანხმობით იყვნენ. მერე უთანხმოება ჩამოუვარდათ. დავით ულუს „დასი“ დავით ნარინს ტახტიდან გადაგდებას უპირებდა. მაგრამ ისევ შერიგდნენ და ქვეყანა ისევ შუაზე „გაიყვეს“: აღმოსავლეთი საქართველო — დავით ულუს, დასავლეთ — დავით ნარინს. 1262 წელს ჰულაგუ ყაენმა სიკვდილით დასაჯა ტყვეობაში აყვანილი გვანცა დედოფალი, მეუღლე დავით ულუსი. ბოლოს, დავითი იძულებული შეიქნა ყაენს შერიგებოდა. შერიგებისას ყაენს დავითის „უდანაშაულობას“ უმტკიცებდა სარგის ჯაყელი, თარჯიმნობდა სადუნ მანკაბერდელი. 1263 წელს დავით ულუმ და სარგის ჯაყელმა თავი გამოიჩინეს ჰულაგუ ყაენის საბრძოლო დროშის ქვეშ, შირვანში შემოჭრილ ჩრდილოელ (ოქროს ურდოელ) მონღოლთა წინააღმდეგ ომში. ჰულაგუ ყაენმა სარგის ჯაყელს ერთგულებისა და თავდადებისთვის კარნუ-ქალაქი (არზრუმი) აღუოქვა, მაგრამ ამ დაპირებაზე ყაენს დავით ულუმ ააღებინა ხელი. ამის გამო დავით ულუსა და სარგის ჯაყელს შორის საშუალო მტრობა ჩამოვარდა. დავითმა სარგისი შეიპყრო, მაგრამ ყაენმა ხელიდან გამოსტაცა და „ხასინჯად“ (ხელდადებულ — „მფარველობის“ ქვეშ) გამოაცხადა, მის სამთავროსთან ერთად. ამრიგად, ამიერიდან სამცხე ცალკე პოლიტიკურ ერთეულად იქცა. 1265 წელს დავით ულუ და აბაღა ყაენი ერთად ებრძოლნენ მტკვრის ხეობაში შემოჭრილ ოქროს ურდოს ყაენს, ბერქას. აქაც და ყველგანაც, მონღოლთა მხარდამხარ მებრძოლ დავითს, დევიზად აეჩემებინა: „წესადმცა არს წინამბრძოლობა ქრისტეველთა“, და იქცეოდა ქართული სისხლი უცხოელთა წინაშე

თავის გამოჩენისათვის. დავით ულუმ, ვითარცა „წესით წინამბრძოლმა“, უკანასკნელად თავი გამოიჩინა აბაღა ყაენის ბრძოლაში ბარახა ყაენის წინააღმდეგ (1269 წ.). დავით VII ულუ გარდაიცვალა 55 წლის ასაკში, 1270 წელს „მუცლის სალმობით“. დაკრძალეს მცხეთას. იგი იყო ტანად ახოვანი, ჯანღონიერი, ხელუთცომელი მოისარი, ენაკვეთილი, უაღრესად მალემრწმენი. პირველ ცოლად ჰყავდა მონღოლი ქალი ჯიგდა-ხათუნი, რომელიც უძეო გამოდგა. აქიტომ დავითმა „დროებით“ მოიყვანა ოსის ქალი ალთუნი, რომლისგანაც შეეძინა გიორგი (გარდაიცვალა 18 წლისა, მამის სიკვდილამდე ორი წლით ადრე) და თამარი. ჯიგდას სიკვდილის შემდეგ, დავითმა იქორწინა ავაგ ათაბაგის ქვრივზე, კახაბერ კახაბერისძის ასულზე, პირმშვენიერ გვანცაზე, რომლისგანაც მას შეეძინა დემეტრე (შემდგომში – მეფე დემეტრე II თავდადებული). როცა გვანცა მონღოლთა ურდოში მოკლეს, დავითმა კიდევ ერთხელ იქორწინა, ამჯერად ისევ მონღოლ ქალზე – ესუქნიზე. ესუქნისაგან მას შვილი არ დარჩენია.

დემეტრე II თავდადებული – დავით VII ულუს ძე (გვანცა კახაბერისძის ასულისაგან), საქართველოს მეფე 1271-1289 წლებში. მამის გარდაცვალების დროს იყო 11 წლისა. დედ-მამით ობოლს ზრდიდა ტარსაიჭ ორბელი. 1271 წელს ყმაწვილი დემეტრე საქართველოს მეფედ დაამტკიცა მონღოლთა ყაენმა აბაღამ. 1277 წელს, იგივე მონღოლი ყაენის მიწვევით, დემეტრემ 300 ქართველი მეომრით მონაწილეობა მიიღო და დიდად თავიც ისახელა ეგვიპტის სულტანის, ფუნდუყარ ბეიბარსის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1278 წელს დემეტრე გილანის დალაშქვრაში ახლდა მონღოლთა ყაენს და აქაც „განაკვირვა ყოველნი“ ქართველმა მეფემ გასაოცარი სიმამაცით და ვაჟკაცობით. 1280 წელს აბაღა ყაენმა ისევ გაიწვია ქართველები საომრად, ამჯერად ეგვიპტის ახალი სულტანის, მელიქ მანსურის წინააღმდეგ. ქალაქ დარბუზაკთან (სირიაში) გამართულ ბრძოლაში

თავი ისახელა ბექა ჯაყელმა და მისმა მესხებმა. ხოლო, შემდგომ, ქალაქ ამასიასთან, 1281 წლის 30 ოქტომბრის სისხლისმღვრელ ბრძოლაში, კვლავ საარაკო გმირობა გადაიხადა დემეტრე მეფემ, 200 თანამებრძოლი ქართველით. 1282 წელს მოკვდა აბაღა ყაენი და მონღოლურ-ილხანური (ირანის) ტახტისათვის ერთმანეთს დაეძგერნენ აბაღას უფროსი ძე არღუნი და აბაღას ძმა აჰმადი. ბიძა-ძმისწულის ბრძოლა იმჯერად ბიძის გამარჯვებით გათავდა. ქართველი მეფეც ახალ ყაენს ურდოში ეახლა და ეთაყვანა; აჰმადმაც დემეტრე დიდი პატივითა და „სიყვარულით" მიიღო და მაშინვე ყაენის კარმა კიდევაც დაიმოყვრა „საყვარელი" ქართველი მეფე: აჰმადის უერთგულესი და უახლოესი კაცის, „დიდი ნოინი" ბუღას ვაჟს ცოლად შერთეს დემეტრეს ასული რუსუდანი. 1284 წელს დემეტრეს მძახლის, თვითონ ბუღა ნიონის მეთაურობით, აჰმად ყაენი შეთქმულებმა მოჰკლეს და ყაენის ტახტზე არღუნ აბაღას ძე აიყვანეს. ახალმა ყაენმაც დემეტრე დიდის „სიყვარულით" მიიღო და თავის მხრივაც აღიარა იგი საქართველოს მეფედ, მით უფრო, რომ ახლად აღზევებული ყაენი მთლიანად ბუღა ნოინის, ანუ დემეტრეს მძახლის, „ხელთა შინა იყო". 1288 წელს დარუბანდელები აუჯანყდნენ არღუნ ყაენს. დარუბანდელებს ჩრდილოეთიდან ძლიერი ნოინი, ნოყაი უჭერდა მხარს. არღუნ ყაენმა დემეტრე მეფე აწვია დარუბანდს სალაშქროდ. წავიდა დემეტრეც, აიღო ანიკი – დარუბანდის მთავარი ციხე-სიმაგრე და მიართვა არღუნს მისი გასაღებნი. იმავე 1288 წელს გამეღვანდა არღუნ ყაენის დასაპყრობად გათვლილი შეთქმულება, რომლის სათავეში ამჯერადაც ბუღა ნოინი აღმოჩნდა. ყაენის ბრძანებით თავი გააგდებინეს არა მარტო ბუღას, არამედ ყველა მის ახლობელს, ნათესავს, მისგან დაწინაურებულ ყველა მოხელეს, მათგან ისეთებსაც შეთქმულებაზე ბაიბურიც რომ არა სმენოდა. დემეტრე მეფეც იხმეს ურდოში. სიკვდილი გარდაუვალი უნდა ყოფილიყო შეთქმულების მოთავის ეგზომ ახლობელი ადამიანისთვის. ამიტომ საგანგებო სათათბიროდ შეყრილმა

დარბაზმა ერთხმად თხოვა და მოითხოვა არ წასულიყო მეფე ურდოში, არამედ გახიზნულიყო მთიულეთის, ან ქუთათისს, მეფე კი ბრძანებდა: — მე რომ არ წავიდე, ქვეყანა უნდა დაიქციონ მონღოლებმა, ხალხი ამოიწყვიტონ, ამიტომ — „აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღვთისა: უკეთუ მე მომკლან, დაე, ქვეყანა ჩვენი უვნებლად დარჩეს!“ — და მეფე ურყევი ნებით გაეშურა სამხრეთისაკენ. 1289 წლის 12 მარტს, დილით, მოვაკანში, არღუნ ყაენის ბრძანებით, ქართველ მეფეს თავი გააგდებინეს. მეფის ცხედარი, მისი პირადი მღვდლის, მოსეს და აბრაჰამ კათალიკოსის მზრუნველობით, მცხეთას ჩამოასვენეს და დაკრძალეს. გამეფდა 11 წლისა, იმეფა 18 წელიწადი, აღესრულა 29 წლისა. იყო იგი — „ტანითა ახოვან, ფერითა ჰაეროვან, შესახედავად ტურფა, თმითა და წვერითა მწყაზარ და შვენიერ, თვალითა გრემან, ბეჯ-პრტყელ და შეწყობილ სამხედროთა წესითა, სრული ცხენოსანი და მშვილდოსანი რჩეული, უხვი, მოწყალე და მდაბალი, გლახაკთა, ქვრივთა და დავრდომილთა მოწყალე, რომელ არა სმენილ არს ნათესავი მეფეთა გინა სხვათა კაცთა“. იყო აღმაშენებელი ეკლესიათა (მეტეხი იმას ააშენა). ნაქორწინევი იყო სამჯერ. 13 წლისამ ცოლად შეირთო ტრაპიზონის კეისრის ასული, რომლისგანაც შეეძინა: ძენი — დავითი, ვახტანგი, ლაშა, მანოველი, და ერთი ასული - რუსუდანი. მეორე ცოლად შეირთო მონღოლი ქალი სახელად სოლღარ, რომლისგან შეეძინა: ბაადური, იადგარი და ჯიგდა-ხათუნი. მესამე ცოლად კი ჰყავდა ნათელა, ბექა ჯაყელის ასული, რომლისგანაც იშვა უფლისწული გიორგი (მომავალი გიორგი V ბრწყინვალე). ხალხმა მისთვის თაკდადებულ გმირს დაარქვა — „თაკდადებული“. მისი გმირობიდან 700 წლის შემდგომ დიდი იღია ჭავჭავაძე დაწერს პოემას — „დიმიტრი თავდადებული“. ერისთვის წამებული მეფე ქართულმა ეკლესიამ წმიდანთა პანთეონში შერაცხა. მისი მოსახსენებელი დღეა 25 მარტი (ახ. სტ.).

ვახტანგ II — მეფე დავით VI ნარინის ძე (თამარ ამანელისძის

ასულისაგან), საქართველოს მეფე 1289-1299 წლებში. როცა არღუნ ყაენმა მეფე დემეტრე II სიკვდილით დასაჯა, ქუთაისიდან ვახტანგ ნარინის ძე გადმოაყვანინა და ტფილისის ტახტზე დასვა. დიდი გორგასალის შემდგომ ეს მეორე ვახტანგი იყო, მეფობის გვირგვინით რომ შეიმკო თავი. იყო ვახტანგ II „ტანითა სრულ, პირითა ჰაეროვან, ტკბილ, მოწყალე, სიმართლის მოქმედ, უხვი, მდაბალი, ენა-ტკბილი, განმზრახი კეთილი, ყოვლისა საქმისა მცოდნე"; „ახოვანი და მხნე და საძხედროთა ზნითა აღსავსე". ვახტანგს ქუთაისიდან თან გადმოჰყვა მისი გამზრდელი, ფარსმანიშვილი. თუმცა ტფილისის კარზე ბოროტად მოქმედებდა ყაენისგან მოჩენილი მედროვე-ვიგინდარა ხუტლუბული მანკაბერდელი, რომელმაც, რაკი მტკიცე ნების ვახტანგი თავის ნებისად ვერ დაინებია, მისი „უკანონო მეფობის" დამხობა და მის ადგილზე „უფრო კანონიერი" მეფის, დემეტრე II-ის უფროსი ძის, დავითის გამეფება მოიწადინა. მაგრამ მონღოლმა ნოინებმა ვახტანგს, იმის გამო, რომ ქართველი ერისმთავრები მხარს უჭერდნენ, ხელიც არ ახლეს. ამასობაში თვითონ არღუნ ნოინი რაღაც მძიმე, „ლპობადი სენით" ლოგინად ჩავარდნილიყო. ნოინებმა „ლპობად ყაენს" სიკვდილი აღარ დააცადეს, და თვითონ მოახრჩვეს 1291 წლის 12 მარტს, სწორედ იმ დღეს, რა დღესაც მისი ბრძანებით მოკლეს დემეტრე მეფე. ახალი ყაენი შეიქნა ქეიღათუ. ხუტლუბულამ ახლა ქეიღათუ ყაენთან სცადა ვახტანგის დამხობის გარიგება, მაგრამ კვლავაც ვერას გახდა. ამ დროს, 1293 წელს, სრულიად მოულოდნელად, რაღაც „მცირე სენით", ვახტანგ II გარდაიცვალა, ჯერ კიდევ ახალგაზრდა. იგი, ქართველი ხალხის მწარე და წრფელი დატირებით, დაიკრძალა გელათს.

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ VIII – უფროსი ძე დემეტრე II თავდადებულისა (ტრაპიზონის კეისრის ასულისაგან), საქართველოს მეფე 1293-1313 წლებში. დავითი მამას ახლდა ურდოში გაწვევისა და სიკვდილით დასჯის დროს. მონღოლებმა უფლისწული იქვე დაიტოვეს და

საქართველოში აღარ გამოუშვეს. ვახტანგ II-ის მოულოდნელი სიკვდილის შემდეგ კი, 1293 წელს, ქეიღათუ ყაენმა, იგი მეფედ დაამტკიცა და გამოუშვა საქართველოში. დაჯდა ტფილისის ტახტზე დავით VIII და ცოლად შეირთო ვახტანგ II-ის ქვრივი, ყაენის დაი, ოლჯათი (ალბათ, ყაენისაგან ნებასურვილით). 1295 წელს ნოინებმა ქეიღათუ ყაენი მოჰკლეს და მის მაგივრად ყაენად ბაიდუ აღამაღლეს. ამ შეთქმულებაში ქართველი მეფეც ჩაეთრიათ ნოინებს. მაგრამ რამდენიმე თვეში ბაიდუსაც ყელი გამოსჭრეს და ყაენად ახალგაზრდა ყაზანი გამოაცხადეს. 1297 წელს ყაზან ყაენმა დავით VIII-ს შემოუთვალა ურდოში მეწვევ სასწრაფოდ. დავითმა დარბაზი შეჰყარა სათათბიროდ - რას მირჩევთ, როგორ მოვიქცეო. დარბაზმა ურდოში წასვლა ურჩია. მაგრამ ლეშტრე თავდადებულის ძმ ეს ვერ იკისრა, „რამეთუ აქუნდა შიში თათართა ყაენის ხილვისა“, და მთას (ჟინვალს) შეაფარა თავი. იქიდან, ჩრდილოეთით, ვოლგაზე, ოქრის ურდოში, თავისი ძმა ვახტანგი გაგზავნა და იქაურ ყაენს, თოხთას, შეუთვალა: ყაზან ყაენზე საომრად წამოდი, მე გზას გაგიხსნი და ჩემი ჯარითაც შემოგიერთდებიო. თოხთა ყაენმა გაიხარა ასეთი შეთავაზებით, მაგრამ საომრეთისაკენ გამოლაშქრება ვერ გაახერხა იმჯერად. ყაზან ყაენი კი მოციქულს მოციქულზე აგზავნიდა, ქართველ მეფეს უვნებლობის ფიცს ფიცზე აახლებდა, მძევლებსაც კი უგზავნიდა, მაგრამ ვერ იქნა და დავითს თათართა ურდოსკენ ნაბიჯიც ვერ წაადგმევინა. მაშინ, 1300 წელს, შემოიჭრნენ საქართველოში მონღოლ-თათარნი, იმდენნი, რომ „ვერ ეტევოდეს სადგომად“ და „არბევდეს ქართლსა“ უწყალოდ. იმდენი ტყვე-ქართველი წაიყვანეს, „რომლისა არა იყო რიცხვი“. არაგვის ხეობას შეესივნენ მონღოლნი. აქ კი დაამარცხეს და უკუაქციეს ისინი მთიულებმა. მომდევნო წელს ისევ შემოვიდნენ მონღოლი ნოინები „სპითა უძლიერესითა“ საქართველოში. ისევ სთხოვეს მონღოლებმაც და ქართველებმაც დავით მეფეს, დაჰყოლოდა ყაენის ნებას, წასულიყო მასთან და

შერიგებოდა. თითქოს, დათანხმდა, მაგრამ ისევ გატეხა სიტყვა და არ წავიდა ურდოში. ამასობაში ძმას, ვახტანგს წაჰკიდებოდა დავითი. ვახტანგმაც დაჭერა ფეხი და ყაზან ყაენს მიუვიდა. ყაზანსაც ეს უნდოდა და ვახტანგი საქართველოს მეფედ გამოაცხადა, და ასე, 1302 წელს, ტფილისში მოვიდა და ტახტზე დაჯდა ვახტანგ III. დავით VIII კი ისევ მთიულეთში, გველეთის ციხეში ჩაკეტილიყო და იქიდან ამაოდ ეძიებდა გზებს გამეფებული ძმისა და მის თანამდგომელთა თავიდან მოსაშორებლად. საომარი შეტაკებაც მოხდა ძმებს შორის, ტფილისის ახლოს. დავითი დამარცხდა და ისევ უკუიქცა მთიულეთისკენ. 1311 წელს გარდაიცვალა დავით VIII, ნიკრისის ხენით. დაკრძალეს მცხეთას. დარჩა მცირეწლოვანი შვილი, გიორგი (გიორგი VI, ანუ „მცირე გიორგი“).

ვახტანგ III – ძე ლემეტრე II თავდადებულისა, მომდევნო ძმა დავით VIII-ისა, საქართველოს მეფე 1302-1308 წლებში. მონღოლთა ყაენმა ყაზანმა იგი ტფილისში მეფედ დასვა, მის ძმასთან, დავით VIII-სთან დასაპირისპირებლად. ასე გაჩნდა ორმეფობა აღმოსავლეთ საქართველოში. ვახტანგი ტფილისში იჯდა, დავითი ჟინვალში. ვახტანგს ნიჭიერი, მამაცი, ქველი ჭაბუკის სახელი ჰქონდა გავარდნილი. 1299 წელს იგი, ქართული ჯარით, სახელოვნად თანალაშქრობდა მონღოლთა მხარდამხარ სირია-პალესტინაში, ეგვიპტის წინააღმდეგ. 1303 წელს ისევ წაიყვანა იგი, ქართული ჯარით, ყაზან ყაენმა დამასკოში შემოჭრილი ეგვიპტელი სულტანის, ნასარ მელიქის წინააღმდეგ. ისევ „წინამბრძოლობდნენ“ ქართველნი. მაინც იძლიევნენ ამჯერად მონღოლნი. 1305 წელს კი, ახალმა ყაენმა, ოლჯაიტუმ წაიყვანა ვახტანგი გილანის დასაუფლებლად. დამარცხდნენ და უკუიქცნენ მონღოლები. ვახტანგი კი, თავისი ქართველებით, „არა გარე-მიაქცევდა პირსა, არამედ კვლავ მხნედ და ძლიერად იბრძოდეს“. ბოლოს დაჭრილი გამოიყვანეს ქართველებმა თავისი მეფე. იმ ბრძოლაში, ვახტანგთან ერთად, დიდად ისახელა

თავი ბექა ჯაყელმა. ოლჯაიტუ ყაენს კი გადაეწყვიტა, საქართველოში ეკლესიები დაერღვია და ხალხი ისლამის სჯულზე მოექცია. მაშინ ვახტანგ მეფემ ერისთავები წაიყვანა, ყაენს ეახლა და მოახსენა: თქვენს წინაპრებს ჩვენი წინაპრების სჯულის შეცვლა ძალდატანებით არასოდეს უკადრებიათ და ნურც თქვენ იკადრებთო, ხოლო თუ არ დაიშლით, აი, მოვსულვართ და ჯერ ჩვენ თავები დაგვაყრევინეთ. გაოცებულმა მონღოლთ ყაენმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე. 1308 წელს მეფე ვახტანგ III გარდაიცვალა მოულოდნელად. დაკრძალეს დმანისს.

გიორგი VI მცირე დავით VIII-ს ძე, საქართველოს მეფე 1311-1313 წლებში. მამას მცირეწლოვანი დარჩა, მეფედ მცირეწლოვანი დაჯდა (მონღოლებმა დასვეს), მცირეწლოვანი გარდაიცვალა (1313 წელს).

გიორგი V ბრწყინვალე — დემეტრე II თავდადებულის უმცროსი ძე (ბექა ჯაყელის ასულის, ნათელასაგან), საქართველოს უდიდესი ხელმწიფე 1314-1346 წლებში. პირველად, 1300 წელს, როცა იგი 10-11 წლისა თუ იქნებოდა, მონღოლებმა დასვეს ტფილისის ტახტზე, მისი უფროსი ნახევარძმის, დავით VIII-ის „დასაშინებლად". მაგრამ მალე ყრმა გიორგი მონღოლებმა ვახტანგ III-ით შეცვალეს. ნაძღვილ მეფობას კი გიორგი იწყებს 1314 წელს, 24 წლის ასაკში. მისი მეფობა კი ღვთითმოვლენილი, „აღმაშენებლური" აღმოჩნდა საქართველოსთვის. მემკვიდრეობად მან მიიღო დაქცეული ქვეყანა, მოცული „ჰანქარითული" კრიზისით - ეკონომიურად დაძაბუნებული, პოლიტიკურად დაშლილი, სულიერად დაკნინებული. იდგა „დიდი უსამართლობა და ძალადობა... ერთმანეთსა ღალატად დასჩმა, დაქცევა ციხეთა, სიკვდილი, ცოლის წაგვრა და დაგლება უბრალოსა და ძრაგალყვერნი ულუსობანი", არსად „სამართალი არად იყო-ღა". 1315 წელს ოლჯაიტუ ყაენმა გიორგი V ქართული ჯარით მცირე აზიაში მოიხდარი აჯანყების ჩასაქრობად გაიწვია. ქართველებიც

წაეიღნეს და ერთხელ კიდევ „განაკირვნეს“ ქვეყანა თავის განწირვით „უცხო თესლთათვის“. ეს უკანასნელი მონაწილეობა იყო ქართველებისა მონღოლთა დაუსრულებელ ლაშქრობათა სერიებში. გიორგი საკუთარი ქვეყნის აღდგენას შესდგომოდა. გორიდან გარეკა და კავკასიონის გადალმა გადარეკა მარბიელად შემოსეული ოსები. შეარიგა მტრად გადაკიდებული ქსნისა და არაგვის ხეობათა ქართველობა. საოთხბირიდ შეჰყარა დარბაზი და მიაღებინა მისგანვე შედგენილი ახალი მკაცრი კანონმდებლობა - „ძეგლის დადება“, რაიც სასტიკი შეურეველობით და დაუთმობლობით აღადგენდა და განამტკიცებდა ტრადიციულ ქართულ სამართალს, სჯულსა და ზნეობას. ამას მოყოლა „ხელმწიფის კარის გარიგება“ - ქართული სამეფო-საშართლებრივი „კონსტიტუცია“. მეფემ აღადგინა ტრადიციული სამეურნეო დარგები. გაატარა ფინანსიური რეფორმა. მონღოლური ფულადი ერთეული. „ყაზანური თეთრი“, შეცვალა ახალი, საკუთარი ვერცხლის მონეტით - „გიორგეული თეთრი“. გიორგი აშენებდა და აღადგენდა ასი წლის მანძილზე ნანგრევ-ნათხარ ქალაქებს, დაბებს, სოფლებს, ციხესიმაგრეებს, ეკლესიებს, გზებს, არხებს და ღუქნებს. განაახლა დაქცეული ტაძრები - დადაბნისა, ფიტარეთისა, წულორელაშენისა, კაზრეთისა, ლმანისისა. 1335 წელს მეფე გიორგი V-მ საქართველოს კისრიდან გადააგდო ასწლოვანი მონღოლ-თათრული უღელი. ამ ათეულები გამარჯვების აღსანიშნავად, მეფემ ცოვის მთაზე, ხაზაფხულო სახახლეში, ნადიმი გამართა და იქვე მიწაფულ სტუმართაგან, - ვისაც მონღოლთა წინააღმდეგ საშაულო ომში მონაწილეობაზე უარი ეთქვა, პირველ რიგში მხარგრძელებს - მეფის ბრძანებით თავები დააყრევინეს. გიორგიმ ისარგებლა ქუთათისის სახახლის კარზე აღმართული არეულობით, სასწრაფოდ ჯარით გადაკიდა და დასავლეთ საქართველო - იმერეთი, გურია, სამეგრელო, აფხაზეთი - ყოველივე ნიკოფსიამდე, კვლავ ტფილისის ტახტს დაუმორჩილა. მას უკან, შესხეთიც შემოიმტკიცა.

იმჟამად მონღოლებმა სცადეს უკანასკნელად საქართველოს ხელყოფა. შეეგება გიორგი, სასტიკად დაამარცხა და გააქცია. ამის შემდეგ მონღოლი ქართულ მიწაზე აღარასოდეს გამოჩენილა. ახალი მტერი კი გამოჩნდა – ოსმალ-თურქები, ორხანის მეთაურობით. შეეგება გიორგი, კლარჯეთის საზღვართან შეება, კვლავაც ბრწყინვალედ გაიმარჯვა და აოტნა მტერი. 1340-1341 წლებში გიორგიმ ჯარები შეიყვანა პონტოში და იქ, ტრაპიზონის სახახლეში, ძველი, თამარის დროინდელი ქართული ხელისუფლება ააღორძინა. მაშ, კვლავ აღდგენილი იქნა ერთიანობა საქართველოსი, ნიკოფსიიდან დარუბანდამდის (ჩრდილოეთით) და სინოპიდან არდაველამდის (სამხრეთით), ანუ – კავკასიური „იმპერია“ დავითისა და თამარის „ოქროს საუკუნისა“. კვლავაც გაითქვა სახელი მთელს მსოფლიოში საქართველომ და მისმა ხელმწიფემ, გიორგი V ბრწყინვალემ. რომის პაპმა ევროპელთა საქრისტიანო კაოელრა სმირნადან ტფილისში გადმოიტანა. იერუსალიმში მხოლოდ ქართველებს ეძლეოდათ უფლება ცხენზე ამხედრებულებს და ეროვნული დროშების ფრიალით ეკლოთ მის ქუჩებში. ასე იღვაწა გიორგი V ბრწყინვალემ, „ვითარცა აღმაშენებელმან“. ქართველმა ხალხმა უწოდა „ბრწყინვალე“.

„რამეთუ იყო ჰაეროვნებითა, შუენიერებითა და ახოვნებითა უებრო, მოწყალე, უხვი, ობოლთა და ქვრივთა და დავრდომილთა შემწყნარებელი. მეორედ, ვინაითგან იყო ივერია დაფანტული. სამთავროდ და სამეფოდ დაყოფილი, ამან სიბრძნე-გონიერებითა და ძლიერებითა თვისითა კუალად შემოიკრიბნა და იგონა, ვითარცა აღმაშენებელმან, განავსნა და აღაშენნა ქუეყანანი, რჯული და სამოქალაქნო წესნი განაბრწყინვა, ეკლესიანი დარღვეულნი და მოოხრებულნი აღაშენნა, განაახლნა და განანათლნა... სძლო ყოველთა, სადა ჯერ იყო ბრძოლითა და ძლიერებითა და სადა ხამდა სიბრძნე-გონიერებითა და მეცნიერებითა თვისითა დაამშვიდნა, და მეფობდა მეფობითა კეთილითა...“ 1346 წელს საქართველოს მოუკვდა გიორგი

ბრწყინვალე. გამეფდა 24 წლისა, იმეფა 32 წელიწადი, აღესრულა 56 წლისა. დაიკრძალა გელათს.

დავით IX - ძე გიორგი V ბრწყინვალისა, საქართველოს მეფე 1346-1360 წლებში. ზრუნავდა ციხესიმაგრეთა და ეკლესიათა აშენებლობისთვის. მოგზაურობდა მეფკვიდრეობად მიღებულ დიდ საქართველოში – „განაგებდა, ნადიმობდა, ნადირობდა და იშუებდა“. ჩრდილოეთიდან, ოქროს ურღოდან, შავი ჭირი შეესიჭრა საქართველოში და მრავალი ადამიანი იმსხვერპლა. საქართველოს სახლვრებში მოქცეულ სომხეთშიც, 1358 წელს, ირანელი მონღოლები შეესიჭრნენ, მელიქ აშრაფის სარდლობით; ბიჯნისი აიღეს, ააოხრეს; ჩაიჭრნენ ქართველები, დაამარცხეს და გააქციეს მაოხარნი... 1360 წელს, გეგუთის სახახლეში ყოფნისას, დავით IX გარდაიცვალა. დაკრძალეს გელათს.

ბაგრატ V დიდი ძე დავით IX-ისა, საქართველოს მეფე 1360-1393 წლებში. „იყო მხნე, ახოვანი, ტანითა ძლიერი, შუენიერებითა ჰაეროვანი, უცთური მოისარი, სამხედროთა სრული, სამლუდელოთა პატივისმცემელი, მშვიდი, მოწყალე, შეემართებული ძლიერი“. სვანეთის ერისთავი ვარდანისძე აუჯანყდა. ბაგრატმა იგი შეაპყრო, მის ნაცვლად სვანეთის ერისთავად გელოვანი დანიშნა. მერე, შეწყალებულ ვარდანისძეს საერისთავოდ გურია მისცა. ამას თურქების შემოჭრა დაემთხვა სამცხეში. სასწრაფოდ გაეშურა ბაგრატ მეფე, თურქები გაანადგურა და გადარეკა. 1366 წელს შავი ჭირი გაწნდა საქართველოში. ჭირმა იმსხვერპლა ბაგრატის მეუღლე, ლედოფალი ელენე, რომლისგანაც ბაგრატს დარჩა ორი ძე – გიორგი და კონსტანტინე. მომდევნო წელს მეორედ იქორწინა მეფემ, ანა კომნენოსზე, ტრაპიზონის კეისრის ალექსი III-ის ასულზე. ამ ქორწინებისგან ბაგრატს კიდევ ერთი ძე შეეძინება – დავითი. 1386 წელს თემურლენგი შემოესია საქართველოს, შემოესია ველურ ძალებით, „რომელსა ვერ იტევდნენ მთანი და ველნი და ყოველნივე

არენი და სანახენი საქართველოსანი“. 21 ნოემბერს ტფილისს მოადგა თემურლენგი და მისი ურდო. ბაგრატმა თავის ჯარს მიმართა: „ფრიად უმჯობეს არს და სანატრელ სიკვდილი სამშობლოსა და სარწმუნოებისათვის, ვიდრე-ღა მორჩილებასა, იძულებით შეპყრობასა და მონობაში“. და გაეგება მტერს ქართველი მეფე. სასტიკი ბრძოლა გაგრძელდა „მრავალდღე“ და გათავდა ქართველთა მარცხით. თემურლენგმა ტფილისი აიღო და ბაგრატ მეფე ტყვედ აიყვანა. მაშინვე მაჰმადიანობის მიღებაც მოსთხოვა. ცივი უარი მიიღო. თემურლენგმა ტფილისში თავისი თათრულ-თურქმანული ციხიონი ჩააყენა, თვითონ თავის სატახტო სამარყანდში გაბრუნდა და თან ტყვედ წაიყვანა ბაგრატ მეფე, დედოფალი ანა და ამათი ძე დავითი. ტყვეობაში ყოფნისას, თემურლენგის დაჟინებულ თხოვნას და მოთხოვნას ბაგრატი თითქოს „ნებას დაჰყვა“, მაჰმადიანობაც „გულწრფელად“ მიიღო და ბოლოს თემურლენგმა იგი საქართველოშიც გამოუშვა და 12000 მეომარიც გამოატანა. ბაგრატმა წინასწარ, თათართაგან იდუმალ, ერთგული აზნაური ბერი რუსიტაშვილი საქართველოში აფრინა, ტახტის მემკვიდრე გიორგისთან, რომელიც მაშინ ქუთათისს აფარებდა თავს. გიორგიმ ქართველთა ჯარით, ერთ ხევში შემოსულ მტერს თავდასხმა მოუწყო და ის 12000 თათარი ერთიანად ამოწყვიტა. ამას თემურლენგის მეორე ლაშქრობა მოჰყვა საქართველოში, 1387 წელს. „მოითარეშეს, მოაოხრეს და დაწვეს ყოველნივე შენობანი, და უფროსღა წმიდანი ეკლესიანი და მონასტერნი დააქცინნეს და დაწვეს ცეცხლითა“. 1393 წელს მესამედ შემოესია თემურლენგი საქართველოს. ამავე წელს ბაგრატ V გარდაიცვალა.

გიორგი VII – ძე ბაგრატ V დიდისა (პირველი ცოლის, დედოფალი ელენესაგან), საქართველოს მეფე 1393-1407 წლებში. მის დროს მოხდა თემურლენგის მეოთხე (1394 წ.), მეხუთე (1399 წ.), მეექვსე (1400 წ.), მეშვიდე (1401 წ.) და მერვე (1403 წ.) შემოსევები.

მძიმედ დაინგრა და დაზარალდა საქართველო. გიორგი, ამ უმძიმეს ხანაში, ნამდვილი მეფისა და გმირის ღირსებით იბრძოდა მსოფლიოს უსაშინლესი დამპყრობელის წინააღმდეგ. ბოლოს კი იძულებული გახდა დაზავებოდა თემურლენგს, ხარკისა და საჭირეების შემოხვევაში საომარი ბეგარის მოხდით. თემურლენგის სიკვდილის შემდეგ კი, 1405 წელს, ნახიჭევანი და განჯა წაართვა გიორგიმ თათრებს. მოიმდევნო 1406 წელს კი ქართველებმა თათრებს გამოიჰგლიჯეს ქალაქი ანი და კარნუ-ქალაქი (არზრუმი). იმავე წელს, ალათაღთან, გიორგიმ, 5000 ქართველით, დაამარცხა და თავრიზამდე ჩეხვით მისდია თათრთა 15000-იან არმიას. იმჟამად ირანში თურქმანთა ახალი გვარჯილაგი გაბატონდა — ყარა-ყოინლუ („შავბატკნიანები"), ყარა იუსუფის („შავი იოსები") მეთაურობით. 1407 წელს უმძიმესი ბრძოლა გაიმართა „შავბატკნიანებსა" და ქართველებს შორის. საქართველოს მამაცი მეფე და ქართველთა უმრავლესობა ფეხმოუცვლელად შეაკვდა ურიცხვ მტერს. გიორგის ცხედარი მისმა ძმამ, კონსტანტინემ ჩამოასვენა და მცხეთას დაკრძალა.

კონსტანტინე I – ძე ბაგრატ V დიდისა, უმცროსი ძმა გიორგი VII-ისა, საქართველოს მეფე 1407-1411 წლებში. კონსტანტინე დიდის ენერგიით და მოთმინებით მიუძღოდა ქვეყნის აღორძინებისა და აშაღლების საქმეს. 1711 წელს ყარა-ყოინლუს („შავბატკნიანთა") თურქმანული არმია შირვანს შემოესია. შირვანის შაჰმა, შეიხ იბრა-ჰიმმა დახმარება ქართველ მეფეს სთხოვა. კონსტანტინეც სასწრაფოდ გაეშურა, 2000 მეომრით. ბრძოლა მოხდა ჩალაღანთან, მტკვრის მარცხენა მხარეს. ბრძოლის დაწყებისთანავე, შირვანელები მათივე შაჰის მეთაურობით გაიქცნენ და ქართველები მარტო დატოვეს. იმ ორი ათასი ქართველიდან ათას შვიდასი შეაწყდა ურიცხვ მტერს. დანარჩენი სამასი, მეფესთან ერთად, ტყვედ აიყვანეს „შავბატკნიანებმა". რისხვამ აიტანა მათი ბელადი ყარა-იუსუფი, როცა ტყვე ქართველებმა მის წინაშე არც მუხლი მოიხარეს, არც ქედი მოიდრიკეს. მან

საკუთარი ხელით განგმირა ხელებგაკრული ქართველი მეფე. კონსტანტინეს მეუღლე (ნათია, ახული ქუცნა ამირეჯიბისა) და სამი ვაჟი დარჩა: ალექსანდრე, ბაგრატი და გიორგი. ტახტზე ავიდა უფროსი - ალექსანდრე.

ალექსანდრე I დიდი - უფროსი ძე კონსტანტინე I-ისა (ნათია ამირეჯიბის ახულისაგან), საქართველოს მეფე 1412-1442 წლებში. წარმატებით მოიგერია თურქმან „შავბატკნიანთა" (ყარაყოინლუ) შემოსევები. აღადგინა თემურლენგისა და თურქმანთაგან აოხრებული ქვეყანა. შემოიერთა და შემოიმტკიცა ლორე, ხიკნიეთი (ყარაბალი). ალექსანდრემ აღადგინა მტერთაგან დაქცეული ტაძრები, სავანეები, ციხესიმაგრენი. ხელახლა ააშენა და მოკაზმა სვეტიცხოველი. აღდგენითი სამუშაოებისთვის „დროებითი გადასახადები" გააწერა და ხუთი წლის შემდეგ ისევ „აძოჰკვეთა". მის დროს ოდიშისა და აფხაზეთის მთავრები წაეკიდნენ ერთმანეთს. მეფე დასავლეთს გადავიდა და იქაურობა დააწყნარა. 1415 წელს სამცხის ათაბაგი ივანე აღბულას ძე ჯაყელი განუდგა. მეფე ჯარით გაემართა, კოხტასთავთან გამართულ ბრძოლაში გაიმარჯვა და ათაბაგი ტყვედ აიყვანა. ბოლოს შეიწყნარა და ათაბაგობა კვლავ დაუბრუნა. ალექსანდრე ორჯერ იყო ნაქორწინევი. პირველი ცოლის, დულანდუხტისაგან ჰყავდა ორი ძე - ვახტანგი და დემეტრე, მეორე ცოლის, თამარისაგან, კიდევ ორი ძე - გიორგი და დავითი. 1442 წელს ალექსანდრე მეფობიდან გადადგა და, ათასასე ბერის სახელით, სვეტიცხოველის ბნელ ეკვდერში ჩაიკეტა, სიკვდილამდე. დაკრძალეს იქვე, მცხეთას. საქართველოს სამეფო ტახტი დაიჭირა მისმა უფროსმა ძემ, ვახტანგმა.

ვახტანგ IV - ძე ალექსანდრე I დიდისა (პირველი ცოლის, დულანდუხტისაგან), საქართველოს მეფე 1442-1446 წლებში. იყო „ძლიერი, ტანითა ახოვანი, შემმართებელი, ჰაეროვან-შუენიერი, რისხანე საშინელი, უხვი, მდაბალი და სამხედროთი სრული". 1444

წელს სამცხეს ირანელები შეესიენენ, ჯეჰან-შაჰის მეთაურობით. სასწრაფოდ გაეშურა ვახტანგი ლაშქრით. მესხებიც შეიერთა და ახალციხესთან გამართულ ბრძოლაში სძლია და აოტა მტერი. გარდაიცვალა 1446 წელს; დაკრძალეს ბანას, საყვარელი მეუღლის (სითი-ხათუნ ფანასკერტელი) გვერდით. შვილები არ დარჩენია.

გიორგი VIII – ძე ალექსანდრე I დიდისა (მეორე ცოლის, თამარისაგან), საქართველოს მეფე 1446-1466 წლებში. გიორგი VIII მთელი თავისი მეფობის ოცი წელიწადი შინაურ სეპარატიზმს ებრძოდა. მის დროს, 1453 წელს, თურქები დაეუფლნენ კონსტანტინოპოლს. 1459 წელს რომის პაპმა პიუს II-მ ქართველთა მეფე თურქთა წინააღმდეგ განზრახულ „ჯვაროსნულ ომში" მიიწვია. ქართველები აქტიურად შეხვდნენ ამ მოწოდებას. გიორგი VIII 70000 ქართველი მეომრის შეგროვებას ანგარიშობდა ამ „სანატრელ ომში" გასაყვანად. მაგრამ ევროპამ ისევ ვერ მოიბა თავი კონსტანტინოპოლის – ამ მსოფლიო ქრისტიანიზმის მთავარი ნიშანსვეტის დახსნისა და აღდგენის საქმეს. გიორგი ისევ შინაურმა ბრძოლებმა ჩაითრია. ტფილისის ტახტს განუდგა სამცხის ძლიერი მთავარი, ყვარყვარე II ათაბაგი, რომელმაც ქართველი მეფის წინააღმდეგ ირანის შაჰი უზუნ-ჰასანიც კი მოიწვია მისი მხედრობით. ბრძოლა მოხდა 1462 წელს. გიორგი დამარცხდა. მაშინვე მეფისგან თავი განდგომილად გამოაცხადა ქუთათისის სამოქალაქო გამგებელმა ბაგრატმაც. გიორგი მეფე იმერეთისკენ წარემართა ქართლელთა და ჰერ-კახთა ჯარით. ბაგრატიც დახვდა იმერთა ლაშქრით. ბრძოლა მოხდა ჩიხორთან (ზემო იმერეთში), 1463 წელს. გიორგი მეფე დამარცხებული დაბრუნდა ქართლში. 1465 წელს იგი სამცხეს წარემართა, ისევ ყვარყვარე ათაბაგთან საომრად. ფარავნის ტბასთან ღამის თევისას, განზრახული ყოფილა მისი მოკვლა. მეფემ ეს განზრახვა არ დაიჯერა. მაშინ ერთგულმა კარისკაცმა, იოთამ ზევდგინიძემ დაიყოლია მეფე, თვითონ დაწოლილიყო მის სარეცელზე. იმ ღამით მართლა შევიდნენ

მკვლელები და მეფის საწოლში მწოლარე კაცი ხანჯლებით აკუწეს. მეფემ შეთქმულების ამოწყვეტა კი მოასწრო, მაგრამ იქვე მოულოდნელად მოვარდნილ ყვარყვარე ათაბაგს ვერარ გაუმკლავდა, ბრძოლაც წააგო და ტყვედაც ჩავარდა. მომდევნო 1466 წელს ქუთათისიდან გადმოიჭრა მეფედ აღზევებული ბაგრატი და ტფილისის ტახტიც ჩაიგდო ხელში. ახლა „ერთიანი საქართველოს მეფეც“ ბაგრატს ერქვა. ყვარყვარე ათაბაგს ეს არ მოეწონა და გიორგი მეფე ტყვეობიდან გამოუშვა. მაგრამ გიორგიმ ტფილისის ტახტი ვერარ დაიბრუნა და კახეთს წავიდა. და, ერთ დროს ერთიანი საქართველოს მეფეთაგან ამ „მერვე გიორგიმ“, დარჩენილი სიცოცხლის ათი წელი (1466-1476) „კახეთის პირველი გიორგის“ სახელით გაატარა. ათი წელი იგი „იყო ფრიად მწუხარე განხეთქილებისათვის ესევითარითა“. კიდევაც „მცდელობდა შეერთებასა“, მაგრამ მაინც „ვერღარა ღონის მაძიებელი და მპოვებელი გარდაიცვალა“. გიორგი ორჯერ იყო ნაქორწინევი; პირველი ცოლი თამარი უძეოდ მოუკვდა. მეორე ცოლის, ნესტან-დარეჯანისაგან დარჩა – ძე, ალექსანდრე და ასული (სახელი უცნობია, დანიშნული კი იყო ბიზანტიის უკანასკნელ კეისარზე, კონსტანტინე XI დრაგასზე). გიორგი დაკრძალეს მცხეთას. კახეთის ტახტზე ავიდა მისი ძე ალექსანდრე.

ბაბრატ VI (იმერეთში ბაგრატ II) – ბაგრატიონთა იმერული შტოისაგან. ჯერ ქუთათისის საამოქალაქო გამგებლად იჯდა, გიორგი VIII-ის მეფობის დროს. მეფისა და ყვარყვარე ათაბაგის კონფლიქტში ამ უკანასკნელის მხარე ეჭირა. ამისთვის გიორგი VIII-მ ბაგრატი ქუთათისის მმართველობიდან გადაყენებულად გამოაცხადა. ბაგრატი მეფეს აუჯანყდა. გიორგი VIII მის დასასჯელად გაეშურა. ბრძოლა მოხდა 1463 წელს, ჩიხორთან (ზემო იმერეთში). ბაგრატმა გაიმარჯვა და ქუთათისში თავი მეფედ გამოაცხადა. იმერეთის მეფედ, სახელით – ბაგრატ II – იყო სამი წელიწადი (1463-1466). ამის შემდეგ კი ისარგებლა ყვარყვარე ათაბაგისგან მეფე გიორგი VIII-ის დატყვევებით და ხელში ჩაიგდო ტფილისის ტახტიც, და ამიერიდან იგი გვევლინება

რიგორც იმერეთ-ქართლის მეფე (1466-1478 წწ.), ვითარცა ბაგრატ VI. 1477 წელს საქართველოში ირანელთა 40000-იანი ურდო შემოიჭრა, უზუნ-ჰასანის მეთაურობით. ბაგრატ მეფემ ტფილისის მოსახლეობა გახიზნა, თვითონ გორს გადავიდა. უზუნ-ჰასანი ტფილისს უომრად დაეუფლა, გაძარცვა და თვითონაც გორისკენ წარემართა ძარცვა-რბევით. ბაგრატმა გორიც უომრად დათმო და ბოლოს მტკვრს მძიმე ხარკის გადახდით დაუზავდა. უზუნ-ჰასანი გორიდან სამცხეს გადავიდა, იქაურობაც გაძარცვა და გააოხრა. დიდძალ ნაძარცვ-ნატაცებში, ირანელებმა აწყურის განთქმული ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატიც გაიყოლეს. მოძღვენი 1478 წელს უზუნ-ჰასანი გარდაიცვალა, ირანის ტახტისთვის შინაური ომიც ატეხა და ამის გამო „დაგდეს თათართა“ საქართველო. ასე მოულოდნელად დახსნილ ქვეყანას თავისი სიკვდილით, იმავე 1478 წელს, გაეცალა ბაგრატ VI-ც.

კონსტანტინე II ლემეტრეს ძე, ალექსანდრე I დიდის შვილიშვილი, საქართველოს (იმერეთ-ქართლის) მეფე 1479-1505 წლებში. ტახტის მოცილედ ჰყავდა ალექსანდრე, ბაგრატ VI-ის ძე, მაგრამ კონსტანტინემ მეტოქე ითლად სძლია და თვითონ ჩაიგდო ხელში ორივე სატახტო ქუთათისიც და ტფილისიც. მტრობა ჩამოვარდა კონსტანტინე მეფესა და სამცხის მთავარ ყვარყვარე II ათაბაგს შორის. ბრძოლაც მოხდა, არადეთთან, 1483 წლის 13 აგვისტოს. კონსტანტინე დამარცხებული გაიქცა ბრძოლის ველიდან. ამით ისარგებლა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, თავი იმერეთის მეფედ გამოაცხადა და ასედაც დარჩა მეფე ალექსანდრე II-ის სახელით (1484-1510 წწ.). 1486 წელს საქართველოს ირანელები შემოესივნენ, იაყუბ-ყაენის მეთაურობით. ააოხრეს და გაძარცვეს ჯერ სამცხე, შემდეგ ქართლი, ალაფით დატვირთულ, უკან გაბრუნებულ ირანელებს, ქვემო ქართლში, სულხან ბარათაშვილის სარდლობით, ქართველები დაესხნენ, დაამარცხეს, ნადავლი დაატოვებინეს და საქართველოს საზღვრებიდანაც გადარეკეს. კონსტანტინე II კი მოულოდნელად

ქუთათისს გადაიჭრა და ალექსანდრე II-ს დაესხა. ალექსანდრე ლეჩხუმს გაიქცა. იმერეთი და ქართლი, თითქოს, ისევ გაერთიანდნენ. მაგრამ 1488 წელს ისევ შემოესივნენ ირანელები საქართველოს. კონსტანტინე ქუთათისიდან მაშინვე წამოემართა მტერთან საომრად. ქართველებმა მტერი კი დაამარცხეს და გააქციეს, მაგრამ ალექსანდრე II-ეს კონსტანტინე II-ის წასელით ესარგებლა და კვლავ ხელთ ეგდო ტახტ-გვირგვინი იმერეთისა. ეს მოხდა 1489 წელს. ამით ეს უკანასკნელი „ქართული ერთიანობაც“ (იმერეთ-ქართლის ერთიანობა) საძულამოდ მოიშალა. 1490 წელს ირანელთა ახალი შემოსევა მოხდა საქართველოში, ხალილ-ბეგის სარდლობით. კონსტანტინე მარტოდ შეეგება მტერს, ქართლის ლაშქრით; არც კახეთიდან, არც იმერეთიდან, არც სამცხიდან არავინაც არ მოეშველა. მაინც გაიმარჯვა კონსტანტინემ. ამავე 1490 წელს ტფილისში ერთიმანეთს შეხვდნენ ქართლის მეფე კონსტანტინე II, კახეთის მეფე ალექსანდრე I, იმერეთის მეფე ალექსანდრე II, სამცხის მთავარი ყვარყვარე II ათაბაგი და ხელი მოაწერეს არა გაერთიანებას, არამედ საბოლოოდ დაშლა-გათიშვას, ახალი, „დამოუკიდებელი საქართველოების“ საზღვართა დადგენით. 1494 წელს კონსტანტინე II-მ თავისი კარის მღვდელი, ნილო დესპანად გაგზავნა ეგვიპტეში, სადაც მაშინ ხალიფად იყო მამლუქი აშრაფ სეიფ ად-დინ კაიტ-ბეი. კაირო დიდის ამბით შეხვდა ქართველ ელჩს. კაიტ-ბეიმაც დიდის გულისყურით მოისმინა ქართველი მეფის შენათვალი: იგი ეგვიპტის მბრძანებელს ირანისა და თურქეთის წინააღმდეგ კავშირსა და ბრძოლას სთავაზობდა. მოლაპარაკება სიტყვიერად „მაღალ დონეზე“ ჩატარდა, მაგრამ შედეგად არაფერი მოჰყოლია.

1505 წელს მეფე კონსტანტინე II გარდაიცვალა. დარჩა ქვრივი დედოფალი თამარი და შვიდი ძე: დავითი, გიორგი, ბაგრატი, დიმიტრი, ვახტანგი, ალექსანდრე და მელქისედეკი. ტახტზე ადის ძმათაგან უფროსი — დავითი.

6. ქართლის მეფენი

დავით X უფროსი ძე კონსტანტინე II-ისა, ქართლის მეფე 1505-1525 წლებში. იყო ბუნებით „ღმობიერი, ბრძოლა-შლილობასა და შფოთთა მოძულე და მოყვარე მშვიდობისა“. დავითმა სამხედრო რეფორმა გაატარა: ქართლი ოთხ „სადროშოდ“ დაჰყო: მეწინავე სადროშო – ქვემო ქართლი (სარდალი ბარათაშვილი); მემარჯვენე სადროშო – ზემო ქართლი (სარდალი ამილახორი); მემარცხენე სადროშო – სამუხრანბატონო, ქსან-არაგვის საერისთაოებით (სარდალი მუხრანბატონი); მეფის სადროშო - მტკვრის მარჯვენა მხარე, ტფილისიდან ტაშისკარამდე, სარდლობდა მეფისაგან დანიშნული თავადი, უფრო ხშირად ციციშვილი. 1510 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე II ქართლში გადმოიჭრა და გორი დაიჭირა. დავითმა მხოლოდ ამის თქმა იკმარა: „რამეთუ მიეგების მეშფოთეთა შფოთი“. მაშინ იმერეთს ოსმალები შემოესივნენ და ალექსანდრე იძულებული გახდა გორი დაეცალა და სასწრაფოდ იმერეთს გაბრუნებულიყო. 1511 წელს კახეთის მეფე გიორგი II (ავგიორგი) შემოიჭრა ქართლში და ატენში მყოფი დავით მეფე ალყაში მოაქცია, მაგრამ ქართლელთა ჯარმა მოუსწრო და ავგიორგიმ უკანვე, კახეთში გაქცევა ამჯობინა. კახეთიდან ახალი შემოსევის საფრთხე მაინც რჩებოდა. ამით ისარგებლა დავით მეფის ძმამ ბაგრატმა და ჩააცივდა მეფეს: „მომეც მე საუფლისწულოდ და დროშად მუხრანი, მასთან არაგვისა და ქსნის ხეობანი და მე აღვკვეთავ ავგიორგის თავგასულობას“. დავით მეფე დათანხმდა; ასე დაიწყო არსებობა მუხრან-ბატონთა სადროშო-საგვარეულომ. ბაგრატ პირველმა, ამჯერად უკვე მუხრან-ბატონმა, ქსნის მარცხენა მხარეს, მაღალ

მთაზე აღმართა დიდი ციხე -- „მტუერის ციხე“. მართლაც წამოვიდა ავგიორგი კახთა ჯარით. ქსნის იმ ახალ ციხეს მიადგა; ვერ აიღო. უკან გაბრუნებისას ბაგრატ მუხრან-ბატონმა, უეცარი დარტყმით, შეიპყრო იგი და იმავე მტუერის ციხეში ჩააგდო, სადაც ჩაკვდა კიდეც (1513 წ.). უმეფოდ დარჩენილი კახეთი დავითმა შემოიერთა. 1518 წელს ირანის ხელმწიფემ შაჰ ისმაილმა, დიდძალი მხედრობა გამოგზავნა ქართლში დივ-სულთან რუმლუსა და სამცხის ათაბაგის ყვარყვარე III-ის სარდლობით. შემოჭრისთანავე მტერმა სურამი და გორი აიღო. დავითმა ირანელთა მთავარსარდალს თავისი ძე, რამაზ ბატონიშვილი აახლა დიდძალი ძღვენით. დივ-სულთან რუმლუმ ძღვენი მიიღო, რამაზ ბატონიშვილი მძევლად წაიყვანა და საქართველოდან წავიდა. ქართლის გაჭირვებით კახელებმა დრო იხელთეს და აქამდე გადამალული ლევან უფლისწული კახეთის ტახტზე გაამეფეს. შაჰ ისმაილმა კი რამაზ ბატონიშვილი გამოუშვა და ქართლისგან ხარკი იკმარა -- წელიწადში სამასი საპალნე აბრეშუმი. შაჰმა მალე „დამატებით“ ქართლის მეფეს ირანში გამოცხადება და ქრისტიანობის განტევება მოსთხოვა. დავითმა „გათათრებაზე“ ციკი უარი შეუთვალა. მაშინ, 1522 წელს, თვითონ შაჰ ისმაილი წამოემართა საქართველოსკენ დიდძალი მხედრობით. თელეთთან დიდი ბრძოლა გაიმართა. თავი გამოიჩინა ლუარსაბ ბატონიშვილმა (მომავალი მეფე ლუარსაბ I), რომელმაც მარჯვენა ფლანგიდან შეტევით დაამარცხა და გააქცია ყარაფილის სარდლობით მოიერიშე ირანელთა მხედრობა. მაინც იმძლავრა შაჰ ისმაილმა. ტფილისს მიადგა და ქალაქის თავის ღალატის წყალობით აიღო კიდეც. შაჰ ისმაილი 1524 წელს მოკვდა. დავით მეფემ ტფილისი დაიბრუნა, იქ მდგარი ირანული ციხეთნი ამოწყვიტა, აღჯაყალას მდგარი ირანელებიც მიაყოლა და ქართლი მტრისაგან გაწმინდა. იმავე წელს დავითი მეფობიდან გადადგა და, დამიანე ბერის სახელით, ღვთისმსახურებას შეუდგა. მალე კიდეც გარდაიცვალა 1525 წ.).

დაკრძალეს მცხეთას. დარჩა ქვრივი დედოფალი თამარი სამი ძით – ლუარსაბი, დემეტრე, რამაზი. დავითმა გადადგომისას მეფობა ძმას, გიორგის დაუტოვა.

გიორგი IX – ძე კონსტანტინე II-ისა, მომდევნო ძმა დავით X-ისა, ქართლის მეფე 1524-1527 წლებში. იმეფა ფრიად უფერული მეფობით, მით უფრო, მისი ძლიერი ძმისწულის, უფლისწულ ლუარსაბის ჩრდილქვეშ. 1527 წელს გიორგიმ მეფობა ლუარსაბს შეატოვა და თვითონ გერასიმე ბერად აღიკვეცა. გარდაიცვალა 1534 წელს.

ლუარსაბ I – დიდი ქართველი ხელმწიფე, უფროსი ძე დავით X-ისა, ქართლის მეფე 1527-1556 წლებში. იყო „მხნე, ახოვანი, შემმართებელი, უშიში, მორწმუნე, ღვთისმოყვარე, საღმრთო სამხედროთი სრული“. უფლისწულობისას, 1522 წელს, დიდი გმირობა გასწია თელეთის ბრძოლაში, სადაც მან, მარჯვენა ფლანგიდან შეტევით, დაამარცხა და გააქცია ირანელთა მრავალრიცხოვანი მხედრობა, რომელსაც სათავეში ედგა ყარაფილი, ისმაილ შაჰის რჩეული სარდალი. თუმცა ტფილისი, ქალაქისთავის ღალატით, მაინც იგდო ხელთ შაჰ ისმაილმა. ორი წლის შემდეგ (1524 წ.) შაჰ ისმაილი მოკვდა. ქართველებმა ამით იდროვეს, ტფილისი ისევ დაიხსნეს და ირანელები მთლიანად გარეკეს ქართული მიწაწყლიდან. ლუარსაბს გამეფებამდეც ახლო ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის სამეფო კართან. 1526 წელს ცოლად შეირთო იმერეთის მეფის, ბაგრატ III-ის ასული, თამარი. მომდევნო წელს ბიძამისი გიორგი IX ბერად აღიკვეცა და ქართლის ტახტი თვითონ დაიჭირა. აქედან იწყება ისტორიაში მეფობა ლუარსაბ I-ისა. 1538 წელს ირანის მაშინდელი ხელმწიფე, შაჰ თამაზ I, დიდი არმიებით მოადგა საქართველოს, მოვიდა და ქართველ მეფეთა მასთან გამოცხადება მოითხოვა. მაშინვე ეახლნენ ლევან კახთა მეფე და სამცხის ათაბაგის ძე ქაიხოსრო. არ გამოცხადდნენ ქართლისა და იმერეთის მეფენი.

ტფილისისაკენ წამოემართა შაჰ თამაზი 12000 დარჩენილი მხედრით, ლუარსაბ მეფე, მეუღლით, ოჯახით, გლოვაში იყო ახალგარდაცვლილი ყრმა უფლისწული ესვენა მცხეთის სვეტიცხოველში. ტფილისის ციხისთავმა, სახელად გულბაათმა, „ტრადიციულ ტფილისურ ღალატს“ არ ულალატა. ქალაქის კედელზე თოკით დაეშვა და შაჰ თამაზს ქალაქის გასაღები მიართვა. ირანელები ტფილისშიც ჩადგნენ და ქართულ დასახლებებს მოედვნენ საძარცვავ-საწიოკებლად. ლუარსაბმა გლოვა მიატოვა, ჯარი შეკრიბა და მტერს დაეწია. დიდგორის ახლოს სასტიკად დააძარცხა მაოხარი. თამაზ შაჰმა ახალი მხედრობა აფრინა საქართველოსკენ. ლუარსაბი „პარტიზანულ“ („თარეშულ“) ომზე გადავიდა. შაჰ თამაზი ასეთ ომს განერიდა და საქართველოც იმჯერად მიატოვა. 1554 წელს შაჰ თამაზი მეოთხედ შეკრებია საქართველოს. ტფილისი ისევ დაეცა, ისევ ციხისთავის, ფარსადანის ღალატით. ლუარსაბ მეფე მაშინ იმერეთს იყო. შაჰმა შეიტყო, რომ ატენის ციხეში ლუარსაბის დედა, დედოფალი ნესტან-დარეჯანი იდგა და მაშინვე ალყაში მოაქცია ატენი. ალყა გაჭიანურდა, შაჰსაც იმედი გადაეწურა და ის იყო უნდა შეუქცეულიყო, რომ ვინმე ბეთიაშვილის სულმოკლეობის მიზეზით, ციხე ისევ გატყდა შიგნიდან. შაჰ თამაზმა ლუარსაბის დედა, დაი და მათთან ბევრი წარჩინებული ოჯახის შვილი, ყველა ტყვედ აიყვანა, მრავალ ნაძარცვ-ნატყვენავით ყარაბაღისკენ გაქუსლა, წაასხა 30000 ტყვე, უმეტეს ქალები და ბავშვები. ლუარსაბ მეფე გვიან გადმოვიდა იმერეთიდან. მტრის არიერგარდს კი დაეწია და სისხლიც ადინა, მაგრამ დედა და დაი ტყვეობიდან ვერ გამოიხსნა. დედოფალი ნესტან-დარეჯანი ტყვეობას არ შეურიგდა, „წამალი სასიკვდილე“ შესვა და აღესრულა. შაჰ თამაზმა კი იმ უმძიმესი ოთხი ლაშქრობით უფრო მეტი დაჰკარგა, ვიდრე მოიმკო: საქართველო ვერ დაიმონა, ლუარსაბ მეფე „ვერც მოამშვიდა, ვერც მოკლა, ვერც დაიპყრო და ვერც შეიხვეწია“. ლუარსაბი ქართლის ციხეებში ჩარჩენილ ირანულ

ციხიონებს ულეტდა „უგრძნეული“ თავდასხმებით. 1556 წელს, შაჰ თამაზის დავალებით, ქართლს დიდი საომარი ძალებით შემოესია განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგი შაჰვერდ სულთან ზიად-ოღლი. ლუარსაბმაც შეჰყარა ჯარი. ბრძოლა მოხდა სოფელ გარისთან. უკვე მხცოვანმა ლუარსაბ მეფემ ბრძოლის ხელმძღვანელობა მიანდო თავის უფროს ძეს, 19 წლის სვიმონს. სვიმონი ბრძოლას ბრწინვალედ წარუძღვა და ქართველებმაც ბრწყინვალედ გაიმარჯვეს. ოღლინდ ბრძოლაში ჭეშმარიტი გმირის სიკვდილით დაიღუპა თვითონ ლუარსაბი. მცხეთაში დაკრძალეს იგი - „ლომებრ ძლიერი და სარდალი კეთილი... გულოვანი, უხვი და უშურველი, მსმენელ-მჭმველი, სამართლიანი, ყმა-მორჩილი, ცხენოსან-ცეროსანი, ომში კოხტა და უშიშარი, მაგარი ქრისტიანი, ურუმთა და ყიზილბაშთა ნამეტნავად მისგან რომ ეშინოდათ“; მხედართუფროსი, რომელსაც უყვარდა თქმა: „მამაცმან კაცმან თავი თვისი მგელს უნდა ამსგავსოს და მტრის ლაშქარი ცხვრის ფარად ჩაითვალოს; ვითარცა მგელი ცხვარსა, ესრეთ მტერსა უნდა მიუხდეს; ხოლო გამარჯვება ღმრთისა ხელთა არს“. დარჩა სამი ძე: სვიმონი, დავითი, ვახტანგი. ტახტზე ავიდა სვიმონი, რომელიც მამას უკვე დაელოცა მეფედ გარისის ომის დაწყებამდე.

სვიმონ I - დიდი ქართველი ხელმწიფე, უფროსი ძე დიდი ლუარსაბ I-ისა, ქართლის მეფე 1556-1600 წლებში. 19 წლისა თვითონ მამამ გამოაცხადა მეფედ, გარისის ველზე, ბრძოლის წინ. იმ დღის ძლევამოსილ ბრძოლაშიც თვითონ იყო მთავარსარდალიც და მთავარი გმირიც. მომდევნო ძმამ, დავითმა, არ ცნო მისი მეფობა, ირანშიც გაიქცა, მაჰმადიანად მოინათლა და დაუდ-ხანი დაირქვა. ამის შემდეგ მიდიოდა ბრძოლა მამულიშვილ ძმასა და რენეგატ ძმას შორის. 1561 წელს, ციხედიდთან, ძეგვის მახლობლად, ქართველებს ბრძოლა მოუხდათ ყიზილბაშებთან. ყარაულის უფროსის, გერმანოზიშვილის უჭკუობისა და უთაურობის წყალობით,

ქართველებმა ბრძოლა წააგეს. 1567 წელს, დილომთან, ძმები შეხვდნენ ერთმანეთს – დაუდ-ხანი ყიზილბაშთა ჯარებით და სვიმონ მეფე ქართველთა ჯარით. სვიმონმა გაიმარჯვა, მაგრამ დაუდ-ხანმა მაინც შეასწრო ტფილისში და ჩაიკეტა. სვიმონმა ტფილისი ვერ გამოსტაცა ყიზილბაშებს. 1568 წელს სამადლოზე დაეტაკნენ ერთმანეთს ძმები. ისევ გაიმარჯვა სვიმონმა, მაგრამ ისევ შეასწრო მოღალატე ძმამ ტფილისში. 1569 წელს კი ფარცხისთან მოხდა დიდი ბრძოლა. აქ უზარმაზარ თურქმანულ-ყიზილბაშურ ურდოს მეგზურად წამოუძღვა კახაბერ ყორღანაშვილი. ბრძოლა დაიწყო და წარემართა სვიმონ მეფის გმირობით; ქართველებს უკვე ის იყო გამარჯვებაც უნდა ეზეიმნათ, მაგრამ უეცრად მტრის შუაგულში შეჭრილ სვიმონ მეფეს ყორღანაშვილისგან ჩასაფრებულმა ყიზილბაშებმა ზურგიდან დაუშინეს, ცხენიდან ჩამოაგდეს, ყოველი მხრიდან მიეხვივნენ, ტყვედ აიყვანეს და ირანის გზას გაუყენეს. იგი ჩააგდეს ალამუთის ციხეში, სადაც გაატარა ცხრა წელიწადი. ამ ცხრა წელწადში კი საქართველოში ირანი დაკნინებულიყო და ოსმალეთი გამძლავრებულიყო. ბოლოს და ბოლოს, ირანის ხელისუფლება, ახალი შაჰის, ხუდაბენდეს კარი, მიმხვდარიყო, რომ საქართველოდან ოსმალთა გამოდევნის საქმეს ისევ სვიმონი თუ მოუვლიდა. ამიტომ ირანელებმა იგი გაათავისუფლეს და გამოუშვეს საქართველოში. ეს მოხდა 1578 წელს. აქედან იწყება სვიმონის ბრძოლები ქართლიდან ოსმალობის განსადევნად. მოსვლის წელსვე ბევრი დიდი და მცირე ციხე გაწმინდა ოსმალთაგან, მათ შორის – ლორე და გორი. ყოველი მისასვლელი გზა შეუკრა ტფილისში ჩაკეტილ ოსმალთა ციხიონს. ტფილისი შიმშილმა მოიცვა. რამდენიმე ნაკადით წამოვიდნენ ოსმალნი ტფილისისაკენ. ყველას ვერ გაწვდა სვიმონი. სადაც მტერს დაეცა, კიდეც გაემარჯვა, მაგრამ ტფილისში სურსათის შეტანას მაინც ახერხებდნენ ოსმალნი. 1583 წელს სვიმონ მეფემ მაინც აიღო და ოსმალთაგან გაწმინდა ტფილისი. ამის შემდეგ მან გაათავისუფლა საქშვილდე, მერე დმანისი. 1584

წელს კვლავ გამოჩნდა ოსმალთა 30000-იანი არმია რეზვან ფაშას სარდლობით. მტერმა ალგეთის მარჯვენა ნაპირზე, სოფელ ხატისსოფელთან დაიბანაკა. სვიმონმა ოსმალთა ბანაკი თავისი ოვალით დაზვერა (ბანაკში ისე შეაღწია, როგორც „სვიმონ მეფის ელჩმა"!) და მეორე დღეს, გათენებამდე, როცა მტრის ბანაკს ჯერ კიდევ ეძინა, 4000 ქართველით თავს დაეცა და 30000 ოსმალი მეომრიდან უმრავლესობა ამოწყვიტა, ბევრი ტყვედ აიყვანა, ნაწილი გააქცია და გადაკარგა. 1588 წელს სვიმონმა ქუთათისის ტახტის გარშემო აჯეხილი არეულობის ამბავი შეიტყო და სახწრაფოდ იმერეთის „დასაპყრობად" დასძრა ლაშქარი. გოფანთოსთან გამართულ ბრძოლაში დამარცხდა იმერეთის მეფე ლევანი და ლეჩხუმს გაიქცა. სვიმონმა იმერეთი თავისად დაიგულა და ქართლში, ისევ ოსმალებთან საომრად გამობრუნდა. მაგრამ ქართლის მეფის წამოსვლისთანავე, იმერეთი კვლავ ცალკე სამეფოდ აღსდგა. კიდევ ორჯერ დასჭირდა სვიმონს დასავლეთ საქართველოში გადასვლა, მაგრამ ბოლოს მაინც, ოფშკვითის ბრძოლაში (1590 წ.) მარცხნაჭამი გამობრუნდა და აღმოსავლეთ-დასავლეთ ქართველთა გაერთიანების ფიქრზეც საბოლოოდ აიღო ხელი. უკვე ეგრეპა იცნობდა სვიმონ ქართლის მეფეს, როგორც ოსმალ-თურქობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ გმირს. მხურვალე მიმოწერაც ჰქონდათ მასთან რომის პაპს, კლიმენტი VIII-ს, და ავსტრიის იმპერატორ რუდოლფ III-ს. მაშინ ოსმალეთის ხელისუფლებამ სვიმონის წინააღმდეგ რადიკალური, საგანგებო ღონისძიებას მიმართა. 1599 წელს, სულთანმა მეჰმედ III-მ ქართლის „ერთხელ და სამუდამოდ" მოსათხრელად უზარმაზარი მხედრობა გამოგზავნა თავრიზისა და ვანის ბეგლარ-ბეგ ჯაფარ-ფაშას სარდლობით. ბრძოლა, რომელიც გაიმართა ნახიდურთან, ალგეთზე, რიცხობრივად იყო სრულიად უთანასწორო. ამაო გამოდგა საარაკო გმირობა მეფისა და მისი ქართული გუნდისა. მტრისგან გახსნილი ცეცხლის პირისპირ, სმლიანი ქართველები უძლურნი

აღმოჩნდნენ და უკუიქცნენ. სვიმონ მეფეს, ვიწრო ბილიკზე სრბოლისას, ვინმე თულაშვილი უნებლიედ გვერდიდან დაეძგერა და ხეებში გადასჩეხა. მეფე თავისი ცხენით მეწყერში ღრმად ჩაეფლო. ოსმალებიც მიაწყდნენ და შეიპყრეს. ჯაფარ-ფაშამ ძვირფასი ტყვე სტამბოლს გაგზავნა. ზეიმობდა ოსმალეთის სატახტო. მეჰმედ სულთანის ბრძანებით სახელმწიფო დროშები გამოეფინათ; „ტკბილად“ შეხვდა სულთანი სვიმონს, დიდი პატივი და წყალობა დაპირდა, მაგრამ ვერც „გათათრებაზე“ დაიყოლია, ვერც ქართლის დახარკვა-დამორჩილების ცნობაზე. გარისხებული სულთნის ბრძანებით, სვიმონ მეფე „შვიდკოშკა ციხეში“ (იედიყულე) ჩააგდეს. მისმა ძემ, გიორგიმ, არაფერი დაზოგა მამის გამოხსნისათვის, - ქრთამიც მრავლად გაგზავნა, მძევლად თავისი შვილებიც გაიმეტა - უფლისწული დავითი და მშვენიერი ასული გულჩარა (შემდეგში, ოსმალეთის კარზე განთქმული დიპლომატი), მაგრამ ყოველივე ამაო გამოდგა. 1603 წელს საქართველოს მოუკვდა სვიმონ მეფე. გამეფდა 19 წლისა, ტყვეობაში გაატარა 12 წელიწადი, იმეფა 35 წელიწადი, აღესრულა 66 წლისა. იმჟამად სტამბოლს მყოფმა ვაჭარმა დიაკვნიშვილმა „იშოვნა ძვალნი სვიმონ მეფისანი, და წარმოიღო იგი და მოართვა გიორგის და დედოფალსა ნესტან-დარეჯანს“. დაკრძალეს სვიმონი მისი საფიცარი მამის, ლუარსაბის გვერდით.

ლევონ XI, ლაუდ-ხანი - შუათანა ძე დიდი ლუარსაბ I-ისა, მომდევნო ძმა დიდი სვიმონ I-ისა, ქართლის მეფე, ანუ ხანი 1569-1578 წლებში. თავისი უფროსი ძმის, სვიმონის გამეფებას არ შეურიგდა და, 1562 წელს, ყაზვინს გაიქცა თამაზ შაჰთან, გამაჰმადიანდა („გათათრდა“), სახელად დაუდ-ხანი დაირქვა და, ქართველთა წინააღმდეგ, სპარსელთა სამსახურში ჩადგა. შაჰ თამაზმა რაყაში უბოძა, რომელშიც მას „თავის ძედ“ იხსენიებდა. სპარსულად მორთულ-მოკაზმულ „თავის გურჯ ძეს“ სპარსული ჯარიც აახლა და ტფილისისა და ქვემო ქართლის „ხანად“ გამოუშვა. ქართლში ორმეფობა

(„ორიანობა“) დაიწყო. დავითი ტფილისში იყო ჩაკეტილი. როცა კი გამოსულა და სვიმონთან შებრძოლება გაბედა, ყოველთვის დამარცხდა და უკანვე თავი შეაფარა ტფილისის კედლებს. 1567 წელს დიღმის ველზე მოხდა დიდი ბრძოლა, სადაც „მოისრნეს სპანი მეფისა სვიმონისანი მცირედნი რამე, ხოლო დაუდ-ხანისა ქართველებმა მოსწყვიდნეს ორი წილი“. ისევ შეეარდა და შეიკეტა ტფილისში დაუდ-ხანი, თავისი ყიზილბაშებით. მოსდევნო 1568 წელს კიდევ შეებნენ ძმები ერთმანეთს, სამადლოსთან. კვლავ „განლომნეს მეფე სვიმონ და სპანი ქართველთანი“, კვლავ მრავლად ასწყვიტეს ყიზილბაშნი, კვლავ გაიქცა და ტფილისს შეეფარა დაუდ-ხანი. 1569 წელს კი, ფარცხისის ბრძოლაში, ყორღანაშვილის ღალატის წყალობით, სვიმონ მეფეს გმირობა გაუცუდდა იგი ტყვედ აიყვანეს, ირანს წაიყვანეს და ალამუთის ციხეში ჩააგდეს. დაუდ-ხანს უკვე შეეძლო ძმის უბედურება და თავისი „ერთმეფობა“ ერთად ეზეიმნა. შაჰ თამაზმა კიდევაც გამოაცხადა იგი სრულიად ქართლის „ხანად“. და იმეფა, თუ „იხანა“ იმდენ ხანს რამდენ ხანსაც სვიმონი ციხეში ემწყვდიათ ყიზილბაშებს – ცხრა წელიწადი (1569-1578). მაგრამ მისი „მეფობა“ და „ხანობა“ იყო მოუსვენარი, უგემური და უამური, რადგან განუწყვეტლივ ებრძოდნენ ქართველები ყიზილბაშობას, რომელსაც სათავეში გაყიზილბაშებული ქართველი ჩასდგომოდა. ამ სამამულო ბრძოლას კი სათავეში ედგა ქვემო ქართლის პატრონი საჩინო ბარათაშვილი, რომელმაც სვიმონ მეფის მოღალატე ყორღანაშვილი საკუთარი ხელით გადაჩეხა გელიყარის კლდეზე. 1578 წელს ოსმალეთის სერასქერი ლალა მუსტაფა ფაშა წამოემართა დიდძალი მხედრობით სპარსეთისგან საქართველოს და სრულიად ამიერკავკასიის წასართმევად. სამცხე დაიჭირა და ტფილისისკენ წამოვიდა. დაუდ-ხანმა ტფილისი ხანძარს მისცა და თვითონ ლორეს გაიქცა. ლალა ფაშა ტფილისში შეეიდა, ფაშა დასვა და მთელი ქართლი საფაშოდ გამოაცხადა. „ქართლის საფაშოს“ ყოველწლიურად

სტამბოლის ხაზინისთვის ერთი მილიონი ახჩა უნდა გადაეხადა. მაშინ ირანის შაჰის სასახლის კარმა ოსმალთაგან ქართლის გამოსახსნელად სვიმონ მეფე გამოუშვა მეფედ აღდგენილი და დამტკიცებული. დაუდ-ხანმა სვიმონის გამოშვების ამბავი რომ შეიტყო, ჯერ კახეთს გაიქცა, მერე ოსმალეთს. იქ ხელახლა გათათრდა – სპარსული შიიტობა ოსმალური სუნიტობით შეიცვალა, ორი საფაშო მიიღო სამმართველოდ და „საზრდელად“ ოსმალეთის ფადიშაჰისგან. „გასაროობიც“ მოიძია: დაჯდა და არაბული კარაბადინებისგან ქართული სამკურნალო წიგნი („იადიგარ დაუდი“) შეადგინა. ალესრულა იქვე, ოსმალეთში, 1588 წელს, იქვე დამიწდა. ორი ძე დარჩა – ბაგრატი და ხოსრო (ქაიხოსრო). ბაგრატი ალექსანდრე კახთა მეფის ნათესავი ქალისგან შეეძინა, ხოლო ხოსრო – წავკისელი გლეხის ქალისგან. ორივე ირანში იზრდებოდა, ორივე „გათათრებული“ – ბაგრატ-მირზა (მომავალი ბაგრატ-ხანი) და ხოსრო-მირზა (მომავალი როსტომ-ხანი).

ბაგრატ X – ძე დიდი სვიმონ I-ისა, ქართლის მეფე 1601-1606 წლებში. უფლისწულობაში, მამას ღირსეულად ედგა მხარს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ნახიდურთან განცდილი კატასტროფის ამბავი გაიგო გორში, სადაც იგი დაეტოვებინა თვითონ სვიმონს. შეიტყო და დაედევნა ტყვედ გატაცებულ მამას, მაგრამ გაასწრეს ოსმალებმა. ბევრი ეცადა მამის ტყვეობიდან გამოხსნას. ძღვენ-ქრთამიც მრავლად გზავნა სტამბოლს, სულთანის კარზე, შვილებიც კი მძევლებად გაგზავნა – დავითი და გულჩარა, მაგრამ მაინც ვერ დაიხსნა მამა. 1601 წელს ქართლის მეფის გვირგვინი დაიდგა თავზე. ამავე წელს ლორედან განდევნა ოსმალები. 1603 წელს ხანგრძლივი ომი ატყდა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის. ქართლისა და კახეთის მეფენი, გიორგი X და ალექსანდრე II სპარსეთის შაჰის, აბას I-ის მხარეზე იბრძოდნენ. სპარსელებმა სწორედ ქართველების „წინამბრძოლობით“ წაართვეს ოსმალებს

ერევანი 1604 წელს. შაჰ აბასმა ორივე ქართველ მეფეს ჯამაგირი დაუნიშნა, საშაგიეროდ გიორგის დებედეს ხეობა წაართვა, ალექსანდრეს კი კაკ-ელისენი. ორივე ქართულ პროვინციაში სულ მალე უცხო, თურქმანულ ტომებს შეშოასახლებს ვერაგი შაჰი. იმავე ჟამს ურთიერთობა გაიბა რუსეთსა და ქართლს შორის. თითქოს კიდეც უნდა დამოყვრებულიყვნენ მოსკოვი და ტფილისი – რუსეთის მეფის, ბორის გოდუნოვის ძეს, თეოდორეს, ცოლად უნდა შეერთო გიორგი X--ის ასული ელენე. მაგრამ რუსეთში ატეხილმა შინაურმა არეულობამ და პოლონეთ-შვედეთის ინტერვენციამ, ქართლთან ურთიერთობა სულ დააკიწყა რუსეთის სამეფო კარს. ძალე, 1606 წელს, მეჯვრისხვევს ყოფნისას, მეფეს თაფლის ჭამისას ფუტკარი ჩაჰ ყოლია, შიგნით დაუკბენია, ყელი და თავპირი გასივებია და ძომკვდარა. იმასაც ამბობდნენ, თითქოს შაჰ აბასს ძოეწამლოს იგი. მეფე გიორგი X დაკრძალეს მცხეთას.

ლუარსაბ II - ძე გიორგი X-ისა, შვილიშვილი დიდი სვიმონ I-ისა, ქართლის მეფე 1606-1614 წლებში. შაჰ აბასმა დაამტკიცა მეფედ 14 წლის ასაკში. ეკალებოდა ეომნა სპარსთა მხარეზე სპარსეთ-ოსმალეთის მიმდინარე ომში. 1607 წელს შაჰ აბასმა ცოლად შეირთო ლუარსაბის დაი, ლელა-თინათინი (ახალი, სპარსული სახელით – ფათმა სულთან ბეგუმ). 1609 წელს, ტაშისკართან გამართულ დიდ ბრძოლაში ოსმალთა და ყირიმელ თათართა განადგურებისას, ჭაბუკი ლუარსაბი გმირულად იბრძოდა გიორგი სააკაძესთან ერთად. 1610 წელს აზერბაიჯანში ჩამოსულმა შაჰ აბასმა ქართლ-კახეთის მეფენი, ლუარსაბი და თეიმურაზი, „საშეჯლისოდ“ მიიწვია. ლუარსაბი დედასთან, დედოფალ თამართან ერთად ეწვია შაჰს. „ირანის ლომი“ დიდი პატივით შეხვდა სტუმრებს. ლუარსაბმა „სიძის სიყვარულით“. ისარგებლა და ტფილისიდან სპარსელთა ციხიონის გაყვანა თხოვა. შაჰ აბასმაც უარი აღარ თქვა და საქართველოს სატახტოც გათავისუფლდა. მომდევნო 1611 წელს მოხდა სამი ქორწინება;

აქედან ორი შაჰ აბასის ნებით: ქვრივმა თეიმურაზ კახთა მეფემ ცოლად შეირთო ლუარსაბ ქართლის მეფის მეორე დაი, ხორეშანი და თვითონ შაჰმა კიდევ ერთ ცოლად შეირთო თეიმურაზის დაი ელენე. მესამე ქორწინება კი იყო ლუარსაბ მეფისა, უკვე „მისი ნებისად“. მან ცოლად შეირთო მისი უახლოესი კაცის, მოურავ გიორგი ააკაძის დაი (სახელი არაა ცნობილი). მეფესთან დაახლოებული თავადობა, შადიმან ბარათაშვილისა და ფარსადან ცოცოშვილის მეთაურობით, არ შეურიგდა „ძლაბილ ააკაძის“ ოჯახის ეგზომ აღზევებას და მეფე, ბოლოს და ბოლოს, დაიყოლიეს - ცოლსაც გაჰყრიდა და ცოლისძმის მოკვლაზეც დასტური ეთქვა. გიორგი ააკაძემ სიკვდილს ძლივს გაასწრო და ოჯახით სპარსეთს გადაიხვეწა, შაჰ აბასის საქმახურში. ლუარსაბს სხვა ცოლი აღარ შეურთავს. თვითონ შაჰ აბასი კი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქართველ მეფეებთან „დამოყვრება“ არ ჭრიდა -- მათ თავი სრულიად დამოუკიდებლად ეჭირათ და სპარსეთთან „მოყვრობასაც“ უფრო რუსეთთან დაახლოებას ამჯობინებდნენ. 1614 წელს შაჰი დიდძალი მხედრობით წამოემართა საქართველოს წასახლენად. დაიწყო კახეთიდან. ჯერ თეიმურაზისგან შვილები და დედამისი მძევლებად აიყვანა, მერე თვითონ თეიმურაზის გამოცხადებაც მოითხოვა. თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთში გადაიხვეწნენ. შაჰ აბასმა კახეთი სასტიკად აიკლო და ააოხრა; 80000 კახელი ირანს გადაასახლა. კახეთიდან ქართლს გადაინაცვლა და იქიდან გიორგი იმერთა მეფეს მისი „საყვარელი ცოლისძმების“, ლუარსაბისა და თეიმურაზის გამოგზავნა მოსთხოვა. გიორგიმ ასეთ „არასტუმართმოყვრული საქციელის“ ჩადენაზე უარი შემოთვალა. მიწერ-მოწერა იმერეთთან ამაო გამოდგა. შაჰს შადიმან ბარათაშვილი, ლუარსაბის ლალა-გამზრდელი ეწვია და შესთავაზა - მე გადმოგიყვან იმერეთიდან ჩემ გაზრდილსო, და წავიდა კიდეც, თუმცა „შუამდგომლობა“ აღარ იყო საჭირო. ლუარსაბს თვითონ გადაეწყვიტა ხლებოდა შაჰს, რადგან გრძნობდა: თუ არ მიუვალ, მთელს ჩემს

სამეფოს იავარჰყოფს, ააოხრებს და წაბილწავს, ეკლესიებს დაანგრევს, ქართველობას აშოხოცავს და ტყვედ წაიყვანს, ამიტომ, თუნდაც მომკლას, მაინც უნდა ვეახლოო, — გადაწყვიტა ლუარსაბმა, ვითარცა ადრე დემეტრე თავდადებულმა, წამოვიდა და ეახლა კიდეც. შაჰიც შეხვდა „სიყვარულით, საყვარელ ცოლისძმას“, წაიყვანა ნადიმობა-ნადირობით სპარსეთს; იქ კი ქრისტიანობის განტევება და მაჰ-მადიანობის მიღება მოსთხოვა. ლუარსაბმა ცივი უარი სტკიცა. მაშინ შაჰმა იგი ჯერ ასტრაბადის ციხეში ჩააგდო, მერე გულაბყალას, შირაზის ციხეში. 1622 წელს, ქართველთა შუამდგომლობით, რუსეთის ელჩებმა შაჰ აბასს ლუარსაბის განთავისუფლება სთხოვეს. შაჰმა აღუთქვა, მაგრამ მაშინვე გულაბყალას ციხისთავს უბრძანა ქართველი მეფის დაუყოვნებლივ სიკვდილი. სპარსმა ჯალაიებმა ლუარსაბი მშვილდის საბელით მოაშთვეს, თავი მოჰკვეთეს და შაჰს მიართვეს. შაჰ აბასმა მოკვეთილ თავს სცემა და აორია, ისტერიული ლანძღვით და გინებით. ასე წამებულის სიკვდილით აღესრულა ლუარსაბ II ქართველთა მეფე 1622 წელს გაზაფხულზე, შობითგან 24 წლისა. გადაეგო უშვილძიროდ. ქართულმა ეკლესიამ იგი წმინდანთა პანთეონში შერაცხა. ლუარსაბ წამებულის მოსახსენიებელი დღეა 4 ივლისი (ახ. სტ.), იგივე დღე, რაც არჩილ წამებულისა.

ბაგრატ VII, ბაგრატ-ხანი - ქართლის მეფე (ხანი) 1615-1619 წლებში. იგი იყო უფროსი ძე დავით XI-ისა (დაუდხანისა), ალექსანდრე კახთა მეფის ნათესავი ქალისაგან. გაიზარდა სპარსეთში, როგორც მაჰმადიანი („თათარი“) „მირზა“ (ბატონიშვილი). (ბაგრატ-მირზას გარდა, დაუდ-ხანს წაეკისელი გლეხის ქალისაგან ჰყავდა მეორე ძე, ხოსრო მირზა, მომავალი როსტომ მეფე). 1615 წელს, შაჰ აბასმა ქართლის გამგებლად, ანუ „ქართლის ვილაიეთის ხანად“ დასვა სწორედ ბაგრატი, ყრმობითვე „თათარ-გურჯი“. უფერული და უჩინარი იყო მისი „მეფობა“ თუ „ხანობა“. არაფერში არ ერეოდა, უკეთუ არავინ არაფერს ჰკითხავდა. 1616 წელს სპარსეთიდან

ჩამოსული გიორგი საკაძე ეწვია და დიდი პატივით მიიღო. 1617 წელს, აჯანყებულმა ხორნაბუჯელებმა, ალყაში მოქცეულებს რომ გაუჭირდათ, შაჰთან შერიგებისთვის შუამდგომლობა ბაგრატს სთხოვეს. იმანაც უშუამდგომლა და შეარიგა. ბუნებით უნდილი და მხდალი იყო. ოღონდ სიბრძნის, მეცნიერებისა და ხელოვნების დიდი სიყვარული ჰქონდა. ქართველები „თათრობისათვის სძულობდნენ“ და არა თუ ქართლის მეფედ, არამედ მხოლოდ „საბარათიანოს ბატონად“ მოიხსენიებდნენ. ეს იმიტომ, რომ ტფილისში მოსვლას ვერ ბედავდა და „სამეფო რეზიდენციად“ ბოლნისი ჰქონდა, სადაც აღესრულა 1619 წელს. იქვე დაიკრძალა. დარჩა ცოლი – ანა, ერთი ძე – სვიმონი, და ერთიც ასული, რომელიც ერთ-ერთ ცოლად ჰყავდა შაჰ აბასს.

სვიმონ II, სვიმონ-ხანი – ბაგრატ VII-ის (ბაგრატ-ხანის) ძე, შაჰ აბასის ცოლისძმა. დაიბადა და იზრდებოდა სპარსეთში, ყრმობითვე მაჰმადიანად („თათრად“). შაჰ აბასმა იგი ქართლის „ხანად“ დანიშნა 1619 წელს, მამამისის, ბაგრატ-ხანის სიკვდილის შემდეგ. ქართველთაგან „პატარა სვიმონის“ გამგებლობას ანგარიშს არავინ უწევდა და იმასაც თვალი მუდამ სპარსეთისკენ გასაქცევად ეჭირა. ამიტომ შაჰმა თავის „საყვარელ ცოლისძმას“ „ვექილად“ და „მრჩევლად“ გიორგი საკაძე დაუნიშნა. სვიმონიც მოლიანად საკაძეს მიენდო და მასთან სააჯოდ მოსულებსაც ასე პასუხობდა: „მოურავი მობრძანდების და ის გადასწყვეტავს“, „მოურავს უკეთ მოეხსენების“, „მის მობრძანებამდის მოთმინება გვმართებს“, „იმან ჩვენზედ უკეთ იცის, როგორადაც სჯობს“, „სწორედ ისე ვიქთ, როგორადაც ბატონ მოურავს მოესურვების“. 1625 წელს შაჰ აბასმა სვიმონ-ხანს თაეისი შვილიშვილი (ისახან-ყორჩიბაშის ასული), ჯაჰან-ბანუ ბეგუმ ცოლად შერთო და, ვითომ, როგორც ამ ქორწინების მაყრიონი, 30000-იანი ირანული არმიაც შეაყოლა საქართველოში. მაგრამ ის არმია ქართველებმა, გიორგი საკაძის მეთაურობით, ერთიანად ამოწყვიტეს

მარტყოფის ველზე. დამფრთხალი სვიმონ-ხანი ტფილისიდან აღჯაყალას გაიქცა და ციხეში შეიკეტა. იმავე 1625 წელს, მარტყოფს მარაბდის ბრძოლა მოჰყვა. შაჰმა თავი გამარჯვებულად ჩათვალა და სვიმონ-ხანი ისევ ტფილისს მოაბრუნა. 1630 წელს, მეფე თეიმურაზ I-ის წაქეზებით, სვიმონი ზურაბ ერისთავმა ციხეში ციხეში და იქ, ძმინარი მეფე მოაკვლევინა საგანგებოდ საამისოდ გამზადებულ ხიმეს, გიორგი ჩერქეზს.

როსტომი, როსტომ-ხანი – ძე დავით XI-ისა (დაუდ-ხანისა), შვილიშვილი დიდი ლუარსაბ I-ისა, ძმისწული დიდი სვიმონ I-ისა, ნახევარძმა ბაგრატ VII-ისა (ბაგრატ-ხანისა), ქართლის მეფე 1632-1658 წლებში. დაუდ-ხანს იგი შეეძინა სპარსეთში, თანწაყოლილი წაკისელი გლეხის ქალისგან. ამიტომ მას „ხარჭის ნაშობსაც“ უწოდებდნენ ხოლმე. ყრმობითვე წინდაცვეთილ მაჰმადიანად („თათრად“) მოინათლა და მაჰმადიანად გაიზარდა. გამეფებამდე მისი სახელი იყო ქართულად ქაიხოსრო, სპარსულად ხოსრო-მირზა. ჭაბუკობითვე ყურადღება მიიპყრო ნიჭით, ჭკუით და სიმამაცით. შაჰ აბასმა ეს „გურჯი-მირზა“ 1618 წელს დანიშნა სატახტო ქალაქის, ისფაჰანის ტარუღად (მოურავად, ანუ ქალაქისთავად). 1525 წელს, მარაბდის ბრძოლაში, ხოსრო-მირზა სპარსული არმიის მარჯვენა ფლანგს სარდლობდა. იმავე წელს, ქსანზე გამართულ ბრძოლაში, საკაძისგან გარშემორტყმული ალეა გამოარღვია და სპარსთა ჯარის ერთი ნაწილი დაიხსნა სრული კატასტროფისგან. იმავე წელს შაჰ აბასმა ხოსრო-მირზა, ისფაჰანის ტარუღობასთან „შეთავსებით“, დანიშნა ღულამთა, ანუ ყულის ჯარის მთავარსარდლად (ყულარაღასი). 1629 წელს, უკვე სიკვდილის სარეცელზე მწოლარე შაჰ აბასმა ანდერძით ხოსრო-მირზას მიანდო მისი შვილიშვილის, საამ-მირზას აყვანა შაჰის ტახტზე. ხოსრომ შეასრულა მომაკვდავი „ირანის ლომის“ ნაანდერძევი. ახალ შაჰს ანდერძით სახელი შეუცვალა და სეფი შაჰი ეწოდა (სეფი შაჰის დედაც და ბებიაც ქართველი

ქალები იყვნენ). 1630 წელს შაჰ სეფიმ ხოსრო-მირზა ბაღდადზე მოიერიშე ოსმალთა წინააღმდეგ გაგზავნა. ხოსრომ მისვლისთანავე დაამარცხა და გააქცია ოსმალნი. 1632 წელს, გვიან (67 წლის ასაკში), ელირსა იგი შარად საოცნებო ქართლის ხელმწიფობას. შაჰ სეფიმ მას მისცა ქართლი, დაარქვა როსტომ, ანუ როსტომ-ხანი, უწოდა „ვალი“ („მოადგილე“) და ამიერიდან ყოველ მიმოწერაში მოიხსენიებს, როგორც – „ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხან“. ქართველებმა მას დაარქვეს როსტომ მეფე, ხოლო თვითონ თავს უწოდებდა და ხელრთვას ურთავდა – „მეფეთ-მეფე და პატრონი“ ქართლისა. სვიმონ II-ის მოკვლიდან, როსტომის მეფედ მოსვლამდე, ქართლისა და კახეთის ორივე ტახტი თეიმურაზ I-ს ეჭირა. მაგრამ, როსტომ მეფე რომ გამოჩნდა, თეიმურაზმა ქართლი კი არა, კახეთიც მიატოვა და იმერეთს გაიქცა. ხალხიც სპარსთა არმიის ამ მორიგ შემოსვლაზე მთებსა და ტყე-ღრეში გახიზნულიყო. მაგრამ მალე ყველა დარწმუნდა, რომ როსტომ მეფე ქართლის „გადასაშენებლად“ კი არა, „მოსაშენებლად“ მოსულიყო. იგი, გარეგნული სჯულით „თათარი“, შინაგანი სულით ქრისტიანი აღმოჩნდა, რაც მთავარია – ქართველობისთვის თავგამოდებული მებრძოლი, ქართველთა მიწა-წყალზე მშვიდობიანი ცხოვრების, შრომის, აღმშენებლობისა და აღორძინების თავკაცი. მის დროს სპარსეთის მესვეურებს ქართლის „სრული გათათრების“ განაზრახი აღეკვეთათ. მათ მხოლოდ დაწესებული ხარკი და საჭიროების ჟამს სამხედრო წვევა უნდა ეკმარათ. თუ ვინმე ქართველს, მაინც და მაინც, ეწადა „გათათრება“ ეს ნებაყოფლობითი იყო და არა ძალდატანებითი. ეს „თათარი მეფე“ დანგრეულ ქართულ საღოცავებს აღადგენდა და ახალ ეკლესიებს აშენებდა, სვეტიცხოველს ახალი გუმბათი აღუმართა, დანგრეული გრემი ააშენა და ააღორძინა; ეკლესიებს შესაწირავს სწირავდა, წირვა-ლოცვას თვითონაც ესწრებოდა, შეფარვით ქრისტიანულადაც ლოცულობდა, ქრისტიან მოწესეებს ჯამაგირს უნიშნავდა. ქართლსა

და კახეთში 72 ამოწყვეტილი სოფელი ხელახლა დაასახლა და ააღორძინა. აშენებდა ციხესიმაგრეებს, სასახლეებს, გზებს, წყალსადენებს, ქარვასლებს, ხიდებს („გატეხილი ხიდი“ მისი აგებულია). საქართველოში ყოველ ქართულ საქმეებს, სახელმწიფო მიმოწერასაც, ქართულ ენაზე აწარმოებდა. ქართლში გამეფებით, სპარსეთზე მისი ზეგავლენა კვლავაც არ შემცირებულა. ორივე ქვეყნის საქმენი, ქართლისაც და სპარსეთისაც, როსტომ მეფეს ეკითხებაო, -- გაისმოდა მაშინ მთელს წინა აზიაში. 1642 წელს, თეიმურაზ I-ის წაქეზებით, ქართველ თავადთა შეთქმულება მოეწყო როსტომის დასამხობად. როსტომმა ეს შეიტყო (გიორგი სააკაძის ვაჟმა, იორამმა შეატყობინა), სოფელ ხოვლეში შეყრილ შეთქმულებს დაეცა, ვინც გაქცევა ვერ მოასწრო, შეიპყრო, და... ყველას შეუნდო და აპატია. მაგრამ შეთქმულება მაინც არ დაიშალეს. მასში კათალიკოსი ევდემოს დიასამიძეც მონაწილეობდა. ისევ შეიპყრო შეთქმულნი მეფემ. ახლა კი ყველას სასტიკად გაუსწორდა. კათალიკოსი ნარიყალას ციხეში დაახრჩობინა და კლდეზე გადააგდებინა, ვინ კოშკიდან გადასჩეხა, ვის თვალები დათხარა. 1648 წელს როსტომსა და თეიმურაზს შორის ომი გარდაუვალი შეიქნა. თიანეთს, ულლისთან საშინელი ბრძოლა მოხდა; ბევრი მამულიშვილი დაეცა ორივე მხრივ, მათ შორის – ბრმა ტყვეითა დაიღუპა თეიმურაზის უკვე ერთადერთი ძე, დავით (დათუნა) ბატონიშვილი. მძიმედ დამარცხებული და დამწუხრებული კახეთის მეფე მისმა თავადებმა ბიატოვეს და როსტომს მიუვიდნენ. როსტომი მათმა ღალატმა აღაშფოთა და უკანვე გაყარა მოღალატე კახი თავადები. თეიმურაზი ისევ იმერეთს გადავიდა, იქიდან კი რუსეთში წავიდა. კახეთი როსტომ მეფემ ქართლს შეუერთა და მის აღმშენებლობა-აღორძინებასაც შეუდგა (გრემი მაშინ აღადგინა). როსტომ მეფემ ცოლი ძალიან გვიან, 68 წლისამ შეირთო, ახალგაზრდა ქეთევანი, გორჯასპი აბაშიშვილის ასული . ერთ თვეში მოუკვდა ის ქალი. მეორედ მანუჩარ დადიანის ასული შეირთო, მარიამი, „შავი

ზღვიდან ამოსული მზე“, ადრე სვიმონ გურიელის ცოლყოფილი, რომელსაც შვილიც მოჰყვა, ძე -- ოტია. შვილობილად და ტახტის მემკვიდრედ კი, ახლობელ წარჩინებულთა რჩევით, როსტომ მეფემ მაინც იმერელი მამუკა ბატონიშვილი აირჩია. მაგრამ ამ „არჩევაში“ მალე შეთქმულება გამჟღავნდა: თავადებს როსტომის მოკვლა და მამუკას გამეფება განეზრახათ. როსტომმა არავინ დასაჯა, ოღონდ მამუკა გააძევა და ტახტის მემკვიდრედ სპარსეთში გაზრდილი თავისი ბიძაშვილის შვილი, ლუარსაბ თეიმურაზის ძე აიყვანა. მაგრამ ლუარსაბ თეიმურაზის ძე აღმოჩნდა „სულელ და ხელ და აღტაცებული გონებითა, რომელი არა შვენის ძეთა მეფისა საქართველოსათა“; ამიტომ, ლუარსაბის გვერდით, მომავალ, „ნამდვილ“ ტახტის მემკვიდრედ ისევ გერს, მარიამის ძეს, ოტიას დაადგა თვალი როსტომმა, მაგრამ თითქოს ესეც მისი ბედისწერა იყო -- ოტია უეცრად გარდაიცვალა. დარჩა ისევ ლუარსაბ თეიმურაზის ძე, მაგრამ ისიც ერთ დღეს, მდინარე სრამზე, „გატეხილ ხიდთან“ ნადირობისას, ალალბედად გავარდნილ თოფით დაიღუპა. მაშინ როსტომი 87 წლისა იყო, ახლა, უკვე მეოთხედ, მემკვიდრედ ლუარსაბის უმცროსი ძმა ვახტანგი აიჩემა. ისიც მოკვდა! ეს მართლაც მეტისმეტი იყო. მაგრამ მაინც არ დაიშალა „მემკვიდრეობის ჟინით“ ატანილმა ბებერმა აშკარად, მეხუთედ, მემკვიდრედ გამოაცხადა ვახტანგი, ბაგრატიონთა მუხრანბატონურ შტოისაგან, ძე მარაბდის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზ მუხრანბატონისა, შვილიშვილი გიორგი სააკაძისა (თეიმურაზ მუხრანბატონის მეუღლე გიორგი სააკაძის ასული იყო). და გაგზავნა მაშინვე როსტომ მეფემ „მეხუთე მემკვიდრე“, ვახტანგ თეიმურაზის ძე, ირანის მაშინდელ შაჰთან, აბას II-სთან, ქართლის ტახტზე დასამტკიცებლად. შაჰის კარზე იგი მიიღეს დიდი პატივით და მაშინვე „შეუკვეთეს სჯული მაჰმადისა“. ბევრი იუარა ვახტანგმა, მაგრამ სხვა „არღარა ღონე ჰქონდა“ და „გათათრდა“, თათრულ სახელად „შაჰნავაზი“ მიიკრა და საქართველოსკენ გაბრუნდა.

1658 წელი დამდგარიყო და როსტომიც მიიცვალა. მეფე, როსტომ-ხანი, უცნაური კაცი და ხელისუფალი; მამით ბაგრატიონი, დედით გლეხი, სჯულით მაჰმადიანი, სულით ქართველი; მამაცი მხედარი, დიდი სარდალი, ჭკვიანი პოლიტიკოსი. ისფაჰანის ტარუღა გახდა 53 წლისა, ყულარაღასი -- 60 წლისა, საქართველოს მეფე - 67 წლისა. მისი ტარუღობა გაგრძელდა 40 წელიწადი, ყულარაღასობა 33 წელიწადი, ქართველთ მეფობა 26 წელიწადი. წაასვენეს ირანს, ქალაქ ყუმს და იქ დაკრძალეს, დიდი შაჰ აბასის გვერდით. საქართველოს ტახტზე ადის ვახტანგ V შაჰნავაზი.

ვახტანგ V შაჰნავაზი – პირველი მეფე ბაგრატიონი, მუხრანის შტოისა, ძე თეიმურაზ მუხრანბატონისა (მარაბდის ომში დაღუპულისა), შვილობილი და მემკვიდრე როსტომ მეფისა, დედით შვილიშვილი გიორგი სააკაძისა, ქართლის მეფე 1648-1675 წლებში. გამეფებამდე, მხარში უდგა როსტომ მეფეს თეიმურაზ კახთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართლის ტახტზე იგი დაამტკიცა ირანის შაჰმა, აბას II-ემ, მას შემდეგ, რაც მისი მკაცრი მოთხოვნით, მაჰ-მადიანობისა და ახალი, „თათრული სახელის, „შაჰნავაზის“ მიღებაზე დათანხმდა. ვახტანგ V-ის მეფობის ჟამს, 1659 წელს, კახეთში ბახტრიონის აჯანყება მოხდა, ბიძინა ჩოლოყაშვილის და ქსნის ერისთავთა – შალვა და ელიზბარის წინამძღოლობით. ამ აჯანყებაში, რომელიც ადრე შაჰ აბასისგან ჩამოსახლებულ ველურ თურქმენთა ამოყლეტით დამთავრდა, ქართლის მეფეს მონაწილეობა არ მიუღია. ქსნისა და არაგვის ერისთავები ვახტანგ მეფეს მტრობდნენ. ახლა ირანის შაჰი თვითონ უბრძანებდა ვახტანგს არაგვის ერისთავის, ზაალის დასჯას; ვახტანგმა ზაალს მისივე დისწულები მიუსია და მოაკვლევინა, ხოლო ზაალის შვილები – ზურაბი და ნაბერალი – შეიპყრო და ორივე ირანში გაუგზავნა შაჰს. ამასობაში ბახტრიონული ომის მეთაურებიც საშინელი წამებით თვითონ თურქმანებს დაახოცვინა შაჰ აბას II-ემ. ვახტანგმა ისარგებლა იმერეთში აღებული არეულობით

და სასწრაფოდ ჯარით გადავიდა დასავლეთ საქართველოში. იქ მდგომარეობას განაგებდა სამეგრელოს მთავარი ვამეყ დადიანი. შეთანხმდნენ ვამეყ და ვახტანგ იმერეთი შუაზე გაიყვეს: ბუჯისწყალს აღმოსავლეთით - ქართლის მეფეს, დასავლეთით სამეგრელოს მთავარს. კიდევ დამოყვრდნენ: დადიანმა თავისი ასული დაწინდა ვახტანგ მეფის ვაჟზე, არჩილზე. ეს გარიგებანი შესდგა 1660 წელს. მაგრამ ვახტანგის გამობრუნებისთანავე, ვამეყ დადიანმა პირობა გატეხა: მთელი იმერეთი თავის საკუთრებად გამოაცხადა და არჩილ ვახტანგის ძის საცოლეც ბეჟან ღოღობერიძეს მოათხოვა. მაშინ იმერეთის თავადებმა ღოღობერიძეც მოკლეს და ვახტანგ მეფეც იმერეთს მოიწვიეს. ვახტანგიც გადავიდა ჯარით. მთელი ზემო იმერეთი ძალვე შეუერთდა. ვახტანგი იმერეთიდან სამეგრელოს შევიდა. ვამეყი სვანეთში გაიქცა. ვახტანგმა დადიანის ტახტზე დასვა შამადავლა, ახალი სახელით ლევან III დადიანი, რომელსაც მაშინვე ცოლად ერთი თავისი ძმისწული (კონსტანტინეს ასული), თამარი რაჩველებრივად ლამაზი ქალი. ხოლო, იმერეთის მეფედ ვახტანგმა დასვა თავისი ძე, არჩილი. ასე, რომ ამ წელს (1661) საქართველო თითქმის გაერთიანებული იყო; მასში არ შედიოდა მხოლოდ სამცხე-საათაბაგო. მაგრამ ასეთი „ნაკლული ერთიანობის“ შენარჩუნებაც შეუძლებელი ხდებოდა. ოსმალეთის სულთანს სპარსეთის შაჰისთვის სასტიკი მოთხოვნა გაეგზავნა: ან არჩილ ვახტანგის ძე მოაშორე იმერეთს, ან დაუყოვნებლივ საომრად მოელოდეთ. ვახტანგმაც დამფრთხალი შაჰისგან შესაბამისი ბრძანება მიიღო და იმანაც აღასრულა: არჩილი იმერეთიდან გაიწვია და ძის ნაცვლად იმერეთის ტახტზე მანამდე დაჩაგვებული უსინათლო ბაგრატ IV აღადგინა (1663 წ.). იმერეთიდან „მოხსნილი“ არჩილი შაჰმა ირანის მეფედ დანიშნა. მაშინ მამა-შვილს ბრძოლა მოუხდათ - ირანის ტახტის პრეტენდენტთან - თეიმურაზ I-ის შვილიშვილთან, რუსეთში გაზრდილ ერეკლესთან. რამდენიმე შეტაკებაც მოხდა. ერეკლემ

ყველა წააგო და ისევ რუსეთს გაბრუნდა (1666 წ.). ვახტანგი შეუსვენებლივ იღვწოდა ქართლის აღორძინების, აღმშენებლობისა და გამძლავრებისათვის. მის დროს დაარსდა მრავალი „ახალ-სოფელი“, „ახალ-დაბა“, „ახალ-ქალაქი“, ეკლესიები, სასახლეები, სიმაგრენი, გზები, არხები, ხიდები, ქარვასლები. 1675 წელს ვახტანგ მეფე ახალმა შაჰმა, სულთან სულეიმანმა იხმო ირანში. ისიც გაემგზავრა. გაემგზავრა და გზაზე, ქალაქ ხოშკარუს, მოულოდნელად გარდაიცვალა. შაჰ სულთან სულეიმანის ბრძანებით, მიცვალებული ყუმს წაასვენეს და მისი მამობილის, როსტომ მეფის გვერდით დაკრძალეს (დიდი შაჰ აბასიც იქვე ესვენა). იყო ვახტანგ V შაჰნავაზი „საქმის ხელ-გამძღავალი, მხნე, ახოვანი და გამარჯვებული“, მაღალნიჭიერი სამხედრო, სამოქალაქო და სამოსამართლო ხელისუფალი. გამეფდა 40 წლისა, იმეფა 17 წელიწადი, აღესრულა 57 წლისა. ცოლად ჰყავდა როდამი, ყაფლან ბარათაშვილის ასული, „ქალი ფრიად პატიოსანი და შემკული ყოვლითავე საქმითა კეთილითა, სრული სწავლითა სამღთოთა და საერთოთა, მშვენიერი და პირის-წყალი დედათა“. შვილებიც დაზარდეს ერთიმეორეზე უკეთესნი, ექვსი ძე და ორი ასული: არჩილი (პოეტი), გიორგი („სამხედროთა საქმეთა სრული“), ალექსანდრე („ვითარცა ყაენსა, პატივსა სცემდნენ“), ლევანი („ბრძენი და მეცნიერი“), ლუარსაბი („მხედრობის რიგის მცოდნე“), სულეიმან-სოლომონი („კაცი პატიოსანი“), ანუკა („სიკეთეგანფენილი“), თამარი („მშვენიერი დიდად... ღმრთისა და კაცთა მოსაწონი“).

ბიოგრაფია XI – ძე ვახტანგ V შაჰნავაზისა, მომდევნო ძმა მეფისა და პოეტის არჩილისა. ქართლის მეფე, პირველად 1676-1688, მეორედ 1703-1709 წლებში. „იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და ტანითა, მშვენიერ-ჰაეროვანი, პირ-მხიარული, ენა-ტკბილი, უხვი და მრისხანე, მოისარ-მოასპარეზე უებრო“. ქართლის მეფედ ირანის შაჰმა, სულთან სულეიმანმა დაამტკიცა, მაჰმადიანობისა ახალი სახელის, „შაჰ-ნავაზ II-ის“ მიღების შემდეგ (1676 წ.). მაგრამ

დასაწყისშიც „არ გაუმართლა“ ქართლის ახალმა მეფემ შაჰ სულთან სულეიმანს: გიორგის ირანისაგან გაცილებით დამოუკიდებლად ეჭირა თავი ვიდრე მაამამის ვახტანგ V-ეს და ძმას, არჩილს. ნანობდა შაჰი: „გურგინ-ხანი მეგონა გამაჰმადიანდა, მაგრამ ისევ ქალარი (ურჯული, ქრისტიანი) დარჩენილაო“. ამიტომ შაჰმა გიორგის დამხობა შიგნითივე, ქართველ თავადთა წაქეზებით და შეთქმულებით სცადა, რაც გიორგიმ დროზე შეიტყო და შეთქმულებაში ეჭვმიტანილი თავადები უმოწყალოდ ამოწყვიტა. გიორგი ოვითონ აპირებდა ქართლის აჯანყებას ირანის უღლის დასამხობად, მაგრამ ჩაეშალა და იძულებული გახდა შაჰ ისთვის მძევლებიც გაეგზავნა — ძმა, ლევანი, და ერთადერთი ძე, ბაგრატი. 1688 წელს კი, გიორგის შაჰის ახალი რაყამი მოუვიდა: ქართლის მეფობა მე ერეკლე კახთა ბატონიშვილს ვუბოძე, შენ კი ირანს მობრძანდი და სხვა ქვეყანას და მრავალ სხვა საბოძვარსაც მოგართმევო. გიორგიმ შაჰის რაყამი შორს მოისროლა, არც ირანს წავიდა, არც ტახტის დათმობა მოისურვა. შაჰისგან დამტკიცებული ერეკლე ნაზარ-ალი-ხანი მოვიდა და ქართლის ტახტისთვის ძმათაშორისო ომიც გაჩაღდა. ოთხი წელიწადი ებრძოდნენ ერთმანეთს გიორგი და ერეკლე. გიორგის დაუდგა მომეტი, მის თანამებრძოლებს, საფრიდან მოეკლათ შარაგზაზე არხეინად მომავალი ერეკლე, მაგრამ გიორგიმ ასეთი მუხანათობის ნება არ მისცა თანამეინახეთ. ბოლოს, მაინც დათმო გიორგიმ ტახტი და წავიდა ირანში. შაჰ სულთან ჰუსენი შეხვდა მას დიდის პატივით და „შეიტკბო დიდი სიყვარულით“. ჯერ ქირმანის ბეგლარბეგობა „აკმარა“ და ბელუჯებთან და ავღანელებთან საომრად გაგზავნა თავის ძმა ლევანთან ერთად. ზედიზედ დაამარცხეს ძმებმა ბელუჯები და ავღანელები. განითქვა სახელი „გურჯი გურგინ-ხანისა“. გახარებულმა შაჰმა მისცა გიორგის „წყალობაი და დამადლება დიდი, თაჯი და ჯიღა მურასა ხმალი და ხანჯალი შემკულნი თვალითა და მარგალიტთა, ცხენი ოქროითა უნაგირითა, თეთრად ორი ათასი თუმანი, ხალათი მძიმე, სიასამურის

ქალიბითა“. 1703 წელს შაჰ სულთან ჰუსეინმა გიორგის ისევ დაუბრუნა ქართლის მეფობა, ხოლო ერეკლე ნაზარ-ალი-ხანს კახეთის ტახტი დაუნარჩუნა. გიორგის, ქართლის მეფობასთან ერთად, შაჰმა მისცა აგრეთვე, სპარსეთის ხაზინარ ძალია მთავარსარდლობა („გენერალისიმუსობა“) აგრეთვე - ბეგლარბეგობა ქირმანისა, ყანდაჰარისა და გირიშკისა. ეს „შეთავსებითი სახელოები“ გიორგის აკალებდა ირანში დარჩენილიყო, ხოლო ქართლში „ნაიბად“, ანუ „ჯანიშინად“ (მოადგილე) ძმა ლევანი წავიდოდა. 1704 წელს გიორგიმ 20000-ანი სპარსული მხედრობით, რომელსაც წინ 2000 ქართველი მიუძღოდა, დაიპყრო აკლანისტანი და დაუმორჩილა ირანის შაჰს. ოთხი წელიწადი იჯდა ქართველი მეფე მისგანვე დაპყრობილ (ირანისათვის დაპყრობილ) აკლანეთში. ამასობაში ადგილობრივი ტომის ბელადი, მირ-ვეისი შეთქმულებას ამზადებდა გიორგის წინააღმდეგ და საამისოდ შესაფერის დროს უცდიდა. ასეთი დრო კი მაშინ შეირჩა, როცა მირ-ვეისის ასული გიორგიმ იხილა და „გარდარეულად შეყვარებულმა“ მისი წაყვანაც აიჩემა. საგანგებო ნადიმზე ქართველებმა ქართულად ინადიმეს და ძილსაც ქართული არხეინობით და უყურადღებობით მიეცნენ. იმ დამითვე საგანგებოდ გამზადებულმა აკლანთა რაზმებმა მძინარე ქართველები ამოხოცეს. თვითონ გიორგი მეფემ გამოღვიძება და რამდენიმე თავდამსხმელის მოკვლა კი მოასწრო, მაგრამ შორიდან გახსნილი ცეცხლით იგი დაცხრილეს. ეს მოხდა 1709 წლის 21 აპრილს. მაჰმადიანობით „შენიღბულ“ მეფეს მკერდზე ჯვარი და სასთუმალქვეშ სახარება უპოვნეს. ასე აღესრულა მეფე საქართველოსი და „გენერალისიმუსი სპარსეთის ჯარებისა“ (როგორც ეძახდნენ მას ევროპელები). გამეფდა 26 წლისა, იმეფა 18 წელიწადი, აღესრულა 51 წლისა. გადაეგო უშვილძიროდ (ერთადერთი ძე, ბაგრატი, სპარსეთის მძეულობაში მოუკვდა). მშობლიურ მიწაში დამიწებაც არ ეღირსა.

ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანი – უმცროსი ძე დავით (დათუნა) ბატონიშვილისა, შვილიშვილი თეიმურაზ I-ისა, ქართლის მეფე

1688-1703 წლებში, კახეთის მეფე 1703-1709 წლებში. დაიბადა 1642 წელს, მამა მოუკლეს (როსტომ მეფესა და თეიმურაზ I შორის ატეხილ ბრძოლაში) და დაობლდა 6 წლისა. 1652 წელს, 10 წლისა, „აღსაზრდელად“ გაგზავნეს რუსეთში. 1654 წელს ჩავიდა მოსკოვს, მეფე ალექსი რომანოვის კარზე, სადაც მან, „ცარევიჩ ნიკოლაიმ“, რიგორც უახლოესმა „ოჯახის წევრმა“, იცხოვრა რვა წელიწადი („პირველი პერიოდი“ მისი „რუსეთუმეობისა“). 1660 წელს კახეთის მთიანეთმა მეფედ და „პატრონად“ მოიწვია. ისიც გამოემგზავრა თუშეთს. ირანის შაჰს კი, აბას II-ეს, კახეთის მეფედ იმერეთიდან გადმოყვანილი არჩილ ვახტანგის ძე დაესიშნა. ერეკლემ თუშეთში ლაშქარი შემოიყარა და კახეთის ტახტის დაუფლებისათვის ომი გაუმართა მამა-შვილს – ვახტანგ V-ეს და არჩილ II-ეს. ამ ორწლიან ომში ყველა საბრძოლო შეხვედრა – ურიათუბანთან, მარტყოფთან, თორღას ციხესთან და აწყვერთან – ერეკლემ წააგო და ისევ რუსეთს გაბრუნდა (1660 წ.) კიდევ ექვსი წელიწადი („რუსეთუმეობის“ მეორე პერიოდი) გაატარა მოსკოვში, როგორც ალექსი რომანოვის „საყვარელმა ძემ“. 1672 წელს დაიბადა უფლისწული პეტრე, რუსეთის მომავალი დიდი ხელმწიფე, მაშინვე დაიბადა „ჭორიც“ (იქნება, სწორიც!), რომ პეტრე უფლისწული რომანოვთა სახლის ახალ პატარძალს, ნატალია ნარიშკინას, ქართველი ბატონიშვილისგან გაუჩნდაო... სინამდვილე კი ის იყო, რომ ქართველი ბატონიშვილის მიმართ ამდენი ხნის თბილი ატმოსფერო ერთბაშად გაცივდა და გაიყინა. სახელდახელო აღმოჩნდა ისიც, რომ ერეკლემ ირანის შაჰის, სულეიმანის მიწვევა მიიღო. მაშინვე წამოვიდა ერეკლე რუსეთიდან. კახეთს მოვიდა, არჩილს (უკვე მის სიძეს) შეხვდა, „ისიყვარულეს, ინადიმ-ინადირეს“ და ირანისკენ გზა განაგრძო ერეკლემ. დიდის პატივით და უმდიდრესი მისართმევლებით შეეგება მას შაჰის კარი. ორივე საძეფო ერთად შესთავაზა შაჰ სულეიმანმა ერეკლეს, ქართლიცა და კახეთიც, ოღონდ წინასწარ მაჰმადიანობის

ძალება მოსთხოვა. ერეკლე გაძალიანდა. მაშინ, შაჰმა იგი ციხეში ჩააგდო და ქართლის მეფედ გიორგი XI დაამტკიცა, კახეთი კი ყიზილბაშ ბეჟან-ხანს მისცა სამმართველოდ. ბოლოს, მაინც გატყდა ერეკლე, მიიღო მაჰმადიანობა და ახალი სახელიც დაირქვა – ნაზარ-ალი-ხანი. მაშინ სულეიმან შაჰმა გიორგი XI გადააყენა და ქართლის ტახტი ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანს დაუმტკიცა (1688 წ.). ერეკლე ქართლად მოვიდა. გიორგი ბრძოლით შეხვდა. ბრძოლა გაგრძელდა. 1696 წელს გიორგი XI ისფაჰანს ჩავიდა და ახალ შაჰს, სულთან ჰუსეინს შეურიგდა. 1703 წელს შაჰმა გიორგი XI ქართლის ტახტზე დააბრუნა, ხოლო ერეკლე I კახეთის მეფედ გადაიყვანა. ამასთან, ერეკლეს ირანის ყულის ჯარის (გვარდიის) უფროსობაც (ყულარაღასობა) მისცა. გიორგიც და ერეკლეც ირანში დაისაჭიროვა და დაიტოვა შაჰმა, ხოლო ქართლისა და კახეთის გამგებლობა მათ „ჯანიშინებს“ (მოადგილეებს) დაევალათ. გიორგის ჯინიშინი შეიქნა მისი ძმისწული ვახტანგი, ხოლო ერეკლეს ჯანიშინი კახეთში – მისი უფროსი ძე, დავით იმამ-ყული-ხანი. ასე, რომ, ექვსი წელიწადი (1703-1709) ერეკლეს ერქვა კახეთის მეფე ისე, არც კახეთის და საერთოდ ქართულ მიწაზე ფეხი აღარ დაუდგამს. იგი აღესრულა სპარსეთში, 1709 წელს. 22 წელიწადი რუსეთში გაატარა, 20 წელიწადი სპარსეთში; 46 წლისა გამეფდა ქართლში, 61 წლისა კახეთის მეფედ იწოდა, აღესრულა 67 წლისა, იყო ახოვანი და პირმშვენიერი. ყველაზე უკეთესი ცხოვრებით მაინც რუსეთში იცხოვრა. იქვე დარჩა დიდი სიყვარულიც, დიდ ეჭვებიც... დარჩა ცოლი, ანა ჩოლოყაშვილის ქალი, მისგან ვაჟები – დავით იმამ-ყული-ხანი, კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანი და თეიმურაზი; ასულნი – ელენე (იესე ალი-ყული-ხანის მეუღლე), ხვარეშანი, მაკრინე და ქეთევანი (ხარჭისგან).

ქაიხოსრო – ლევანის ძე, შვილიშვილი ვახტანგ V-ისა, ძმისწული მეფეთა – არჩილ II-ისა და გიორგი XI-ისა, ქართლის მეფე 1709-1711 წლებში. ეს ორწლიანი „ქართლის მეფობა“ ისე

გაატარა, ქართულ მიწაზე ფეხიც არ დაუდგამს, ირანის შაჰმა, სულთან ჰუსეინმა, ქაიხოსრო ავღანთაგან მოკლული ბიძამისის, გიორგი XI-ის მემკვიდრედ დასვა. ამ მემკვიდრეობაში იგულისხმებოდა: მეფობა ქართლისა („ვალი გურჯისტანისა“), მთავარსარდლობა („გენერალისიმუსობა“) ირანის ჯარებისა და ბეგლარბეგობა თავრიზისა და ბარდისა. ქაიხოსროს საქართველოში წამოსასვლელად არ ეცალა და ქართლს მისი სახელით – როგორც „ჯანიშინი“ (მოადგილე) – მისი ძმა ვახტანგი განაგებდა (ამათ ძმებს, ლევანის ორ ძეს – აგრეთვე დიდი თანამდებობანი ეპყრათ სპარსეთში: ლუარსაბს – ისფაჰანის ტარულობა, იესეს – ქირმანის ბეგლარბეგობა). ყანდაჰარის კედლებთან, სასტიკი ომი გაჩაღდა ავღანელთა და სპარსელთა შორის. ავღანელებს მირ-ვეისი მეთაურობდა, სპარსელ-ყიზილბაშებს – ქაიხოსრო ქართველთა გუნდით. ბრძოლა რამდენიმე დღე გაგრძელდა, ყოველთვის ქართველთა უპირატესობით, მაგრამ ბოლოს, გადამწყვეტ ჟამს, ყიზილბაშები ბრძოლიდან გაიქცნენ და ქართველები მარტო დარჩნენ. ამაოდ ურჩიეს ქაიხოსროს - ყიზილბაშნი გაგვიქცნენ და ურიცხვ მტერს ტყუილუბრალოდ ნურც შენ შეეწირებიო, მაგრამ მეფემ უკუქცევა არ იკადრა: „წარმავალი სიცოცხლისათვის არა მოვაყივნო (არ შევარცხვინო) არცა თავი, არცა გვარი, არცა ქართველთა შთამომაელობა!“ – შესძახა ქაიხოსრომ და „მოქუსლა ცხენი, შეერია შიგა ავღანთა, ვითარცა ქორი კაკაბთა გუნდისასა“. და ყოველის მხრით მოზღვავებულ მტერს ფეხმოუცვლელად შეაწყდნენ ქართველები. დაღუპულთა შორის იყო ქაიხოსრო, მეფე ქართველთა, „გენერალისიმუსი“ და ბეგლარბეგი ირანისა, „ცოდნის იადგარი“, მამაცი მხედარი და მხედართმთავარი. ეს მოხდა 1711 წლის 27 სექტემბერს. მაშინვე ითქვა გამარჯვებულ ავღანთა შორის: „ყიზილბაშები დიაცები არიან ავღანებთან შედარებით, ხოლო ავღანები დიაცები ვართ ქართველებთან შედარებით“.

ᲘᲔᲡᲔ, ᲐᲚᲘ-ᲞᲣᲚᲘ-ᲮᲐᲜᲘ – ძე ლევანისა და თინათინ

ავალიშვილისა, შვილიშვილი ვახტანგ V-ისა, ნახევარძმა ვახტანგ VI-ისა, ქართლის მეფე 1714-1716 წლებში. ყმაწვილკაცობიდან ცხოვრობდა ირანში, გამაჰმადიანდა („გათათრდა“) და სახელად დაერქვა ალი-ყული-ხანი. სახელი გაითქვა სიმამაცით, ირანის ინტერესებისათვის ბრძოლებში. 1711 წელს, ყანდაჰართან გამართულ ომში, ქაიხოსრო მეფის სარდლობის ქვეშ, იესე მეთაურობდა მარჯვენა ფლანგს. იბრძოდა დიდი სიმამაცით, მაგრამ გადამწყვეტ ჟამს მაინც მიატოვა ძმა – ქაიხოსრო მეფე. ქართლის ტახტი, გიორგი XI-ის დალუპვის შემდგომ, ვახტანგს ეკუთვნოდა, მაგრამ რაკი მან მაჰმადიანობის მიღებაზე უარი სთქვა, ირანის შაჰმა სულთან ჰუსეინმა ქართლის მეფედ გათათრებული იესე გამოგზავნა. იესე იყო „ფრიად მიქცეული მაჰმადიანობასა ზედა“, ხასიათით ბოროტი, ცბიერი და მზაკვარი, „მულამ განდგომილი მტერი და ეშმაკი“. კახეთის მეფემ, მისებრ გათათრებულმა დავით იმამ-ყული-ხანმა, მეშვილი ჯარი სთხოვა კახეთზე შემოსეული ლეკების წინააღმდეგ. იესემ გაგზავნა ქართველთა ჯარი ლუარსაბ ორბელიშვილის სარდლობით, მაგრამ ის ჯარი ლეკთაგან მარცხნაჭამი დაუბრუნდა უკან. მეორეჯერ გაგზავნა ლაშქარი, ავთანდილ ამილახორის სარდლობით; მეორეჯერ დამარცხებულნი მობრუნდნენ ქართველნი. ქართლში იესე „დროებით მეფედ“, ან „დროებით ბოროტებად“ მიაჩნდათ და ნამდვილ საჭეთმპყრობელად ისევ ვახტანგი ეგულებოდათ და იმას ელოდნენ. ქართველთა ამ „ანტიიესეურ მოძრაობას“ სათავეში ედგა ვახტანგის ძე ბაქარი. ბოლოს, შაჰ სულთან ჰუსეინი ვახტანგის „ფორმალურ გათათრებას“ დათანხმდა და ქართლის მეფედაც გამოუშვა. იესე გაიქცა და კახეთს შეაფარა თავი. ბაქარმა დავით იმამ-ყული-ხანს იესეს გაცემა მოსთხოვა, მაგრამ უარი მიიღო. მაშინ ვახტანგმა შაჰთან იჩივლა. შაჰმა თავისი რწმუნებული გამოუშვა, რომელმაც იესე დავითს ჩამოაშორა და ბაქარს გადასცა. ბაქარმა იესე ტფილისის ციხეში ჩააგდო. ქართლის ტახტზე ავიდა ვახტანგ VI (1716 წ.). 1721

წელზეკახტანგმა იესე ცოხნელან გაძოუშვა, მდიუნნიკეთა მოსტა და ხაბატინილ, კიდეე, მუხრანი უბოძა. 1724 წელს, როცა ტფილისს ოსმალები დაეუფლნენ, იესეც ოსმალთა ხელისახელრში შეეყარა, ოსმალური (ხუსიტური) მაჰმადიანობითაც მოინათლა და ოსმალური სახელიც მუსტაფა დაირქვა. ამისთვის ოსმალეთის ხელისქერმა რაჯა ფაშამ იგი ქართლის „მეფედ“ გამოაცხადა. და დარჩა იგი „ვითომ მეფედ“ სამი წელიწადი, და აღესრულა 1727 წელს. პირველ ცოლად ჰყავდა მარიამი, ხელხან-ხაბა ორბელიანის დისწული; მასთან მეორე ცოლიც შეერთო, „თათრული რჯულით“ ელენე-ბეგუმ, ასული ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანისა. მარიამისგან დარჩა ერთი ძე, თეიმურაზი მომავალი ანტონ კათოლიკოსი.

ვახტანგ VI ძე ლევანისა და თუთა გურიელის ქალისა, შვილიშვილი ვახტანგ V-ისა, ქართლის მეფე 1716-1724 წლებში. უფრო ადრე, 1703-1711 წლებში, ვახტანგი ქართლს განაგებდა, როგორც „ჯანიშინი“ (მოადგილე) ირანში გაწვეული ქართლის მეფეების, გიორგი XI-ისა და ქაიხოსროსი. ვახტანგ „ჯანიშინმა“ თავი გამოიჩინა, როგორც დიდი კულტურული და საგანმანათლებლო აღმშენებლობის თავკაცმა. მან დაარსა პირველი სტამბა. პირველად დაბეჭდა და გამოსცა „ეფეხისტყაოსანი“, ხალვთისმეტყველი და საერო წიგნები. მისგან შედგენილმა სწავლულთა კომისიამ მოახლინა ჩაწერა და რედაქტირება „ქართლის ცხოვრებისა“. ვახტანგმა დაწერა „წიგნი სამართლისა“ და „დასტურლამალი“. იყო შესანიშნავი პოეტი. აშენებდა მონასტრებს, ქალაქებს, დაბებს, სოფლებს, ქარვასლებს, ხიდებს, გაჰყავდა გზები, სარწყავი არხები, წყაროები, აქვედუკები. 1705 წელს მოაწყო საეკლესიო კრება და კათალიკოსად აკურთხა თავისი ძმა დომენტი, კაცი ფრიად განსწავლული და განათლებული. აკრძალა ტყვეთა ყიდვა. 1707 და 1711 წლებში ორჯერ იალაშქრა ოსეთს, დაამორჩილა და დახარკა; დაანგრია იქაური ოთხმოცი ციხე; ჯერ გიორგი XI-ის, მერე ქაიხოსროს დალუპვის შემდეგ, ირანში დაისვა

საკითხი ვახტანგ ჯანიშინის უკვე „მეფედ“ („ვალი“) გამოცხადებისა. ამისთვის ვახტანგი ჩავიდა კიდეც ისფაჰანს. ჩავიდა და შაჰმა, „როგორც წესი“ ვახტანგსაც გამეფებამდე გამაჰმადიანება ძალისხმევა. ვახტანგმა „გათათარებაზე“ უარი სთქვა. მაშინ აღარც მეფობა მისცეს და საქართველოშიც საერთოდ არ გამოუშვეს. მის ნაცვლად ქართლის მეფედ შაჰმა მისი ნახევარძმა, გამაჰმადიანებული იესე ალი-ყული-ხანი გამოუშვა. ითხა წელიწადი დარჩა ვახტანგი სპარსეთში: ხელახლა ორბელიანი ევროპაში გაუშვა, იქნებ რამის პაპმა და საფრანგეთის მეფემ აიძულონ ირანის შაჰი, რეჯულგამოუკვლევლად ამაყანონ საქართველოს ტახტზე. როცა ეს ლოდინიც გაუცვდა, მაშინ „გათათარებაზე“ დათანხმდა, ახალი სახელიც მიიღო „ჰუსეინ-ყული-ხანი“. სპარსეთის ხალხმარ ძალია მიეკარებოდა, თაყვანისცემა და პატივის ცემაც. 1716 წლიდან აწყობა მეფობა ვახტანგ VI-ისა. ამ დროს ხმირდება ლეკთა შემოსევები ქართველ ციხეზე. ხაჭარი იყო ქართველთა და ბოლოთა ერთიანობა, ვახტანგს და დავით ბატონიშვილს კი, ურთიერთ შორის მტრობა ჰქონდათ. ამ დროს რუსეთიც, პეტრე I-ის ხელმძღვანელობით კარს, თავისი პოლიტიკური ინტერესები გაუჩნდათ კავკასიაში, სადაც მოკავშირედ „ერთმორწმუნე“ ქართველობა ეგულებოდა. ვახტანგ მეფეც რუსეთის იმპერატორს ეხ[illegible]�dა, [illegible] 1721 წელს დაიდო კიდეც რუსეთისა და ქართლის ხელშეკრულება-პოლიტიკური კავშირი, რაც ირანის წინააღმდეგ ერთობლივ ომს ითვალისწინებდა. ეს ომიც ქართველი მეფისათვის „ხანატრელი ომი“ - დაიწყო კიდეც, მაგრამ არ განვითარდა და მალე შეწყდა. ბოლოს და ბოლოს, ვახტანგმა შეიტყო ყველაზე საშინელი: პეტრე პირველს თურქეთთან დაუდევს ხელშეკრულება, რომლითაც მას აღმოსავლეთ ამიერკავკასია, განსაკუთრებით საქართველო, თურქეთის საკუთრებად უცვნია! ვახტანგმა თურქებთან შერიგება სცადა, თურქებმა კი არ მიიღეს, — მათ ქართლის „მეფედ“ იესე გამოეცხადებინათ. იდგა 1724 წელი.

ქართლი თურქ-ოსმალეთი იკუბოლა. ვახტანგმა ოჯახით და 1200 რჩეული ქართველით, საქართველო სულ მიატოვა და რუსეთს გაიქცა. სიცოცხლის დასასრულამდე იქ დარჩა და რუსეთის ძალებით საქართველოს ხსნის ამაო ცდასა და ოცნებაში დალია სული. გარდაიცვალა 1737 წლის 27 მარტს, ასტრახანს. დაკრძალეს იქვე. ქართლის საჭესთან მიეიდა 28 წლისა, ჯანიშინობდა 9 წელიწადი, სპარსეთში გააჭარა 8 წელიწადი, საქართველოში მეფედ 8 წელიწადი, რუსეთის მავედრებლობაში 13 წელიწადი, აღესრულა 62 წლისა. მეუღლე-ოდოოცლად ესვა რუსუდან, ჩერქეზი ქალი, რომლისგანაც შეეძინა: ბაქარი, თამარი, ანუკა, თუთა და გიორგი. ამათ გარდა, ვახტანგს სამი ხარჭისგან ცალ-ცალკე ჰყავდა სამი ძე - ვახუშტი (ცნობილი ისტორიკოს-გეოგრაფოსი), პაატა და როსტომი.

თეიმურაზ II - უმცროსი ძე ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანისა. ანა ჩოლოყაშვილის ქალისაგან, უმცროსი ძმა კახეთის მეფის, დავით იმამ-ყული-ხანისა, ქართლის მეფე 1744-1762 წლებში. დაიბადა კახეთის სასახლეში, 1700 წელს. 1710 წელს დავით იმამ-ყული-ხანი სპარსეთს წავიდა და თავის მაგივრად, კახეთის გამგებლად თეიმურაზი დატოვა. თეიმურაზი ენერგიულად ებრძოდა ლეკთა გახშირებულ შეტაცებებს. 1715 წელს დავით იმამ-ყული-ხანი დაბრუნდა და განაგრძო კახეთის მეფობა. 1719 წელს თეიმურაზმა ცოლად შეირთო ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ასული, თამარი, ქალი „მშვენიერი და ქება მიუწოდებელი" (მომდევნო, 1720 წელს, დაიბადა უკანასკნელი დიდი ქართველი ხელმწიფე, ერეკლე II). 1722 წელს დავითი გარდაიცვალა და კახეთის მეფობა შაჰ სულთან ჰუსეინმა დაუმტკიცა მის მომდევნო ძმას კონსტანტინე მაჰმად-ყული-ხანს. 1732 წელს კონსტანტინე უკვე საქართველოში გაბატონებულმა ოსმალებმა მოკლეს. 1733 წელს, ისევ ოსმალო ისაყ ფაშას ნებით, კახეთის მეფედ გამოცხადდა თეიმურაზი. გამეფებისთანავე კი, თეიმურაზმა ბრძოლები გაუმართა თვითონ თურქ-ოსმალოებს, ისე რომ - „მიერით ვერღარა იკადრეს

ოსმალთა შესვლად კახეთად". შეილიც წამოუზარდა თეიმურაზს, ერეკლე „პატარა კახი", ყრმობითვე უმამაცესი კაცთაგანი. ახლა შამა-შვილი ერთად ებრძოდა ოსმალებს, ლეკებს. ირანში ნადირ შაჰი აყიდა ტახტზე და ოსმალებთან ომებში თეიმურაზი და ერეკლე გაიხადა მოკავშირედ, 1735 წელს „ოსმალობა" გათავდა და „ყიზილბაშობა" დაიწყო საქართველოში. 1737 წელს ნადირ შაჰმა ყანდაჰარზე ლაშქრობაში იახლა თეიმურაზი ქართული ჯარით. ქართველები პირველნი შეიჭრნენ ამ „ნაცნობ ქალაქში", აიღეს და მიართვეს ნადირს. მომდევნო 1738 წელს ერეკლე ბატონიშვილი ნადირმა ინდოეთის ლაშქრობაში იახლა. მობრუნებისას, ნადირ შაჰმა ქართლს დაუბრუნა მისი საუხრეთი ნაწილები, აღრე შაჰ აბასისგან წართმეული დებედის ხეობა, ლორე, ბორჩალუ და ბაიდარი. 1744 წელს შაჰმა ნება დართო, თეიმურაზი ქართლში და ერეკლე კახეთში კურთხეულიყვნენ მეფეებად, როგორც ქრისტიანი ხელმწიფენი. კურთხევა შესდგა მომდევნო წლის 1 ოქტომბერს, სვეტიცხოველში, ანტონ კათალიკოსის წინამძღოლობით. 1747 წელს ნადირ შაჰი შეთქმულებმა მოკლეს. შაჰის გვირგვინი თავზე დაიდგა ადილ შაჰმა, რომელსაც ცოლად ჰყავდა თეიმურაზის ასული, „მზისა სადარი" ქეთევან. 1748 წელს ადილ შაჰი მისმა ძმამ, იბრაჰიმმა მოკლა, შაჰის გვირგვინიც თვითონ დაიდგა და მისგან დაქვრივებული ქართველი რძალიც ცოლად შეირთო. თეიმურაზს და ერეკლეს ირანისგან უკვე სრულად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი. 1749 წელს შაჰმად-ხანი შეიძოიჭრა სომხეთში. თეიმურაზი და ერეკლე წარეშართნენ, შაჰმად-ხანი სასტიკად დააშარცხეს და საშუალაზოდ გადაკარგეს; ერევანი კი თავის საბატონოში მოიქცეს. 1750 წელს ყარაბალიდან ფანა-ხანი შეძოიჭრა. თეიმურაზმა და ერეკლემ ფანა-ხანიც გაანადგურეს და ერთხელ და სამუდამოდ ქართულ საშანებში მოიქცეს და მოიმტკიცეს - განჯა, ყარაბალი, ყაზახი, ნახიჭევანი. ერევანი. 1758 წელს, გორში კავშირი შეიკრა „დიდი ხამეულისა"

თეიმურაზ II, ერეკლე II და სოლომონ I – და დაამტკიცეს: „რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველნეთო“. მაგრამ მუსლიმანური გარემოცვის წინააღმდეგ ბრძოლაში, სამივე მეფე მაინც მხოლოდ რუსეთის მოიმედე იყო. 1760 წელს თეიმურაზ II რუსეთში გაემგზავრა და პირადად შეხვდა რუსთა ხელმწიფეს, ელისაბედ პეტრეს ასულს. დაუხასიათა კავკასიაში და წინა აზიაში შექმნილი ვითარებანი და სამოქმედო გეგმაც გააცნო: უკეთუ რუსეთი საქართველოს ჯარით, ან ფულით მაინც დაეხმარება, ქართველები ლეკებსაც საბოლოოდ აღაგმავენ, ირანშიც წარმატებით შევლენ და იქაურ ტახტზე რუსებისა და ქართველებისთვის „სასურველ შაჰს“ დასვამენ. ამაო გამოდგა ეს თხოვნა. რუსეთი თვითონ ევროპის „შვიდწლიან ომში“ იყო ჩათრეული და „საშხრეთული საქმეებით“ გართულებანი მაშინ მას ხელს არ აძლევდა. 1762 წლის 8 იანვარს თეიმურაზი უეცრად გარდაიცვალა პეტერბურგს. აღსრულებულიყო ღირსეული ხელმწიფე, შესანიშნავი პოეტი, მამაცი მხედარი და მხედართუფროსი. გამეფდა 44 წლისა, იმეფა 18 წლიწადი, აღესრულა 62 წლისა. დაიკრძალა ასტრახანს, ვახტანგ VI-ის გვერდით.

7. კახეთის მეფენი

გიორგი I – იხ. „ერთიანი საქართველოს მეფენი“ – გიორგი VIII.

ალექსანდრე I – ძე მეფე გიორგი I-ისა (VIII-ისა), კახეთის მეფე 1476-1511 წლებში. თავგამოდებით ცდილობდა ომს მორიდებოდა და მშვიდობიანად ეცხოვრა ქართულ საშეფო-სამთავროებთანაც და გარეშე ქვეყნებთანაც. 1477 წელს უზუნ ჰასანის თურქმანულ შემოსევას ძღვენითა და მორჩილების გამოცხადებით უპასუხა. ირანთან მშვიდობიანობის პარალელურად, საელჩო-დიპლომატიური მიმოსვლა ჰქონდა მოსკოვის მთავარ ივანე III-სთან. ალექსანდრეს ორი ძე ჰყავდა – გიორგი („ავგიორგი“) და დიმიტრი. გიორგი ქართლის დაპყრობისკენ მიელტვოდა. მამა და ძმა მკაცრად ეწინააღმდეგებოდნენ. 1511 წელს გიორგიმ მამა მოკლა, ძმას თვალები დათხარა და საპყრობილეში ჩააგდო, თვითონ კი კახეთის ტახტი დაიჭირა. მოკლული ალექსანდრე დაკრძალეს ალავერდს.

გიორგი II (ავგიორგი) – უფროსი ძე ალექსანდრე I-ისა, კახეთის მეფე 1511-1513 წლებში. ტახტზე ავიდა მას შემდეგ, რაც მამა საკუთარი ხელით მოკლა, ძმას დიმიტრის თვალები დათხარა. „ავგიორგიც“ ამ სიავკაცობისთვის უნდა შერქმეოდა. მისი მეფობის მთავარი საზრუნავი ქართლის დაპყრობა იყო. ჯერ მიუსტა ატენის ციხეს, სადაც მაშინ იდგა ქართლის მეფე დავით X, მაგრამ უცებ მოსულ ქართლელთა ჯარს შეუშინდა და უკუიქცა კახეთისაკენ. მეორედ ქსნის ციხეს („მტუერის ციხე“) შემოადგა ალყად. ვერც ის აიღო და ისევ ხელცარიელი გაბრუნდა. მესამედ ზემო ქართლში შეიჭრა და სოფლები დაარბია. უკან, ნადავლით გაბრუნებულს,

დავით მეფის ძმა, ბაგრატ ბატონიშვილი („პირველი მუხრან-ბატონი“) დაეცა თავს, შეიპყრო და მისგანვე აგებულ „ციტელის ციხეში“ ჩააგდო. იქვე ჩაკვდა აგვიორგი, 1513 წელს. ამბობდნენ: ავგიორგი დავით მეფის ბრძანებით დაახრჩვესო... გიორგი II-ეს დარჩა ქვრივი მეუღლე ელენე ჩოლოყაშვილის ქალი და ერთადერთი ძე – ლევანი.

ლევანი – ძე გიორგი II-ისა (ავგიორგისა), კახეთის მეფე 1520-1574 წლებში. მამის სიკვდილისას მცირეწლოვანი იყო და როგორც ერთადერთ ტახტის მემკვიდრეს, მოსაკლავად ეძებდა კახეთში შეძოჭრილი ქართლის მეფე დავით X. მაგრამ გარსევან ჩოლოყაშვილმა დამალა და გადაარჩინა. ბოლოს, 1520 წელს, დაჯდა კიდეც კახეთის ტახტზე ლევანი. დავით X შეეცადა მის ჩამოგდებას და გაეშურა კიდეც ჯარით კახეთისაკენ, მაგრამ მალაროსთან მომხდარ ბრძოლაში ლევანმა იგი დაამარცხა და უკანვე გამოაქცია. მამია I გურიელის შუამდგომლობით, მეფეები დაზავდნენ. ლევან კახთა მეფემ ცოლად შეირთო მამია გურიელის ასული, თინათინი, რომლისგანაც იშვნენ – გიორგი, იესე (ვახტანგ) და ალექსანდრე. თინათინმა ააშენა შუამთის მონასტერი, იქვე აღიკვეცა მონაზვნად, იქვე აღესრულა და დაიკრძალა. ლევანმა მეორე ცოლად შეირთო შამხალის მთავრის, ყარამუსალის ასული, რომლისგანაც შეეძინა კიდევ სამი ძე – ელიმირზა, ქაიხოსრო, დავითი და ნესტან-დარეჯანი (შემდგომში მეუღლე დიდი სვიმონ I-ისა). კახეთის საზღვრებს ხშირი თავდასხმებით აწუხებდა შაქის ბატონი ჰასან-ბეგი, ირანის შაჰის, ისმაილის ყურმოჭრილი ყმა. ლევანი შაჰ ისმაილს არ მოერიდა და შაქში შეიჭრა (1521 წ.). კახელებმა შაქი დაარბიეს, თვითონ ჰასან-ბეგი მოკლეს და უკან ნადავლით დატვირთულნი მობრუნდნენ. მაშინ შაჰ ისმაილი შემოესია კახეთს. ლევანმა თავი სცნო ირანის მოხარკედ და ქვეშევრდომად. ირანელებმა კახეთიდან ქართლს გადაინაცვლეს... 1541 წელს ირანის ახალი ხელმწიფე, შაჰ თამაზი მოადგა საქართველოს. ლევან კახთა მეფე თამაზსაც ეახლა, დიდი

მისართმეველიც მიართვა და „მისი სამსახურის სარტყელიც წელზე შემოირტყა“. 1551 წელს შაჰ თამაზმა გაურჩებული შაქის ბატონის, დერვიშ მაჰმადის დასჯა დაავალა ლევან მეფეს. შეუხტა შაქს ლევანი კახთა ჯარით, კახელებმა დაამარცხეს შაქელთა ლაშქარი, თვითონ დერვიშ მაჰმადი მოჰკლეს, თავი მოჰკვეთეს და შაჰს მიართვეს. გახარებულმა შაჰ თამაზმა „უყო წყალობა მრავალი ბატონს ლევანს“. 1559 წელს სვიმონ ქართლის მეფემ ცოლად შეირთო ლევანის ასული ნესტან-დარეჯანი. მომდევნო 1560 წელს, ციხედიდთან, ყიზილბაშთა და ქართველთა ბრძოლაში დაიღუპა სვიმონ მეფის მხარდამხარ მებრძოლი მისი ცოლისძმა, ლევანის ძე გიორგი. ამან ბრძოლის ბედზეც საბედისწერო გავლენა მოახდინა. ლევანის მწუხარებას აძლაფრებდა ისიც, რომ ერთი შვილი, იესე (ვახტანგი) შაჰ თამაზმა მძევლად წაართვა, გაამაჰმადიანა („გაათათრა“) და ახალი, თათრული სახელით – ისა-ხან – მონათლა. თუმცა ივაუკაცა იესემ – მაჰმადიანობა განაგდო, ქრისტიანობა და ქრისტიანული სახელიც დაიბრუნა და გაიქცა. მაგრამ ისევ შეიპყრეს ყიზილბაშებმა გაქცეული, უბეში ჯვარი და ხატი უპოვნეს, ბორკილები დაადეს და ალამუთის ციხეში ჩააგდეს. ლევან მეფემ ქვეყნის გადარჩენის გზად რუსეთთან ურთიერთობა არჩია. 1561 წელს მან რუსეთის მეფეს, ივანე IV მრისხანეს, ელჩობა გაუგზავნა, იაკობის მეთაურობით. ქართველი მეფე რუსულ ჯარს ითხოვდა, კიდევაც მიიღო და შვიდი წელიწადი (1564-1571) იყოლია ლევანმა კახეთში რუსული ჯარი. 1576 წელს ლევან მეფე გარდაიცვალა. დარჩა ხუთი ვაჟი: თინათინისგან – იესე და ალექსანდრე, ლეკი შამხალის ქალისგან – ელიმირზა, ქაიხოსრო და დავითი. ამათგან უფროსი, იესე, ალამუთის ციხეში იყო ჩამწყვდეული; კახეთის ტახტზე მისი მომდევნო ძმა – ალექსანდრე უნდა ასულიყო.

ALEXANDRE II – ლევანის ძე, კახეთის მეფე 1574-1605 წლებში. ბევრს ზრუნავდა კახეთის ეკონომიური და სამხედრო

ძლიერების აშალლებისთვის, კულტურული აღმშენებლობისთვის; მტრობდა მეზობელ ქართლს, ერთგულ ქვეშევრდომობას უწევდა ხან ირანს, ხან ოსმალეთს. ამ ორმაგი თამაშისათვის ორივე მხრიდან მუდმივი საფრთხის ქვეშ იდგა. მერე რუსეთთანაც გაობა კავშირი და 1589 წელს „წყალობის სიგელიც“ მიიღო რუსთხელმწიფე იოანეს ძისაგან. ირანის შაჰი, აბას I, ვერ ურიგდებოდა კახთა მეფის ახალი, „ჩრდილოური გზის“ არჩევანს... ალექსანდრეს ბარძიმ ამილახორის ასულის, თინათინისაგან ხუთი ძე ჰყავდა: ერეკლე, დავითი, გიორგი, კონსტანტინე და როსტომი. ერეკლე თურქეთში გაეგზავნა მამას, საიდუმლოდ, და იქვე დაეღუპა. კონსტანტინე, ყრმობისას, ირანის შაჰს წაეყვანა მძეულად და იქვე იზრდებოდა, გამაჰმადიანებული კონსტანტინე-მირზას სახელით. 1601 წელს, უფროს ძედ დარჩენილმა დავითმა აიძულა ალექსანდრე, ტახტი მიეტოვებინა და ბერად აღკვეცილიყო. მაგრამ დავითმა ერთი წელიწადიც ვერ იმეფა -- გარდაიცვალა და ტახტზე ისევ ალექსანდრე მოიბრუნდა. 1604 წელს შაჰ აბასმა ალექსანდრე კახთა მეფე, ქართლის მეფე გიორგი X-სთან ერთად, ქართული ჯარებით ერევანს გაიწვია, იქიდან ოსმალთა გასაძევებლად. ქართველებმა ერევანი აიღეს და შაჰ აბასს მიართვეს. უკან გამობრუნებულ ალექსანდრეს შაჰმა თან გამოატანა მისი ძე, ირანში გაზრდილი და გათათრებული კონსტანტინე-მირზა, სპარსული ჯარით. შაჰს ნაბრძანები ჰქონდა, მამა-შვილს შირვანს უნდა ელაშქრათ კახურ-სპარსული ჯარებით. 1605 წლის 12 მარტს, ქალაქ ძაგემს (აღმოსავლეთ კახეთში), სალაშქრო მოლაპარაკების დროს აფეხილ ჩხუბში, კონსტანტინე-მირზამ, სპარსელთა შემწეობით, დაჭრიცა მამამისი ალექსანდრე, ძმა გიორგი და იქ დამსწრე კახელი წარჩინებულნი. დაკრძალულია ალექსანდრე ალაკვერდს.

ᲓᲐᲕᲘᲗᲘ I - ძე ალექსანდრე II-ისა, კახეთის მეფე 1601-1602 წლებში. ტახტის მემკვიდრეობისთვის ძმები ექიშპებოდნენ ერთმანეთის

დავითი და გიორგი. მამას, ალექსანდრეს, სიმპათიები უყვრო გიორგისკენ ჰქონდა. 1601 წელს ალექსანდრე ავად გახდა. დავითმა მამის სიკვდილს არ დაუცადა და თავი მეფედ გამოაცხადა. ალექსანდრე კი მორჩა და შვილს ტახტი უკანვე მოსთხოვა. მაგრამ დავითმა მეფობა არ დათმო. ალექსანდრეს ისღა დარჩენოდა, ალავერდის ტაძარში ბერად აღკვეცილიყო და ურჩი შვილი წყევლა-კრულვით ეხსენებია. დავითმა მეტოქე ძმა, გიორგი, შეიპყრო და თორღას ციხეში ჩააგდო. მაგრამ დავითიც მალე გარდაიცვალა – 1602 წლის 21 ოქტომბერს. დაიკრძალა ალავერდს. დარჩა მეუღლე, ქეთევანი, აშოთან მუხრან-ბატონის ასული, მომავალში წმიდა-წამებული, და ორი შვილი – თეიმურაზი და ელენე.

კონსტანტინე I – ძე ალექსანდრე II-ისა, კახეთის მეფე 1605 წელს. თორმეტი წლისა მძევლად წაიყვანეს სპარსეთში. მას შემდგომ, იქვე, იზრდებოდა მაჰმადიანად („თათრად"), კონსტანტინე-მირზას სახელით. 1605 წელს შაჰ აბასმა კონსტანტინე-მირზა შირვანის დასაპყრობად გამოგზავნა სპარსული ჯარით. მას უნდა გამოეყოლო კახეთი და მამამისიც წაეყვანა თანამოლაშქრედ, კახური ლაშქრით. როგორც ჩანს, შაჰის ნებით, დაგეგმილი იყო ალექსანდრეს მოკვლა და კახეთის ტახტზე გათათრებული კონსტანტინეს გამეფება. მკვლელობის საბაბად გამოიყენებდნენ იმას, თუ ალექსანდრე შირვანს ლაშქრობაზე უარს იტყოდა. ასედაც მოხდა. 1605 წლის 12 მარტს, ქალაქ ძაგემს (აღმოსავლეთ კახეთში), სალაშქრო მოლაპარაკების დროს ატეხილ ჩხუბში, კონსტანტინემ სპარსელთა შემწეობით, დახოცა მამამისი ალექსანდრე, ძმა გიორგი და იქ დამსწრე კახელი დიდებულები. მკვლელმა მაშინვე თავი გამოაცხადა კახეთის მეფედ. თანაც, მოინდომა ცოლად შეერო თავისი რძალი, გარდაცვლილი ძმის, დავით მეფის ქვრივი ქეთევანი. ქეთევანმა ზიზღით უარყო გათათრებული მაზლის ეს მკრეხელური წინადადება და კახეთის დიდებულებთან თათბირი გამართა კაენისა და რენეგატის დასამხობად.

კახელები ისედაც მზად იყვნენ ლვიძლი მაძიხა და ძმის მკვლელის წინააღმდეგ ასაჯანყებლად. აჯანყებაც დაიწყო. კონსტანტინემაც გაამზადა ხმარისული ჯარი. ბრძოლა მოხდა 1605 წლის 22 ოქტომბერს, ბელაქნის წყალზე. კახელებმა გაიმარჯვეს. კონსტანტინე შუბებზე აიკიდეს დავითი ჯანდიერმა, თამაზ და ბებურ ვანნიანებმა.

თეიმურაზ I ძე კახეთის მეფის დავით I-ისა და დედოფალი ქეთევანისა (შემდგომში წამებულისა). კახეთის მეფე 1606-1648 წლებში, ქართლ-კახეთისა 1625-1642 წლებში. დაიბადა 1589 წელს 14 წლისა ხმარეთის წაიყვანეს და იქ შაჰ აბასის კარზე დარჩა ხუთ წელიწადი. კონსტანტინეს მოკვლის შემდეგ კახელებმა მეფედ თეიმურაზი მოიხმეს. შაჰ აბასი დათანხმდა და 1606 წელს თეიმურაზი კახეთის მეფედ გამოგზავნა. ერთი წლის შემდეგ, 17 წლისამ, ცოლად შეირთო ანა, ძმისა გურიელის ასული. რომლისგანაც შეეძინა ლევანი და ალექსანდრე. 1610 წელს ანა გარდაიცვალა. ერთი წლის შემდეგ, შაჰ აბასის წელიწადნეული [illegible] თეიმურაზმა ცოლად შეირთო ქართლის მეფის, ლუარსაბ II-ის და ხიორეშანი, რომლისგანაც შეეძინა დარეჯანი, დავითი (დათუნა) და თინათინი. თეიმურაზ შაჰ აბასმა ცოლად შეირთო თეიმურაზის და ელენე. თეიმურაზი ცდილობდა ირანისგან თავი დამოუკიდებლად ყოფილიყო. 1614 წელს შაჰ აბასი [illegible] ძმაყლარიანი საქართველოსაკენ წამოიქცა და თეიმურაზისგან [illegible] (ქეთევანი) და შვილები (ლევანი და ალექსანდრე) აიყვანა. ამრიგ ძალიანი ერთადად ხლებოდა. რამეს თეიმურაზმა [illegible] ჯარი განეკუთვნა. [illegible] კახეთის შემოვიდა. 1614 წლის 14 მარტს, ფალეთთან, თეიმურაზი სპარსელებმა ალყაში მოაქციეს. თეიმურაზმა ალყა გაარღვია და ქართლს გაეცალა. აქ, მცირე თათბირის შემდეგ, ორივე მეფე — თეიმურაზი და ლუარსაბი, იმერეთს გადავიდნენ და იქაურ მეფეს, გიორგი III-ს შეეხიზნენ. შაჰ აბასმა კახეთი საშინლად დაარბია და აოხრა; 80000 კახელი, უმეტესად ქალი და ბავშვი, აჰყარა და ირანს გადაასახლა. შაჰმა

გიორგი-იმერთა მეფეს შეხვნილ მეფეთა-გაცემაძლისთხოვა. ძაგრამ ეარი ძიელი. ბაშინ ლეარსაბი თეთოის გადმოვიდა და ჩაბარდა შაჰს, თეიმურაზი კი არ აპირებდა შაჰთან მისვლას. 1615 წლის 15 სექტემბერს, ალაგერდობის ლეგსაწაულზე, დავით ჯანდიერის მეთაურობით, აჯანყებულმა კახელებმა სპარსთა ჯარი ამოწყვიტეს. თეიმურაზიც სასწრაფოდ დაბრუნდა და სათავეში ჩაუდგა კახეთის აჯანყებას. შაჰ აბასმა ახალი არმიები გამოგზავნა კახეთის კვლავ გასანადგურებლად. წიწამურთან, პირველ შეტაკებაში, თეიმურაზმა გაიმარჯვა, ძაგრამ შედეგად არაფერი მიუღია. იგი იძულებული გახდა ისევ იმერეთს გაქცეულიყო. შაჰ აბასი კი, 1616 წლის აპრილის გაზაფხულზე, ახალი უზარმაზარი არმიებით დაეძრა კახეთისაკენ, შეესია და უსასტიკესად იავარჰყო — გაძარცვა, დაანგრია, აოხრა, აჰყარა და გადაასახლა. 1617 წელს მეოთხედ შემოესია კახეთს შაჰ აბასი. ამ ოთხი შემოსევით კახეთმა დაჰკარგა ორი მესამედი თავისი მოსახლეობისა. ხელ ნახევარი ბილოსნი — დახოცილნი თუ გადასახლებულნი. თეიმურაზმა იმერეთიდან თავშესაფარი ოსმალეთის სულთანს სთხოვა და გაემგზავრა კიდეც ოსმალეთს. იგი, თავისი ხალი ათასი ქართველით, ოსმალეთის არმიებს „წინამბრძოლობდა“ ირანის წინააღმდეგ ომში. იგი ცხოვრობდა გონიოში, შაშინ თურქთა ხელმწიფეობელობში. იქიდან, დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან ერთად, მფარველობისა და დახმარების თხოვნა გუგზავნა რუსეთის მეფეს, მიხეილ რომანოვს. ეს რომ შეიტყო შაჰ აბასმა თეიმურაზის შეილები, მასთან მძევლად მყოფი ლევანი და ალექსანდრე ორივე დაახოჯავა და დახოცა; შემდეგ კი დედამისიც, ქეთევან დედოფალი, ხაშინელი წამებით მოაკვლევინა. 1625 წელს, მარტვილის ველზე, ქართველებმა, გიორგი ხაკაძის მეთაურობით, გაანადგურეს შაჰ აბასის 30000-ანი არმია და მაშინვე ქართლიდა და კახეთის ერთიან მეფედ („ორისავე ტახტის მჭერად“) გონიოდან ჩამოიყვანეს თეიმურაზი. იმავე წელს

ქართველებმა, თეიმურაზის მთავარსარდლობით, გადაიხადეს სახელოვანი მარაბდის ბრძოლა. შაჰ აბასი იძულებული გახდა ეცნო თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ. ამის შემდეგ ირანისა და საქართველოს მეფენი, თითქოს, „შერიგდნენ“. ხოლო, თეიმურაზი და სააკაძე ერთმანეთს გადაემტერნენ, რასაც მოჰყვა მძიმე ძმათამკვლელი ბრძოლა ბაზალეთთან 1626 წ.). გიორგი სააკაძე დამარცხდა, ოსმალეთს გადაიხვეწა და იქვე დაიღუპა. სააკაძის გადავლინების შემდეგ, თავისი სიძე ზურაბ ერისთავი გაუურჩდა თეიმურაზს. არც ის დაინდო და მოაკვლევინა. ხოლო, თავისივე ხელით დაქვრივებული ასული, დარეჯანი, ცოლად შერთო იმერეთის მეფის, გიორგი III-ის ძეს, ალექსანდრეს. 1631 წელს დალესტანს ილაშქრა თეიმურაზმა და ოთხი დღე არბია იქაურობა. 1632 წელს თეიმურაზი და განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგი დავით უნდილაძე შეითქვნენ და აუჯანყდნენ ირანის მაშინდელ ხელმწიფეს -- შაჰ სეფის, იორზე სპარსთა ჯარი ამოწყვიტეს. შაჰ სეფიმ უნდილაძეთა საგვარეულო ამოწყვიტა, ხოლო საქართველოს მეფედ, თეიმურაზის წინააღმდეგ, როსტომ-ხანი (ხოსრო-მირზა) გამოგზავნა. თეიმურაზი ისევ იმერეთს გადაიხვეწა. 1634 წელს კი თეიმურაზი მოულოდნელად გადმოიჭრა კახეთს, იქაურმა მმართველმა, სალიმ-ხანმა ძლივს გაასწრო „ფეხშიშველამან“. შაჰ სეფიმ დიდძალი ჯარი გამოუგზავნა როსტომ მეფეს, თეიმურაზის მოსასპობად და კახეთის წასართმევად. როსტომიც დაიძრა კახეთისაკენ. მაგრამ თეიმურაზმა დაასწრო და წერილი მისწერა როსტომს - ჩვენ ნათესავები ვართ და ერთმანეთს ნუ დავხოცავთ, შევრიგდეთ, შაჰთანაც შემარიგე და დამამოყვრე, ცოლად ჩემს ასულს, თინათინს მივცემო. როსტომმა, მისთვის ჩვეული დიდსულოვნებით, მართლაც შეარიგა და დაამოყვრა თეიმურაზი და შაჰ სეფი. თეიმურაზი კახეთის მეფედ დატოვეს, მისი ასული კი შაჰმა შეირთო. მალე თვითონ თეიმურაზმა დაარღვია ეს „შერიგება“. კახეთი არ იკმარა და ქართლის ტახტისთვის ბრძოლა

აუტეხა როსტომს. ეს ამბავი რომ შეიტყო, შაჰ სეფიმ თეიმურაზის ასული თინათინი მოაშთობინა. მტრობა თეიმურაზსა და როსტომს შორის რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა. ბოლოს, 1648 წელს, თიანეთში, ულლისთან, სასტიკ ბრძოლაში კახელები დამარცხდნენ. აქვე აებედითად ნასროლი ტყვიით დაიღუპა თეიმურაზის ერთადერთი ძე, დავითი (დათუნა) ბატონიშვილი. თეიმურაზი ისევ იმერეთს გადავიდა. იქიდან, 1649 წელს, თეიმურაზმა და მისმა სიძემ, იმერეთის მეფე ალექსანდრე III-ემ ელჩები გაგზავნეს მოსკოვს, რუსეთის მფარველობაში აყვანის თხოვნით. თან თეიმურაზი 20000 რუსის ჯარისკაცს ითხოვდა მაშველ ძალად. თხოვნა არარეალური აღმოჩნდა. მაგრამ ერთი „საიმედო თხოვნა“ მაინც აუსრულდა თეიმურაზს: 1652 წელს მოსკოვმა „აღსაზრდელად“ მიიღო მისი შვილიშვილი, ათი წლის ნიკოლოზი (ერეკლე დავითის ძე), დედით, აღმზრდელით და ასკაციანი ამალით. 1652 წელს კი თვითონაც ეწვია მოსკოვს თეიმურაზი. ისევ ჯარს ითხოვდა ქართველი მეფე რუსხელმწიფისგან საქართველოს გასათავისუფლებლად და ირანის დასაჰყრობად. კვლავაც უარი უთხრეს, ამჯერად პოლონეთთან და შვედეთთან საომარი მდგომარეობის მომიზეზებით. თეიმურაზი საქართველოში დაბრუნდა ხელცარიელი. დარჩა იმერეთში. ჯერ ქუთათისში ცხოვრობდა, მერე სკანდაში, დამცრობილი და დაბეჩავებული. 1662 წელს, იმერეთში გადმოსულ ქართლის მეფეს, ვახტანგ V შაჰნავაზს ეახლა თეიმურაზი და ირანში გამგზავრება და შაჰთან შერიგება სთხოვა. აუსრულა ეს თხოვნა მხცოვან ხელმწიფეს (თუ ნახელმწიფარს) ვახტანგმა. დიდის პატივით შეხვდა შაჰ აბას II თეიმურაზს ირანის სატახტო ქალაქ ისფაჰანში. ბოლოს, მაინც „ჩვეულებრივი მოსათხოვარი“ მოსთხოვა ირანის შაჰმა ქართველ მეფეს – ქრისტიანობის განტევება და მაჰმადიანად მონათვლა. თეიმურაზმა უმალვე ცივი უარი სტკიცა. შაჰმაც მაშინვე ბორკილები გაუყარა და ასტრაბადის ციხეში ჩააგდო. სადაც გარდაიცვალა კიდეც 1663 წლის ზამთარში.

გამეფდა 16 წლისა, იმეფა და იომა 58 წელიწადი, აღესრულა 74 წლისა. ვახტანგ V-ის შუამდგომლობით, შაჰ აბას II-ემ ნება დართო, მიცვალებული მეფე ასტრაბადიდან ალავერდს გადაესვენებიათ და ქართულ-ქრისტიანული გლოვით და დატირებით იქ დაეკრძალათ. უმძიმესი და გაუხარელი ხელმწიფობის გარდა, დარჩა სახელი შესანიშნავი პოეტისა.

არჩილ II – უფროსი ძე ვახტანგ V შაჰნავაზისა, მეფე იმერეთისა (1661-1663 წწ.), კახეთისა (1664-1675 წწ.), ისევ იმერეთისა (1678-1679; 1690-1691; 1695-1696; 1698 წწ.). დაიბადა 1647 წელს. „იყო კისკას, მშვენიერ, მობურთალი, მოისარი, ყოველის კაცის ისარზედ ერთი ხელის დადება ისარი უგრძეს ჰქონდა. და არა იყო მსგავსი მისი“. იყო დიდებული პოეტი. მამამისმა, ქართლის მეფემ ვახტანგ V-ემ, ისარგებლა დასავლეთ საქართველოში ამტყდარი არეულობით, სასწრაფოდ ჯარით გადავიდა იმერეთს და ტახტზე მეფედ დასვა 14 წლის არჩილი (1661 წ.). ამან განარისხა ოსმალეთის სულთანი და მაშინვე მუქარის წერილი აფრინა ირანის შაჰთან: თუ ახლავე იმერეთიდან არჩილ ვახტანგის ძე არ მოგიშორებია, დაუყოვნებლივ საომრად მოვდივარო. დაფრთხა შაჰ აბას II და უბრძანა ვახტანგს: ახლავე მოაშორე შენი შვილი იმერეთს, ჩემთან გამოგზავნე და იმერეთზე უკეთეს ქვეყანას მივცემ სამეფოდო. არჩილმაც დატოვა იმერეთი (1662 წ.). ირანში წავიდა; შაჰიც პატივით შეხვდა და „შეიყვარა ფრიად“. გამაჰმადიანება მოსთხოვეს, არ გაძალიანებულა, გამაჰმადიანდა და სახელად მიიღო - შაჰ-ნაზარ-ხანი. შაჰმაც შეასრულა დანაპირები და იმერეთზე „უმჯობეს“ სამეფოდ არჩილ შაჰ-ნაზარ-ხანს კახეთი მისცა. დაიწყო არჩილმა კახეთს მეფობა 1664 წელს. კახეთის ტახტის დასაუფლებლად კი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, რუსეთში გაზრდილი ნიკოლოზ (ერეკლე) ბატონიშვილი ჩამოსულიყო თუშეთში და იქ აგროვებდა ლაშქარს. ორი წელიწადი იბრძოლა ერეკლემ, მაგრამ ყველა შეტაკებაში (ურიაოუბანთან, მარტყოფს,

თორლას ციხესთან, აწყურთან) ვახტანგმა და არჩილმა იგი დაამარცხეს და აიძულეს ისევ რუსეთს გაბრუნებულიყო (1666 წ.). არჩილი კახეთის აღორძინებას შეუდგა. რამდენჯერმე ლეკური აულებიც დალაშქრა და თარეშზე ხელი ააღებინა. თელავი ააშენა და ტახტიც გრემიდან იქ გადაიტანა. ცოლიც შეირთო ქეთევანი, თეიმურაზ I-ის შვილიშვილი, დავით (დათუნა) ბატონიშვილის ასული, უსინათლო ბაგრატ IV იმერთა მეფის ნაცოლარი, დაი რუსეთში გაზრდილი და ტახტის მოცილე „რუსეთუმე“ ნიკოლოზ-ერეკლე ბატონიშვილისა. ეს ჯვარისწერა მოხდა 1667 წელს. არჩილს ქეთევანისგან შეეძინა: დარეჯანი, ალექსანდრე, მამუკა და დავითი. რუსეთში მყოფმა ერეკლე ბატონიშვილმა კი, სპარსეთის ახალი შაჰის, სულეიმანის წერილი მიიღო – სპარსეთს ჩამოდი და კახეთის ტახტს მოგცემო. წამოვიდა ერეკლე და, 1674 წელს, სპარსეთის ჩასვლამდე კახეთს ეწვია არჩილ მეფეს. არჩილიც შესაფერისი ზარზეიმით შეხვდა უკვე თავის მოყვარეს, ცოლისძმას და ისე გაუშვა სპარსეთისაკენ. შაჰ სულეიმანიც დიდის ამბით შეეგება ერეკლეს. 1675 წელს, ვახტანგ V-ის მოულოდნელმა სიკვდილმა ახალი საფიქრალ-საზრუნავი გააჩინა ირანშიც და საქართველოშიც. შაჰმა ქართლისა და კახეთის მეფობა ერთად შესთავაზა ერეკლეს, იმ პირობით, თუ გამაჰმადიანდებოდა. მაგრამ ერეკლემ გადაჭრით უარი თქვა „გათათრებაზე“. მაშინ შაჰმა ერეკლე ციხეში ჩააგდო, ხოლო ქართლის მეფობა მისცა გიორგი ვახტანგის ძეს. არჩილმა კი ქართლ-კახეთი მიატოვა, იმერეთს გადავიდა, „მაშინვე მიერთნენ მას ყოველნი იმერნი და დადიანი ლევან“, და კვლავ აიყვანეს იგი იმერეთის ტახტზე (1678 წ.). მაგრამ ტახტიდან ჩამოგდებულმა ბაგრატ IV-ემ და გიორგი გურიელმა ოსმალები მოიწვიეს ასლან ფაშას მეთაურობით, არჩილი იმერეთიდან გამოაძევეს (1679 წ.). ბოლოს იგი 1682 წელს, რუსეთს გაემგზავრა „დედა-წულითა თვისითა“: ცოლი ქეთევანი, შვილები – 17 წლის დარეჯანი, 8 წლის ალექსანდრე, 6 წლის მამუკა (მათე) და 1 წლის

დავითი. 1685 წლის დეკემბერში ჩაალწია მოსკოვს. დიდის პატივით მიიღეს. სამი წელიწადი დარჩა რუსეთში. სასტამბო საქმეს სწავლობდა. ქართულ შრიფტზე ზრუნავდა. შვილებს გოლიცინის სკოლაში ასწავლიდა. მისი ძე ალექსანდრე ძალიან დაუახლოვდა რუს უფლისწულს პეტრეს. ალექსანდრე არჩილის ძე, ანუ „იმერეტინსკი ბრინც ალექსანდრ არჩილოვიჩ“ უკვე მომავალი დიდი ხელმწიფის „მარჯვენა ხელად“, ანუ „ძმად“ ითვლებოდა. 1680 წელს წამოვიდა უკანვე, რუსეთიდან საქართველოში არჩილი. 1690 წელს შესამედ ავიდა იმერეთის ტახტზე. ნამეფარმა ალექსანდრე IV-ემ თავისი მომხრეები შეკრიბა და, 1691 წელს, გოდოგანთან შეება არჩილს, მაგრამ დამარცხდა და ქართლში გაიქცა. თუმცა იმავე წელს მომხრეებმა არჩილს უმტკიცეს, ალექსანდრეს მხარეს გადავიდნენ. მარტო დარჩენილმა მეფე-პოეტმა ამჯობინა ისევ დეტრეებთანა იმერეთი და ისევ რუსეთში წასულიყო. მაგრამ შეტაკება მოუხდა ჩრდილო-კავკასიელ ტომებთან, რუსეთის მომავალი გზა დაეკეტა და ქართლს დაბრუნდა. იმერეთშიც ისევ აიშალა მეფე და თავადობა. ალექსანდრე IV უკმაყოფილო თავადებმა შეიპყრეს და რუისში მდგარ გიორგი XI-ეს მიჰგვარეს. გიორგიმ ალექსანდრე დაახრჩობინა და იქვე დააპარხვინა. იმერეთის ტახტზე მეოთხედ ავიდა არჩილი (1695 წ.). მომდევნო წელს ისევ განულგნეს იმერეთის თავადები და დაატოვებინეს ქუთათისის ტახტი, თუმცა, 1698 წელს კვლავ გამეფდა იგი, უკვე მეხუთედ. მაგრამ ნახევარი წელიწადიც არ გასულიყო და ოსმალეთის ხონთქარმა მუქარა შეძლოთვალა მისი გამეფების გამო. ისევ მიატოვეს არჩილი იმერლებმა. ისევ წამოვიდა არჩილი იმერეთიდან, ამჯერად სამუდამოდ. ხაჩთარი რაჭაში გაატარა. მომდევნო წელს კვლავ რუსეთის გზას გაუდგა. 1701 წელს ჩაალწია მოსკოვს. ორი ძე, მამუკა და დავითი დახოცილიყვნენ. ალექსანდრე, პეტრე დიდის „ძმა“, არტილერიის პირველი გენერალ-ფელდცეხმეისტერი, ტყვედ ჩაგარდნილა შვედებს. ტყვეობაში მოკვდა. პეტრემ დაუმტკიცა არჩილს

ვსესვიატსკოე („სულხენეკა"), სადაც მაშინ იდგა ქართველთა „კოლონია". აქ არჩილმა ქართული სტამბა დაარსა, იწყო ქართულად წიგნების ბეჭდვა. გარდაიცვალა 1713 წლის 16 აპრილს. დაიკრძალა მისგანვე აღორძინებულ დონის მონასტერში. შვილების გვერდით. დაგვიტოვა დიდებული ბიბლიური მემკვიდრეობა „არჩილიანი", გამოვიდა 14 წლისა, იმეფა იმერეთში 6 წელიწადი (ხუთჯერ წაგებული გამეფებით), კახეთში 11 წელიწადი; უცხოეთში გაატარა 17 წელიწადი. აღესრულა 66 წლისა

დავით II თეიმურაზ-ხანი უფროსი ძე ერეკლე I ნასარალი-ხანისა, კახეთის მეფე 1709-1722 წლებში. დაიბადა და გაიზარდა სპარსეთში, მაჰმადიანი. სანამ მამამისი ერეკლე სპარსეთის ფეხ და კახეთის მეფედ ითვლებოდა (1703-1709 წწ.), დავითი, „ალიმაჰმადი" (ანუ „ალი") გამოეგზავნა კახეთის. 1709 წლის გაზაფხულს ხელეკლილის შემდეგ, დავითი კახეთის მეფედ ლაშარეფა შაჰ სულთან ჰუსეინმა. ჯერ ჯანიშანობის, მერე მეფეობის რეზიდენციად ყარაღაჯა აირჩია. სახელ „პირ-მუზენიერ-ჰაერიფანი" იყო. ტანად ხუსტი და ავადმყოფური. უყვარდა სწავლა-განათლება. ბრწყინვალედ ფლობდა სპარსულსაც, ქართულსაც. ცოლიც მაჰმადიანი ჰყავდა, ლეკის ქალი. შაქიანის გვარიდან, ისფაჰანში დაბადებული და გაზრდილი. გამუდმებული ბრძოლები უხლებოდა ლეკებთან. თითქმის მუდმივ კონფლიქტში იყო ქართლის მეფე კახეთან VI-სთან. გარდაიცვალა 1722 წელს. სპარსეთის წაასვენეს და დაკრძალეს ყუმს, სადაც ესვენენ - დიდი შაჰ აბასი და ქართველი მეფენი - როსტომი და კახეთანგ V. დარჩა ერთი ასული და ორი ძე - მაჰმად-მირზა და ალი-მირზა, რომელთაც მეფობა არ ჰღირსებიათ.

კონსტანტინე II მაჰმად-ქული-ხანი - ერეკლე I ნაზარალი-ხანის შუათანა ძე, დავით II თეიმურაზ-ყული-ხანის მომდევნო ძმა, კახეთის მეფე 1722-1733 წლებში. დაიბადა და გაიზარდა სპარსეთში, მაჰმადიანი. 1707-1709 წლებში, შაჰ სულთან ჰუსეინის დანიშვნით,

იყო ირანის საუხტრო ქალაქის, ისფაჰანის ტარუღა (მოურავი, ქალაქისთავი). 1722 წელს, დავით II-ის გარდაცვალების შემდეგ, შაჰ სულთან ჰუსეინმა კონსტანტინე გამოგზავნა კახეთის მეფედ. კახეთთან ერთად, შაჰმა მას საბატონოდ მისცა აგრეთვე ერევანი, ყაზახი და შამშადილი. იყო კონსტანტინე „ფრიად მაჰმადიანი, ლაღი და ამაყი, მდიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიდებდა მცირესა ზედა კაცთა სიკვდილსა“. ერთსაირად, არ ეხატებოდა გულზე ქრისტიანები - ქართველიც, სომეხიც, რუსიც. მტრობდა ქართლის მეფე ვახტანგ VI. მისი მიზეზით, სისხლიც აქცევინეს ერთმანეთის კახელებმა და ქართლელებმა. ლეკებსაც უხსნიდა გზას ქართლის ასაოხრებლად. 1723 წელს პირდაპირ ილაშქრა ქართლში კახური ჯარით. მცხეთა აიღო და ტფილისსაც დაეცა. ბაქარ ვახტანგის ძემ მოიგერია მისი იერიშები. მაშინ კონსტანტინემ მეშველად მოუხმო განჯისა და ერევნის ხანებს და ლეკებს. ისინიც მოიჭრნენ და გაჩაღდა ომი. მძიმე ბრძოლები გადაიხადეს ქართლელებმა ბაქარის, ვახუშტის და თვითონ ვახტანგის სარდლობით. ძლივს დაიხსნეს ტფილისი და მცხეთა კახეთის მეფის ეგზომ გაუგონარი მტრობისაგან. მაგრამ არ დამცხრალა კონსტანტინე. ჭარიდან ახალი ლეკური ჯარი გამოიყვანა და ერთბაშად,

როცა ვახტანგ მეფე ცხინვალს წასულიყო და ტფილისი თავისი ძმის, სვიმონისთვის დაეტოვებინა დაეცნენ ქართველთა საუხტოს კახთა და ლეკთა ლაშქარნი. აიღეს კიდეც, უსასტიკესად აიკლეს და ააწიოკეს. ხალხი გაწყვიტეს, სიონი დასწვეს. დიდებული ღვთისმშობლის ხატი გაიტაცეს. 60000 თუმანი წაგლიჯა მოსახლეობას კონსტანტინემ. ოსმალებმაც მოუსწრეს, იბრაჰიმ ფაშას მეთაურობით, გამოეგება კონსტანტინე და მოართვა ტფილისის კლიტენი. მაგრამ ამან რიდი უშველა. ფაშამ კონსტანტინეს ბორკილები გაუყარა და ციხეში ჩააგდო, ლეკები გაატიტვლა, გააჯოხვინა და გაყარა. ქარიოლის გამგებლად კი, ოსმალთ ფაშამ ბაქარ ვახტანგის ძე გამოაცხადა. შემოეხვეწა ციხეში ჩაგდებული კონსტანტინე ბაქარს: ნათესავი ხარ,

გამოიხსენი [illegible] ძონად დაგიდგებიო. შეუსრულა ბაქარმა თხოვნა
გააპარა „დაგლახებული“ კონსტანტინე ცახიდან. მიმდევნო 1724
წელს, ვახტანგისგან მიტოვებულმა ქართლის პატრიოტებმა
კონსტანტინეს ოსმალთა წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლა შესთავაზეს.
ისიც მოვიდა და შეუერთდა ქართლელებს კახთა და თუშ-ფშავ-
ხევსურთა ჯარით. გუფთასთან გამარიულ სასტიკ ბრძოლაში
ქართველები დამარცხდნენ. კონსტანტინე ტყვედ ჩაიგდეს ოსმალებმა.
მალე გაუშვეს. 1731 წელს კი, ქართლის მმართველმა ისაყ ფაშამ
კონსტანტინე, მისი კახური ჯარით, მაშველად მიიხმო აჯანყებული
ქსნისა და არაგვის ხეობათა ასაოხრებლად. შეესივნენ ოსმალები და
კახელები ერთად ქართლის სოფლებს ცეცხლით და მახვილით.
მალე ოსმალებთან ისევ გაუფუჭდა „დოსტობა“ კონსტანტინეს და
ისევ სპარსეთიდან ითხოვა შემწეობა. მიიღო კიდეც ფულად - 13400
დრაჰკანი. ეს ფულიც გაეფანტა. ლეკებთან შეტაკებებიც გაუხშირდა.
ოსმალთა ახალმა ფაშამაც, უსუფ ისაყის ძემ, შემოუთვალა – ჩემთან
მოდი, რათა ჩემი ფადიშაჰის ერთგულებაზე დაგაფიცოო. კონსტანტინე
ფშავში გაიქცა, ხოლო როცა უსუფ ფაშასგან გაგზავნილი ალავერდელი
ეპისკოპოსი და სარდალი თარხან-ლუარსაბი ეწვივნენ და დააფიცეს
ისიც წამოვიდა ოსმალთა ბანაკში. იქვე მოჰკლეს, ზურგიდან
შუბების ცემით. მისი მხლებელი კახელებიც გაწყვიტეს, მათ შორის
- „მოშუამდგომლე“ ალავერდელიც და თარხან-სარდალიც. ეს მოხდა
1733 წელს.

8. ქართლ-კახეთის მეფენი

თეიმურაზ I - იხ. „კახეთის მეფენი“.

ერეკლე II -- ძე თეიმურაზ II-ისა და თამარ ვახტანგ VI-ის ასულისა, საქართველოს უკანასკნელი დიდი ხელმწიფე, ჯერ კახეთის მეფე 1744-1762 წლებში, შემდეგ ქართლ-კახეთის მეფე 1762-1798 წლებში. ხალხისგან შერქმეული სახელით — „პატარა კახი“. დაიბადა 1720 წლის 7 ნოემბერს, თელავის სასახლეში. წვრთნიდნენ: საომარ ხელოვნებაში — აბელ ანდრონიკაშვილი, სწავლა-განათლებაში - ონოფრე ბოდბელი. 1735 წელს, 15 წლისამ პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო: ნეიშნის მინდორზე გაანადგურა ლეკთა მარბიელი ჯარი, რომლის ბელადიც პირისპირ მოკლა. 1737 წელს ნადირ შაჰმა გაიძახა ირანს და მომდევნო წელს ინდოეთის დიდ ლაშქრობებში იახლა. უკან დიდი სახელით მობრუნდა. 1745 წელს, საგურამოსთან, არაგვზე, თურქთა და ლეკთა ჯარები გაანადგურა, მათი ბელადები - ხიზინ-ბეგი და მალაჩი, თავისი ხელით დახოცა. 1744 წელს, ნადირ შაჰის დასტურით, ერეკლე და მამამისი თეიმურაზ II, მეფეებად ეკურთხნენ ქრისტიანობით (ეს პირველი შემთხვევა იყო მთელი 130 წლის მანძილზე, მანამდე ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე მხოლოდ გამაჰმადიანებული ქართველი მეფე თუ დაჯდებოდა), თეიმურაზ II — ქართლის მეფედ, ერეკლე II — კახეთის მეფედ. 1747 წელს ერეკლემ გაანადგურა ქართლის ტახტის მოცილე აბდულა-ბეგი, ყრმობითვე გათათრებული, ძე იესე ალი-ყული-ხანისა, 1748 წელს, შირაქში, მოსპო ლეკები, მათი ბელადი ყოჯახი პირისპირ მოჰკლა. 1749 წელს ერეკლემ და თეიმურაზმა ერევანთან გაანადგურეს მაჰმად-ხანი და ერევანი თავის სამფლობელო საზღვრებში მოაქციეს.

1750 წელს მამა-შვილმა ფანა-ხანსაც აუგეს წესი და საშუალმოდ შემოიმტკიცეს ნახიჭევანი, განჯა, ყარაბაღი, ყაზახი და შაქშადილი. „შეშინდა ყოველი ქვეყანა და მონებდენ ქართველ ბატონს ხმლის ძალით გარეშემონი ქვეყანანი“. იმავე 1750 წლის 28 ოქტომბერს ერეკლემ ალაზანზე, დანღისთან, გაანადგურა ლეკთა ჯარი. 1751 წლის 27 ივლისს, ყირბულახთან (ერევნის ახლოს), ერეკლემ ხერხიანი მანევრით, სრულად გაანადგურა ირანის შაჰის ტახტ-გვირგვინის მაძიებელი აზატ-ხანი. ამ წელს ლეკთა საში შემოსევა მოხდა, საშჯერეე აწყვიტეს მაოხარნი მამამ და შვილმა. 1752 წლის 1 სექტემბერს, თულქითაფასთან, გაანადგურეს ერეკლემ და თეიმურაზმა ალა-ქიშის სარდლობით მოსული დიდძალი შაჰმადიანური მხედრობა. 1754 წლის 16 აგვისტოს, მჭადიჯვართან, ერეკლემ გაანადგურა ლეკთა ჯარი, რომელიც იქ მოეყვანა ხუნძახის ბატონს, ნურსალ-ბეგს. 1755 წელს ხელახლა წამოვიდა ნურსალ-ბეგი, 20000 ლეკით, და ყვარელთან გამართულ სასტიკ ბრძოლაში, ერეკლემ ერთხელ კიდევ დაამარცხა და გააქცია იგი. 1756 წელს ერეკლემ და თეიმურაზმა ლეკები გაანადგურეს ნიჩბისთან, კარალეთთან, სკრასთან. 1758 წელს გორში ერთმანეთს შეხვდნენ და ერთობლივი საბრძოლო კავშირი შეკრეს თეიმურაზ II ქართლის მეფემ, ერეკლე II კახეთის მეფემ და სოლომონ I იმერთა მეფემ („რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდეს, ერთმანეთს მივეშველოთო“). ამავე წელს ერეკლემ ლეკები გაწყვიტა პატარძეულთან და აზამბურთან. 1758 წელს, ერეკლემ, თეიმურაზმა და სოლომონმა გაანადგურეს ლეკთა ჯარები, რომელთაც ბელადობდნენ ჩონჩოლ-მუსა და კოხტა-მალაჩილა. 1762 წელს, თეიმურაზ II-ის გარდაცვალების შემდეგ, ქართლი და კახეთი გაერთიანდნენ ერეკლეს ერთხელმწიფობის ქვეშ. ერეკლემ, ზედიზედ, გაწყვიტა ლეკები ყარაიას (1760 წ.), სუჰ-ჟულიანს (1761 წ.), ახმეტას (1762 წ.), კეხვთან (1763 წ.), მრავალწყაროს (1764 წ.), საშგორს (1765 წ.), იორზე (1767 წ.), ამასობაში ერეკლეს განუწყვეტელი ურთიერთობა ჰქონდა რუსეთთან. „ერთმორწმუნე

რუსეთთან“ კავშირით, მისი „მფარველობითა“ და დახმარებით ფიქრობდა ერეკლე გადაერჩინა თავისი ქვეყანა და ხალხი მაჰმადიანური სამყაროს განუწყვეტელი მოწოლისაგან, ფიზიკური განადგურებისა და სულიერი გადაგვარებისაგან. 1769 წელს რუსეთის ხელმწიფემ, ეკატერინე II-ემ ერეკლეს ჯარი გამოუგზავნა გენერალ ტოტლებენის სარდლობით. 1770 წელს, აწყურთან, ოსმალებთან ბრძოლის დაწყების წინ, ტოტლებენმა თავისი ჯარით ქართველები მიატოვა და უკან გამობრუნდა. იმავე წლის 20 აპრილს, ასპინძასთან, „მოკავშირისგან“ მიტოვებულმა ერეკლემ, 3000 ქართველით სრულად გაანადგურა 8000-იანი ოსმალურ-ლეკური ჯარი. აქ ერეკლემ საკუთარი ხელით პირისპირ მოჰკლა ლეკთა განთქმული ბელადი კოხტა-მალაჩილა. თითქოს, მართლაც ანგარიში აღარ ჰქონდა ერეკლეს გამარჯვებებს — „ერეკლეს გამარჯვებანი რიცხვით ხსოვნას აშორდა“, — იტყვის ამას პირველეზირი სოლომონ ლიონიძე საყვარელი ხელმწიფის დატირებისას. განუწყვეტლივ ზრუნავდა ერეკლე ქვეყნის შინაგანი აშაღლებისა და განმტკიცებისთვის, აღმშენებლობისთვის, სწავლა-განათლების, კულტურული აშაღლებისთვის. მას ამ საქმეებში გულრდილ ედგა ანტონ კათალიკოსი. მათ მოიწვიეს საეკლესიო კრება, განდევნეს „ზნენი უზნეონი“ და აღადგინეს „სჯული მტკიცე და შეურყეველი ქრისტიანობისა“. აღადგინეს სტამბა და „აღავსნეს წიგნითა საქართველო“. 1783 წელს ერეკლე მიაღწევს თავის საოცნებო საწადელს: გეორგიევსკში დაიდება „ტრაქტატი“, რომლითაც ქართლ-კახეთი შედიოდა რუსეთის მფარველობაში; ამიერიდან ქართველი მეფე სამეფო რეგალიებს რუსეთის ხელმწიფისგან დაიმტკიცებდა; საქართველოს საგარეო პოლიტიკა რუსული პოლიტიკის მთლიანობაში შედიოდა; საჭიროების შემთხვევაში, ქართული ჯარიც რუსულ საომარ ძალებს უერთდებოდა; საქართველო თავის შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელი რჩებოდა; რუსეთი კისრულობდა საქართველოს დაცვას ყოველი გარეშე მტრის ხელყოფისაგან.

ტრაქტატს ხელს აწერდნენ ეკატერინე II და ერეკლე II. მაგრამ თავიდანვე ეტყობოდა, გეორგიევსკის ტრაქტატს განხორციელება არ ეწერა. 1795 წელს საქართველოს ირანის საჯარისო-მბრძანებელი აღა-მაჰმად-ხანი შემოესია თურქმანულ-ყიზილბაშური ურდოთი. რუსი „მფარველი“ საქართველოს არ მოეშველა. ერეკლე, კრწანისის ველზე, 2000-3000-მდე ქართველით, ოთხი დღე (7-10 სექტემბერი), წარმატებით აკავებდა ირანელთა 30000-ან ურდოს. აღა-მაჰმად-ხანი აპირებდა კიდეც უკუქცევას, მაგრამ ტფილისელმა მოღალატეებმა დაარწმუნეს იგი, რომ ქართველ მეფეს საომარი ძალები ამოეწურა და მტერი კვლავ მოაბრუნეს ტფილისზე საიერიშოდ. და 11 სექტემბერს, უკვე ამაო გამოდგა მოხუცი მეფის გმირობაც და ქართველთა (მათ შორის 300 არაგველი) თავგანწირვაც. კრწანისის ბრძოლა საქართველოს მარცხით გათავდა. დაიღუპა 15000 ირანელი და 3000 ქართველი. აღა-მაჰმად-ხანმა ტფილისი აიღო და საშინლად ააოხრა. მაგრამ მალე დატოვა იგი. ცოტა ხანში თვითონაც დაიღუპა. ერეკლე დანგრეული ქალაქის აღდგენას შეუდგა. 1798 წლის 11 იანვარს მეფე გარდაიცვალა თელავში. გამეფდა 24 წლისა, იმეფა 54 წელიწადი, აღესრულა 78 წლისა. დაკრძალეს მცხეთას, სვეტიცხოველში. დარჩა მრავალსულიანი ოჯახი. პირველ ცოლად ჰყავდა ქეთევანი, ვახტანგ ორბელიან-ყაფლანიშვილის ასული, შეეძინათ რუსუდანი, ვახტანგი და კიდევ ერთი სახელით უცნობი შვილი (სამივე დაეხოცა). მეორე ცოლად შეირთო ანა, ზაალ აბაშიძის ასული, რომლისგანაც გაუჩნდა გიორგი (მომავალი მეფე გიორგი XII) და თამარი (ცოლი სარდლისა და სახლთუხუცესის დავით ორბელიანისა). მესამე ქორწინებით ერეკლემ შეირთო დარეჯანი, ოტია დადიანის ასული, რომელმაც მეფეს შესძინა კიდევ ცხრამეტი შვილი: ელენე (ცოლი იმერეთის უფლისწულ არჩილისა), მარიამი (ცოლი ტფილისის მოურავის, დავით ციციშვილისა), ლევანი, სოფიო (ადრე გარდაიცვალნენ), იულონი, სალომე (ადრე გარდაიცვალნენ), ვახტანგი (ალმასხანი),

თეიმურაზი (მომავალი ანტონ II კათალიკოსი), ხოსლან-დავითი (ადრე გარდაიცვალა), ასლამაზ-ხანი, ალექსანდრე, არჩილი (ა[illegible]ე გარდაიცვალა), ქეთევანი (ცოლი ითანე მუხრან-ბატონისა), ყარასაიზი, თეკლა, ლუარსაბი, მირიანი, ხორეშანი, ანასტასია.

გიორგი XII უფროსი ძე ერეკლე II-ისა (ანა აბაშიძის ქალისაგან), ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე 1798-1800 წლებში. დაიბადა 1746 წელს. ბრძოლის ველზე მამაცი იყო. მამაცურად იბრძოდა ასპინძის ომში (1770 წ.), სადაც იგი მამას მარცხენა ფლანგის მეთაურად დაენიშნა. ღართისკართან ამოყლიტა მოთარეშე ლეკების ჯარი. კრწანისის ტრაგიკულ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღია, იგი მაშინ თავის საუფლისწულო კახეთში იჯდა უქმად. 1796 წელს ერეკლეს ახლდა განჯის ხელახალ დალაშქვრა-დამორჩილებისას. ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა მამის სიკვდილისთანავე, 1798 წლის იანვარში, მიუხედავად დედინაცვლის, დარეჯან დედოფლის „პროტესტებისა". ბუნებით გულგრილი, აუღელვებელი და აუშფოთებელი ხასიათისა იყო. უზომო ჭამა-სმა და ძილი უყვარდა; ამისთვის ხალხმა „ზაქიჭამია" შეარქვა. ორმოცი წელს მიღწეული, ტანით იმდენად დამძიმდა, უკვე ცხენზე ძეჯდომა უჭირდა. იყო მოყვარე სწავლა-განათლებისა. ბრწყინვალედ იცოდა საღვთო სჯული და „ქართლის ცხოვრება". დარეჯან დედოფლის ზეგავლენით, ხელი მოაწერა კანონს, რომლითაც მის შემდგომ მეფობა ძმებზე უნდა ჩამორიგებულიყო, უფროს-უმცროსობით. გვიან მიხვდა ამ შეცდომას და ცდილობდა ტახტის მემკვიდრეობა ისევ თავისი შვილებისთვის „გადმოემტკიცებინა", რისთვისაც ძმები გაუმტერდნენ. გიორგიმ პირადი უშიშროების დასაცავად 1200 ლეკი დაიქირავა. გეორგიევსკის ტრაქტატით, მისი მეფობა რუსეთს უნდა დამტკიცებინა. „დამტკიცება" კი აგვიანებდა. გიორგი უკვე წყალმანკით იყო ავად და რუსეთის საიმპერატორო კარი მის სიკვდილს ელოდა, რათა საქართველო უკანასკნელი მეფის სიკვდილისთანავე რუსული

იმპერიის საკუთრებად ექცია. გიორგი კი თვითონ მოუწოდებდა პეტერბურგის კარს ჯარის გამოგზავნას. 1799 წელს, მართლაც შემოვიდა ტფილისში მისი ნაოცნებარი რუსული ჯარი გენერალ ლაზარევის სარდლობით. 1800 წელს იმპერატორმა პავლემ კიდევ გამოგზავნა ერთი რუსული ლეგიონი გულიაკოვის სარდლობით. იმავე წლის ოქტომბერში, ნიახურასთან (კაკაბეთთან), რუსთა და ქართველთა მხედრობამ გაანადგურა ლეკთა ჯარი, რომელსაც ომარ-ხანი და ალექსანდრე ერეკლეს ძე ბატონიშვილი მეთაურობდნენ. 1800 წლის 28 დეკემბერს მეფე გიორგი XII გარდაიცვალა. გამეფდა 52 წლისა, იმეფა სამი წელიწადი, აღესრულა 54 წლისა. დაკრძალეს მცხეთას, სვეტიცხოველში. იყო სამჯერ ნაქორწინევი. პირველი ცოლის, ქეთევან პაპუნა ანდრონიკაშვილის ასულისაგან შეეძინა ოთხი ძე -- დავითი, იოანე, ბაგრატი და თეიმურაზი, ხუთი ასული -- ბარბარე, სოფიო, ნინო, რიფსიმე და-გაიანე, ხოლო მეორე ქორწინებით (მარიამ გიორგი ციციშვილის ქალიშვილისაგან) მიხაილ, ჯიბრაილ, ილია, იოსებ, სფირიდონი, ოქრიპარი, სვიმეონი, ირაკლი, თამარი, ანა (შვიდი წლისა მიიცვალა) და ანა მეორე. გიორგი XII-ის სიკვდილით დასრულდა ქართული ხელმწიფობა აღმოსავლეთ საქართველოში. ქართველთა ქვეყანა რუსეთის იმპერიულ "ხალხთა საპყრობილეში" მოექცა.

9. იმერეთის მეფენი

დავით I — იხ. დავით VI ნარინი — „ერეკლიანი საქართველოს მეფენი“

კონსტანტინე I — შვილია ძე დავით VI ნარინისა (თამარ ამანელაძისა ქალიაგან), კახეთის II-ის მიმდევნო ძმა. იმერეთის მეფე 1293-1327 წლებში. ქუთათისის ტახტზე ავიდა ძმის ხელდასმითაც. ეზიარა ძმა. მაგრამ, არ შეერიგდა ძმის გადაწყვეტილებას. რაჭა-ლეჩხუმი წაართვა. ხელდასმაც არ შერიგებულა ამყოფა. კონსტანტინე I აღესრულა 1327 წელს. შვილი არ დარჩენია.

მიქელი — ეზიარა ძე დავით VI ნარინისა (თამარ ამანელაძისა ქალიაგან), ეზიარა ძმა კახეთის II-ისა და კონსტანტინე I-ისა. იმერეთის მეფე 1327-1329 წლებში. მამამისი, დავით ნარინი რომ მოკვდა, გამეფდა ძმა კონსტანტინე (1293 წ.), მიქელი გამეფებულ ძმას გაუდგა. რაჭა-ლეჩხუმი ალყაში ამოიღო. კონსტანტინეს ხელდასმასაც გამოცხადდა იმერეთის მეფედ. იმეფა ორი წელიწადი და აღესრულა 1329 წელს. დარჩა მცირეწლოვანი უფლისწული ბაგრატი.

ბაბრატ I ძრიელაძე — ძე მიქელისა. შვილიშვილი დავით VI ნარინისა. მამის გარდაცვალებისას (1329 წ.) იგი მცირეწლოვანი იყო. ამით ისარგებლეს დასაელეთ საქართველოს „ხაქეყნო განმრიგებელმა“ და „არლარა მოერთნენ“ ქუთათისის ხელისუფლებას. მაშინ წამოვიდა დიდი ხელმწიფე, გიორგი V ბრწყინვალე ჯარით იმერეთს; „იმერნი ყოველნი მოერთოდნენ სიხარულითა“, თუმცა ზოგიერთებმა მაინც ბაგრატს უერთგულეს და მასთან ერთად ქუთათისის ციხეში ჩაიკეტნენ. გიორგიმ ციხეს ალყა შემოარტყა;

ხელ-ძალე. ალეთისგან „შემჭიდროებულმა“ ბაგრატმა დიდ მეფეს შერიგება ხოხოლა: სიცოცხლე მანუქა, სარჩო აქვე იმერეთში გამიხინე და ქუთაითისა და მთელი დასავლეთ საქართველოს ცოხე-ქალაქთა გასალებებს ჩემის ხელით ძოგარიმეკი. გიორგიმაც შეიწყალა და შეევრდომა „ძოყვარე თეთი“; მისცა ბაგრატს ხაბატონოდ და „სარჩო-ხაზრდელად“ შორაპნის საერისთავი. ბაგრატ I გარდაიცვალა 1372 წელს. იმჟამად იმერეთში ჩამოძღვარი შავი ჭირისგან. დარჩა ცოლი, ხაბეხის ათაბაგის, ყვარყვარე ჯაყელის ასული და ხანი ვაჟი ალექსანდრე, გიორგი და კონსტანტინე.

ალექსანდრე I უფროსი ძე ბაგრატ I ერისთავისა. მამამისის საუკუნის (1372 წ.) შემდეგ იმერეთის ერისთავად დაამტკიცა ერთიანი საქართველოს მეფემ ბაგრატ V დიდმა. 1387 წელს, მას შემდეგ, რაც თემურლენგმა ბაგრატ V დაამარცხა და ტყვედ წაიყვანა ალექსანდრემ მეფედ გამოაცხადა თავი. ამის შემდეგ იცოცხლა ორი წელიწადი და აღესრულა 1389 წელს.

ბიორგი I შუათანა ძე ბაგრატ I ერისთავისა, იმერეთის მეფე 1389-1392 წლებში. არავინ ცნობდა მის მეფობას არც საქართველოს მეფე ბაგრატ V, არც ამის ძე გიორგი ბატონიშვილი, არც დასავლეთ საქართველოს მთავრები. 1392 წელს ოდიშის მთავარს, ვამეყ I დადიანს შეებრძოლა, დამარცხდა თვითონაც ბრძოლაში დაიღუპა.

ბაბრატ II - იხ. ბაგრატ VI, - „ერთიანი საქართველოს მეფენი“.

კონსტანტინე II იხ. კონსტანტინე II, „ერთიანი საქართველოს მეფენი“.

ალექსანდრე II ძე ბაგრატ II (VI)-ისა, იმერეთის მეფე 1484-1510 წლებში. მის გამეფებას ეწინააღმდეგებოდნენ საქართველოს მთავრები: დადიანი, შარვაშიძე, გურიელი, გელოვანი. ქართლის მეფე კონსტანტინე II-მ წაართვა იმერეთის ტახტი. მაგრამ ალექსანდრემ, რაჭველთა-დახმარებით, დაიპყრო და განიმტკიცა

ქუთათისის ტახტიც, 1509 წელს თვითონ გადაიჭრა ქართლში, გორი აიღო და ქართლის სრულ დაპყრობასაც დაეპირა. მაგრამ იმავე წელს, სამცხის გამოვლით, დასავლეთ საქართველოს შემოესივნენ ოსმალები, ქუთათისი აიღეს და ააოხრეს, ბაგრატის და გელათის ტაძრები გაძარცვეს და ცეცხლს მისცეს. ალექსანდრემ ქართლს თავი მიანება და დაქცეულ იმერეთს გადმოვიდა. 1510 წელს გარდაიცვალა. დარჩა ქვრივი დედოფალი თამარი და სამი ძე ბაგრატი, დავითი და დავითი.

ბაბრატ III – ალექსანდრე II-ის უფროსი ძე, იმერეთის მეფე 1510-1565 წლებში. დიდი მტრობა ჰქონდა სამცხის ათაბაგებთან ჯერ, მზეჭაბუკთან, მერე ყვარყვარე III-სთან. ბოლოს, ბაგრატმა მოირთო ლევან I დადიანი, როსტომ გურიელი და ერთიანი ძალებით გაეშურნენ ყვარყვარე ათაბაგის დასასჯელად. ბრძოლა მოხდა 1535 წლის 12 აგვისტოს, მურჯახეთთან (ჯავახეთში). ათაბაგი დამარცხდა და ტყვედ ჩავარდა. ბაგრატმა სამცხე იმერეთს შემოუერთა. ამ „შეკრთებამ" მხოლოდ ათი წელიწადი (1535-1545) გაძლო. ოსმალეთი სამცხის დაკარგვას არ შეურიგა და 1543 წელს, სულეიმან სულთანმა მუსა (მუსტაფა) ფაშა გამოგზავნა 22000 იანიჩარით, იმერეთის დასასჯელად და სამცხის კვლავ მისატაცებლად. ბაგრატი მტრის შემოსევას მზად შეხვდა, როსტომ გურიელი აიყოლია, ზეკარი გადალახა. სამცხეს გადაეიდა და, ქარალაქთან გამართულ ბრძოლაში, ოსმალთა არმია სასტიკად დაამარცხა, თვითონ მუსა ფაშა ბრძოლაში დაიღუპა. 1545 წელს, განრისხებულმა სულეიმან სულთანმა ახალი, ორჯერ ძლიერი არმია გამოგზავნა, დიარბექირისა და არზრუმის ფაშების სარდლობით. ერთად დაიძრნენ მრისხანე მტერთან შესახვედრად ბაგრატ იმერთა მეფე, როსტომ გურიელი, ლუარსაბ I ქართლის მეფე; სამცხეს გადავიდნენ და იქაური მაჰმადიშვილებიც შეიერთეს. ბრძოლა მოხდა ბასიანში, სოხოისტას ველზე, 1545 წელს. ქართველები დამარცხდნენ. სამცხე კვლავ ოსმალეთის საბატონო

საბანებში მოექცა. ბაგრატი მარცხს არ შეურიგდა და მიმდევნო წელს ისევ ილაშქრა საქრეთში. თუმცა სამცხე ვერ დაიბრუნა, მაგრამ აწყურიდან სახელგანთქმული ღვთისმშობლის ხატი მაინც გაიტაცა და ქუთათისს გადმოასვენა. 1548 წელს ბაგრატ მეფემ განდგომილი ლევან დადიანი შეიპყრო და გელათის სამრეკლოში გამოჰკეტა. მაგრამ ორ წელიწადში, ქაიხოსრო ათაბაგისა და როსტომ გურიელის მცდელობით, ლევან დადიანმა ტყვეობიდანაც თავი დაიხსნა და თავის საბატონო ოდიშის სამთავროსაც უვნებლად დაეპატრონა. 1554 წელს ქართლს შაჰ თამაზი შემოესია. ქართლის მეფე ლუარსაბ I თავის სიმამრს, ბაგრატ III-ეს შეეხიზნა. შაჰ თამაზმა ბაგრატს ლუარსაბის გაცემა მოსთხოვა. ბაგრატმა ცივი უარით უპასუხა. ლუარსაბი მალე თვითონ გაბრუნდა ქართლს, შაჰ თამაზთან საომრად. ბაგრატ მეფემ, დადიანისა და გურიელის სამეტო�eod, რაჭის მოშლილი სამთავრო აღადგინა, ჩხეტიძეების ერისთავობით. აქაოთან, ეკლესია აამაღლა და გაამძლავრა. მეფემ იმერეთი სამ საეპისკოპოსოდ დაჰყო და სამივეს სათავეში თავისი ერთგული სამღვდელოები ჩაუყენა: გელათში – მელქისედეკ საყვარელიძე, ხონში – მანიელ ჩხეტიძე, ნიკორწმინდაში – იოაკიმე. ბაგრატს მხარში უდგა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) კათალიკოსი მალაქია აბაშიძე. ბაგრატ III-ძ სცადა დასავლეთ საქართველოში ყველაზე სამარცხვინო და ტრაგიკული მოვლენის, „ტყვეთა სყიდვის“ მოსპობა. საგანგებო თათბირიც შეჰყარა, საგანგებო დადგენილებაც მიიღო, მაგრამ მალე ეს „დადგენილება“ დავიწყებას მიეცა და ტყვეთა სყიდვა კვლავ გრძელდებოდა. 1565 წელს ბაგრატ III გარდაიცვალა. დაიკრძალა გელათს. დარჩა ორი ძე – გიორგი და კონსტანტინე.

გიორგი II – უფროსი ძე ბაგრატ III-ისა, იმერეთის მეფე 1565-1586 წლებში. ჯერ, ახალ გამეფებულს ოდიშისა და გურიის მთავრებთან მშვიდობა ჰქონდა. ბაგრატ III-ის მიერ აწყურიდან მოტაცებული ღვთისმშობლის ხატიც აწყურს დაუბრუნა. მალე კვლავ

აიშალნენ მეფე-მთავარნი. ლევან I დადიანმა და ჯავახ ჭილაძემ განიზრახეს, გიორგი ტახტიდან ჩამოეგდოთ და ნაცვლად მისი ბიძაშვილი ხოსრო ვახტანგის ძე გაემეფებინათ. გიორგი შემთხვევით გადარჩა ოჯახიანად ამოწყვეტას. 1568 წელს, სოფელ იანეთთან, მოხდა ბრძოლა, სადაც გიორგიმ მოწინააღმდეგენი დაამარცხა და ჭილაძეთა საბატონო საჯავახოც დაიპყრო, ჯავახ ჭილაძე მოაკვლევინა. მაგრამ დადიანი და გურიელი გაერთიანდნენ, საჯავახო-საჭილაოდან მეფე გიორგი გამოდევნეს და თვითონ გაინაწილეს. 1578 წელს ლალა ფაშა შემოიჭრა საქართველოში, დიდი ოსმალური არმიებით. მიუხედავად იმისა, რომ იმერეთი ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, გიორგი მეფემ ლალა ფაშასგან გამოგზავნილი წერილი მაინც არაფრად ჩააგდო და უპასუხოდაც დატოვა. ლალა ფაშამ ჯარი აფრინა იმერეთისკენ. ლიხის მთასთან მომხდარ ბრძოლაში, იმერლებმა სასტიკად დაამარცხეს და უკუაქციეს ოსმალნი. 1586 წელს გარდაიცვალა მეფე გიორგი II. დარჩა ქვრივი რუსუდანი (ჩერქეზთა ბატონის ასული) და ორი ვაჟი – ბაგრატი და ლევანი.

ლევანი უმცროსი ძე გიორგი II-ისა, იმერეთის მეფე 1586-1590 წლებში. დაიბადა 1574 წელს. გამეფდა მამის სიკვდილის შემდეგ, 12 წლისა. ბიძამისმა კონსტანტინემ, თავისი ძე როსტომით, ციხიდან თავის დაღწევა მოახერხა. მცირეწლოვანი მეფე-ძმისწული არაფრად ჩააგდო, აჯანყდა და „თავის სამეფოდ“ დაიპყრო სკანდა, კაცხი და არგვეთი. ლევანმა ცოლად შეირთო მამია დადიანის ასული, მარეხი. დამოყვრებული ოდიშის მთავრის ჯარი შემოიერთა ლევანმა, კონსტანტინეს მიუხტა და უკანვე წაართვა მიტაცებული მიწები. 1588 წელს ქართლის მეფე სვიმონ I გადმოიჭრა იმერეთის დასაპყრობად. გაიმარჯვა გოფანთოსთან გამართულ ბრძოლაში. ლევან მეფე ლეჩხუმს გაიქცა. სვიმონმა ქუთაისი აიღო და იმერეთი ქართლთან შეერთებულად გამოაცხადა. მაგრამ რიგორც კი სვიმონი ქართლს გაბრუნდა, ლევანიც ლეჩხუმიდან მობრუნდა და ისევ დაჯდა

ქუთათისის ტახტზე. იმავე ჟამს ლევანმა თავისი სიმამარის, შამია დადიანის შეპყრობაც გადაწყვიტა. დადიანმა დაასწრო, ქუთათისს დაესხა, ლევან მეფე დაამარცხა, შეიპყრო, ბორკილებიც გაუყარა და შხეფის ციხეში ჩააგდო. ეს მოხდა 1590 წელს. იმავე წელს ლევანი მოკვდა იმავე ციხეში.

როსტომი — ძე კონსტანტინე ბატონიშვილისა, ძმისწული გიორგი II-ისა, იმერეთის მეფე 1590-1605 წლებში. ბიძამისმა, მეფე გიორგი II-ემ, მამამის კონსტანტინესთან ერთად, ციხეში ჩააგდო. გიორგის სიკვდილისთანავე, მამა-შვილი ციხიდან გამოვიდა. ახალ მეფეს, ლევანს, ებრძოდნენ ამაოდ. ლევანის სიკვდილის შემდგომ კი, 1590 წელს, შამია დადიანის დახმარებით, როსტომმა იმერეთის ტახტი დაიჭირა. მაგრამ იმავე წელს გიორგი II გურიელმა ოსმალებს მოუწოდა და მათი დახმარებით, როსტომი ტახტიდან გადააგდო, მის ნაცვლად ლევან მეფის ძმისწული, ბაგრატ თეიმურაზის ძე დასვა. როსტომი ოდიშს გაიქცა და მანუჩარ დადიანს შეაფარა თავი. იმავე 1590 წელს, მეორედ გადავიდა სვიმონ ქართლის მეფე იმერეთს, ისევ დაეუფლა ქუთათისს, ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო და თან წაიყვანა ქართლში. სვიმონი რომ წასულად დაიგულა, მანუჩარ დადიანმა მასთან შეხიზნული როსტომი სასწრაფოდ ქუთათისს მიიყვანა და ისევ აიყვანა იმერეთის ტახტზე. იმავე წელს მესამედ წარემართა სვიმონ მეფე იმერეთის ქართლთან შესაერთებლად. მაგრამ, ოფშკვითთან გამართულ ბრძოლაში, იგი დამარცხდა და ქართლ-იმერეთის გაერთიანების ეს ცდაც ჩაიშალა. იმერეთის ტახტზე მეფედ როსტომი დარჩა, სიკვდილამდე. ხოლო, აღესრულა იგი 1605 წელს.

გიორგი III — ძე კონსტანტინე ბატონიშვილისა, ძმა როსტომ მეფისა, იმერეთის მეფე 1605-1639 წლებში. 1614 წელს შაჰ აბასისგან დევნილი ქართლისა და კახეთის მეფენი, ლუარსაბ II და თეიმურაზ I შეიფარა, შაჰის მოთხოვნას ანგარიში არ გაუწია და შეხიზნულნი არ გასცა. გიორგი მეფეს კავშირი ჰქონდა გიორგი სააკაძესთან.

სააკაძე ჰპირდებოდა, რომ მომავალი გაერთიანებული საქართველოს ტახტზე მის შვილს, ალექსანდრეს აიყვანდა. 1626 წელს, ბაზალეთის ძმათამკვლელ ომში, გიორგი III-ემ სააკაძეს იმერთა ლაშქარი მიაშველა. სააკაძის საბოლოო მარცხის შემდეგ, ისევ თეიმურაზ I-ს დაუახლოვდა და ბოლოს დაუმოყვრდა კიდეც: გიორგის ვაჟმა, ალექსანდრე ბატონიშვილმა ცოლად შეირთო თეიმურაზ I-ის ასული, დარეჯანი (ზურაბ ერისთავის ქვრივი). გიორგი III გაუთავებელი და თითქმის მუდამ მარცხიანი ბრძოლები ჰქონდა ოდიშის მთავარ ლევან II დადიანთან. განსაკუთრებით მძიმე მარცხი განიცადა კოჭორაულთან გამართულ ბრძოლაში, 1623 წელს. ბოლოს ტყვედაც ჩაიგდო დადიანმა იმერთა მეფე და ალექსანდრე ბატონიშვილმა, დიდძალი გამოსასყიდით, ძლივს დაიხსნა მამა სამარცხვინო ტყვეობისგან. 1639 წელს გიორგი III გარდაიცვალა. დაკრძალეს გელათს. დარჩა სამი ძე – ალექსანდრე, მამუკა და ბერი.

ალექსანდრე III – უფროსი ძე გიორგი III-ისა, იმერეთის მეფე 1639-1660 წლებში. მამის მსგავსად, თვითონაც გამუდმებული შინაფეოდალური ბრძოლებით იყო დაკავებული. მისი სიმამრის, თეიმურაზი I-ის გავლენით, ალექსანდრემ რუსეთთან კავშირის გაბმა გადაწყვიტა და 1649 წელს გაგზავნა ელჩებიც (ივანე გრიგოლაშვილი, პახომი, დავითი და ვასილი) მოსკოვს, მეფე ალექსი რომანოვთან. საპასუხოდ, რუსი ელჩებიც (ტოლოჩანოვი და ივლიევი) ჩამოვიდნენ საქართველოში (1650 წ.). მომდევნო 1651 წელს, 9 ოქტომბერს, ალექსანდრე III-ემ ხელი მოაწერა რუსეთის „ერთგულების ფიცს“. ქვეყნის შიგნით ალექსანდრეს განუწყვეტელი ომი ჰქონდა დადიანებთან, ჯერ ლევან II-ესთან, ლევანის სიკვდილის შემდეგ, კი ლიპარიტთან. 1658 წელს ალექსანდრემ ლიპარიტ დადიანი დაამარცხა და მის ნაცვლად ოდიშის სამთავროს ტახტზე თავისი კაცი, ვამეყ დადიანი დასვა. იმერეთის მეფემ გურიაც „გაითავისა“, იქაც თავისი მომხრე დემეტრე გურიელი დასვა მთავრად. გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე III 1660 წელს. დაკრძალეს გელათს.

ბაბრატ IV ძე ალექსანდრე III-ისა, თამარ გურიელის ასულისაგან, იმერეთის მეფე 1660-1661, 1663-1665, 1666-1678 და 1679-1681 წლებში. ტახტზე ასვლისას 43-44 წლის კაცი იყო, მაგრამ მეფობისთვის მაინც უმწიფარი, უნებო, ყველაფრისადმი გულგრილი და უმოქმედო. დედინაცვალმა, მტკიცე და მბრძანებლური ბუნების დედოფალმა დარეჯანმა (თეიმურაზ I-ის ასული და ზურაბ ერისთავის საცოლარი), გერი თავიდანვე თავის გავლენის ქვეშ მოიქცია, ცოლად თავისი ძმისწული (დავით ბატონიშვილის ასული) ქეთევანი შერთო. გერი და დედინაცვალი მალე წაიჩხუბნენ. აჯობა დარეჯანმა: ბაგრატი ტახტიდან ჩამოაგდო, თვალები დასთხარა და უსინათლოს ცოლიც წაჰგვარა (1661 წ.). მაშინვე დარეჯანმა ქმარიც „იშოვნა" და შეირთო - ვახტანგ ჭუჭუნაშვილი, სისხლით ბაგრატიონთა ნაიესაეი. მაგრამ დასავლეთ საქართველოს ფეოდალებმა, ვამეყ დადიანისა და პაატა აბაშიძის მეთაურობით, ვიგინდარა ჭუჭუნაშვილი არ გაიმეფეს, ჩამოაგდეს და თვალები დასთხარეს. დარეჯანი, ქეთევანი და უსინათლო ჭუჭუნაშვილი სამცხეში გადაიხვეწნენ. დასავლეთ საქართველოს საქმეებში მაშინ ქართლის მეფე ვახტანგ V-ეც ჩაერია. მან იმერეთის ტახტზე თავისი შვილი არჩილი აიყვანა, მაგრამ არჩილ II-ის მეფობაც ფრიად ეფემერული (1661-1663 წწ.) გამოდგა. იგი ოსმალეთის სულთანის მოთხოვნით მოაცილეს ქუთათისს. იმერეთის ტახტზე ისევ უსინათლო ბაგრატ IV ავიდა 1663 წელს. ორი წელიწადი ძლივს გავიდა ბაგრატის კვლავგამეფებიდან და დარეჯანმა და მისმა ბრმა ქმარმა, ვახტანგ ჭუჭუნაშვილმა ახალციხიდან ოსმალთა ჯარი გადმოიყვანეს. ბაგრატ IV ქართლში გაიქცა. ტახტი დარეჯანმა და ჭუჭუნაშვილმა დაიჭირეს (1665 წ.). მომდევნო 1666 წელს, დარეჯანი და ჭუჭუნაშვილი შეთქმულებმა ამოხოცეს და ქუთათისის ტახტზე დემეტრე გურიელი მოიწვიეს. სულ მალე დემეტრეც შეთქმულებმა ჩამოაგდეს, თვალები დათხარეს, გაამეეეს და მეფედ ისევ ბაგრატ IV აღადგინეს (1666 წ.). იმავე წელს, სახლთუხუცესმა სეხნია ჩხეიძემ

ქუთაითისის ციხე „მოიპარა“ და შიგ ოსმალთა ციხეონი შეუშვა. მაგრამ იმერელმა პატრიოტებმა, ბექან ლორთქიფანიძის მეთაურობით, ციხეზე თავდასხმა მოაწყვეს, ოსმალთა ციხეონი აძოწყვიტეს და გათავისუფლებული ქალაქი ისევ ბაგრატს მიართეს. 1669 წელს, სეხნია ჩხეიძემ ისევ მოახერხა ქუთაითაისის ციხეში ოსმალთა გარნიზონის შეყენება. ჩხეიძემ ლევან III დადიანი მოიმხრო და ბაგრატის ხელახალი ჩამოგდება და მოსპობა სცადა. ბრძოლა მოხდა 1669 წელს, სოფელ ჩხართან. ბაგრატმა გაიმარჯვა, სეხნია ჩხეიძე ბრძოლაში დაიღუპა. კიდევ მოუხდა ბრძოლების გადახდა ბაგრატს, ცალკე დადიანთან და ცალკე გურიელთან. დადიანზე გაიმარჯვა, მაგრამ გიორგი გურიელმა ბაგრატი დაამარცხა, შეიპყრო და ახალციხეში ასლან ფაშას მიართვა. ბაგრატმა ასლან ფაშას ქრთამი და შძეველად თავისი ძე, ალექსანდრე მისცა და იმერეთის ტახტი ისევ დაიბრუნა. 1678 წელს, არჩილ II-ეს კვლავაც „მიერონენ ყოველნი იმერნი და დადიანი ლევან“ და აიყვანეს იგი ქუთაითისის ტახტზე. თუმცა მომდევნო 1679 წელს ისევ დაატოვებინეს იმერეთი არჩილს, ისევ ბაგრატ IV-მ დაიჭირა ტახტი, უკვე მეოთხედ და ამჯერად სიკვდილამდე. სიკვდილი კი ბაგრატ IV-ს ეწვია მომდევნო 1681 წელს. დაკრძალეს გელათს.

ვახტანგ ჯუჯუნაშვილი – იხ. აქვე, ბაგრატ IV.

არჩილი – იხ. არჩილ II, – „კახეთის მეფენი“.

დემეტრე გურიელი – იხ. აქვე, ბაგრატ IV.

გიორგი III გურიელი -- ძე ქაიხოსრო გურიელისა, გურიის მთავარი 1664-1684 წლებში, იმერეთის მეფე 1681-1683 წლებში. იყო იგი „კაცი მხნე, შემმართებელი, შეილდოსან-მოასპარეზე რჩეული, ულვთო, მესისხლე და ტყვის მსყიდველი უწყალო“. 1681 წელს ისარგებლა იმით, რომ უფლისწული ალექსანდრე ბაგრატის ძე ქართლში იყო ტყვედ წაყვანილი და თავი გამოაცხადა იმერეთის მეფედ. ცდილობდა ხელთ ეგდო ოდიშიც, მაგრამ ვერაფერს გახდა.

ბოლოს, გურიელის მეფობით უკმაყოფილო იმერელმა თავადებმა, ქართლის მეფისა და ოსმალეთის ხონთქარის მხარდაჭერით, გიორგი გურიელი გააძევეს (1683 წ.) და იმერეთის ტახტზე ალექსანდრე ბაგრატის ძე აიყვანეს.

ალექსანდრე IV - ძე ბაგრატ IV-ისა, იმერეთის მეფე 1683-1690, 1691-1695 წლებში. იგი ბაგრატ მეფეს „ნამალევად“ გაეჩინა ვინმე „ლეჩხუმელი კოჩილას“ ცოლთან. მამამისის სიკვდილის ჟამს, მძევლობაში იყო – ჯერ, ახალციხის ფაშასთან, მერე ქართლის მეფე გიორგი XI-სთან. მათ გიორგი გურიელის მეფობას ისევ ალექსანდრეს ხელმწიფობა არჩიეს და ხონთქრის თანადგომით, გურიელს იმერეთის ტახტი წაართვეს და ალექსანდრეს დაუმტკიცეს. ალექსანდრემ გამეფებისთანავე დაიახლოვა მაშინდელ იმერეთში ყველაზე გავლენიანი თავადი პაატა აბაშიძე, რომელსაც ცოლად შერთო თავისი ნახევარდაი, დარეჯანი. შეიოქვნენ ალექსანდრეს დასამხობად გიორგი III გურიელი, ლევან IV დადიანი და შოშიტა რაჭის ერისთავი. ბრძოლა გაიმართა სოფელ როკითთან, 1684 წელს; ალექსანდრემ გაიმარჯვა. ბრძოლაში დაეცნენ გიორგი გურიელი და შოშიტა ერისთავი, დაიჭრა და მალე ჭრილობისგანვე მოკვდა პაატა აბაშიძეც. 1688 წელს რაჭის საერისთავო დალაშქრა ალექსანდრე მეფემ. 1689 წელს, ქართლის მეფე გიორგი XI-სა და ირანის შაჰს შორის ჩამოვარდნილ მტრობაში, ალექსანდრე ირანის მხარეზე დადგა. ეს კი ქართველებსაც აღიზიანებდა და ოსმალებსაც. 1690 წელს არჩილი ოსმალთა და რაჭველთა ჯარით ქუთათისს გადავიდა და იმერეთის ტახტი მესამედ დაიჭირა. ალექსანდრე ქართლს გაიქცა, გიორგი XI-ის მეტოქე ერეკლე I ნაზარ-ალი-ხანთან. იმავე წელს სცადა ალექსანდრემ დაკარგული ტახტის დაბრუნება, მაგრამ, სოფელ გოდოგანთან გამართულ ბრძოლაში, დამარცხდა და ისევ გაიქცა ერეკლე I-თან თავშესაფარად. ქართლიდან ახალციხეს გადავიდა, სალიმ ფაშას ქრთამი მისცა, ოსმალთა ჯარით ქუთათისს გადმოვიდა

და ისევ წაართვა „მისი კუთვნილი“ ტახტი არჩილს (1691 წ.). არ დაიშალა გიორგი XI-ის მტრობა და, იმერელ თავადთა ნების წინააღმდეგ, ქართლზე ლაშქრობაც მოაწყო, ალი აიღო, გაძარცვა, მოტყვევნა და გამობრუნდა. აუჯანყდნენ თავადები, დაეცნენ სკანდაში მყოფს, შეიპყრეს და გიორგი XI-ეს მიჰგვარეს რუისში. გიორგის ბრძანებით იგი დაახრჩვეს და იქვე ეკლესიაში დაშარხეს (1695 წ.).

გიორგი IV გოჩია – იმერეთის მეფე 1696 წელს. თუმცა იყო „ბაგრატიონთა ნათესავი“, მაგრამ იმერეთის ტახტზე სრულიად შემთხვევით მოხვდა. იგი მაშინდელი იმერეთის ყველაზე გავლენიანმა თავადმა, გიორგი აბაშიძემ სიძედ გაიხადა და სამეფო ტახტზეც იმან დასვა. იყო უვიცი (არაფერი გაეგებოდა „თვინიერ გლეხთა მუშაკობისა“), ართვალი, ხეიბარი, ქონდრის კაცი, და „გოჩიაც“ ამისთვის შეერქმიათ. ერთი წლის მერე, 1697 წელს, გიორგი-გოჩია თავადებმა „ძალლივით გაისროლეს“ სასახლიდან და იმერეთის მეფედ ისევ არჩილი მოიყვანეს.

სვიმონი – ძე ალექსანდრე IV-ისა, იმერეთის მეფე 1698-1701 წლებში. იგი ქართლის ხიზნობაში იზრდებოდა, ერეკლე I-ის კარზე. 1698 წელს ოსმალებმა იმერეთში მეხუთედ გამეფებული არჩილი მეხუთედ განდევნეს და მის ნაცვლად იმერეთის ტახტის „კანონიერი ტახტის მემკვიდრე“ სვიმონი გაამეფეს. თავადთა შორის ისევ გიორგი აბაშიძე პირველობდა და მან თავისი ასული, ანიკა, ცოლად შერთო ახალ მეფეს. სვიმონი ყოველმხრივ უნიათო საჭეთმპყრობელი აღმოჩნდა; ოჯახურ ჭინჭყლსაც თავი ვერ გაართვა. აუხირდა ცოლისდა თამარი (მამამისის, ალექსანდრე IV-ის ნაცოლარი), სიმამრიც კრიჭაში ჩაუდგა, მეფე კი ქართლში გაიქცა. მამია III გურიელი გიორგი აბაშიძის აღზევებას არ შეურიგდა. მოიხმო ახალციხის ფაშა და მისი დახმარებით სვიმონი ქუთათისის ტახტზე მოაბრუნა. თანაც, სვიმონს მამიამ თავისი დაი შერთო ცოლად. გიორგი აბაშიძემ სვიმონის მტრობა მაინც არ დაიშალა, თვითონ მამია გურიელს მეფობა ალუთქვა და სიძე მოაკვლევინა (1701 წ.).

გიორგი V აბაშიძე - პაატას ძე, იმერეთის მეფე 1701-1703 წლებში. თავიდან სასულიერო მოწესე იყო მალაქია ბერის სახელით. მერე ბერობას თავი დაანება და „ნაბერალმა“ იმერეთის თავადთა შორის ყველაზე გაბერილიანი პოლიტიკოსის მდგომარეობა დაიმკვიდრა. 1701 წელს მამია III გურიელს ძისივე სიძე, სვიმონ მეფე მოაკვლევინა და იმერეთის ტახტზე მამია აიყვანა. მაგრამ იმავე წელს აიძულა მამია ტახტი მიუტოვებინა და იმერეთის ტახტზე თვითონ დაჯდა. ორი წელწადი იმეფა, უფრო ღირსეულადაც, ვიდრე მისი თანამედროვე იმერელი მეფუკები. ქვეყანა შეკრა და შეამტკიცა, ციხეები გაამაგრა, ოსმალეთს ხარკის გადახდა შეუწყვიტა. 1703 წელს 80000-იანი ოსმალური არმია შემოესია იმერეთს. ამ „დიდ თურქობას“ ქართველები მედგრად დახვდნენ, მაგრამ რიცხობრივმა სიმრავლემ თავისი გაიტანა და გიორგი აბაშიძეც იძულებული გახდა იმერეთის ტახტზე უარი ეთქვა ალექსანდრე IV-ის ძის, გიორგი VI-ის სასარგებლოდ.

მამია III გურიელი -- ძე გიორგი III გურიელისა, გურიის მთავარი 1689-1711 წლებში, იმერეთის მეფე 1701, 1711 და 1713 წლებში. მამია გიორგი აბაშიძის პირველობას ვერ ურიგდებოდა, ქართლში გაქცეული სვიმონ ალექსანდრეს ძე, ოსმალთა დახმარებით, უკანვე, იმერეთის ტახტზე დააბრუნა და ცოლად თავისი დაი შერთო. გიორგი აბაშიძემ მაინც აცდუნა იგი. იმერეთის მეფობის აღთქმით, საკუთარი სიძე-მეფე მოაკვლევინა 1701 წლის დამდეგს. თვითონ კი დაიდგა თავზე იმერეთის სამეფო გვირგვინი, მაგრამ გიორგი აბაშიძისა და სხვა თავადთა „თვითნებობას“ ვერ გაუძლო, იმავე წელს მეფობას თავი მიანება და გურიის მთავრობას დაუბრუნდა. იმერეთის ტახტი გიორგი აბაშიძემ დაისაკუთრა და ორი წლით (1701-1702) შეინარჩუნა. ამის შემდეგ რვა წელიწადი (1703-1711) გიორგი VI-ემ იმეფა იმერეთში. 1711 წელს კი, თავადებმა გიორგი VI დაამხეს და ისევ მამია გურიელი გაამეფეს. გიორგი ტახტის დაკარგვას არ შეურიგდა. 1712 წელს,

ჩხართან გამართულ ბრძოლაში, გაიმარჯვა და იმერეთის ტახტ-გვირგვინი კვლავ მოიპოვა. მაგრამ ერთხელ კიდევ შესძლო მამიამ იმერეთის ტახტის მოპოვება. 1713 წელს, ოკრიბასთან გამართულ ბრძოლაში, თავადებმა გიორგი VI ისევ დაამარცხეს, გააქციეს და იმერეთის მეფედ ისევ მამია გურიელი გამოაცხადეს. ამის შემდგომ იგი მალე გარდაიცვალა – 1714 წლის 5 იანვარს. დაკრძალეს შემოქმედში, გურიის მთავართა საძვალეში.

გიორგი VI – ძე ალექსანდრე IV-ისა, უმცროსი ძმა სვიმონისა, იმერეთის მეფე 1703-1711, 1713, 1714-1716 და 1718-1720 წლებში. იგი ჯერ ქართლის ხიზნობაში იყო, ერეკლე I-თან თავშეფარებული, მერე ახალციხეს გადავიდა და ისაყ ფაშას შეეფარა. 1703 წელს, იმერეთში შეჭრილმა ოსმალებმა გიორგი აბაშიძე დაამხეს და ქუთათისის ტახტზე გიორგი ალექსანდრეს ძე დასვეს. ეს მეფუკა მულმივ სიკვდილის შიშში იყო და ამიტომ ქუთათისის ციხეში შეიკეტა, „უკეთესი ამინდების“ მოლოდინში. „ამინდიც“ დაუდგა, როცა თავადებს შორის ჩუულებრივი უთანხმოება გამწვავდა, იმერეთის საქმეებში ქართლის ჯანიშინი ვახტანგიც ჩაერია და ჯერ ისევ ძლიერი გიორგი აბაშიძე დააკნინეს. 1709 წელს გიორგი მეფემ, ფარცხანაყანევთან მომხდარ ბრძოლაში გაიმარჯვა და მდგომარეობა ერთხანს განიმტკიცა. მაგრამ ბოლოს, 1711 წელს, იმერეთის, საქეგრელოს და გურიის მესვეურებმა გიორგი VI დამხობილად გამოაცხადეს და მის ნაცვლად მამია გურიელი გაამეფეს. გიორგი ქართლში გაიქცა, ვახტანგ ჯანიშინთან. იქიდან კი ახალციხეს მივიდა, ისევ ისაყ ფაშასთან. ახალციხიდან მან დასავლეთ საქართველოს თავადთა ნაწილი მიიმხრო, იმერეთშიც გადმოვიდა და ჩხართან გამართულ ბრძოლაში გაიმარჯვა (1713 წ.), ისევ ავიდა ტახტზე, მაგრამ იმავე წელს, ოკრიბის ბრძოლაში ისევ დამარცხდა და გაიქცა ტფილისს. მესამედ ავიდა იმერეთის ტახტზე მამია III გურიელი, თუმცა მალე გარდაიცვალა (1714 წლის 5 იანვარს). მაშინ

გიორგი VI დაბრუნდა იმერეთის ტახტზე, ამჯერად ორი წელიწადი (1714-1716) ერგო მეფობა გიორგის. 1716 წელს, თავადთა მოქრთამვა-მოწვევით, ახალციხიდან ასლან ფაშა შემოვიდა იმერეთს ოსმალთა მხედრობით. სიმონეთთან გამართულ ბრძოლაში, გიორგი VI დამარცხდა და ისევ ქართლში გაიქცა. იმერეთის ტახტზე გამარჯვებულებმა გიორგი III გურიელი გამოაცხადეს. გიორგი მეფედყოფილმა კი ქართლიდან ახალციხეში გადაინაცვლა, ახალციხიდან – სტამბოლში. ბოლოს, ხონთქარის (აჰმედ III) ფირმანით და ოსმალთა ჯარით, მეოთხედ დაიბრუნა იმერეთის მეფობა (1718 წ.). ორი წლის შემდეგ, 1720 წელს, თევდორობის დღეს, ოხემლის ციხეში (ბაღდადი) ნადიმობის დროს, შეთქმულებმა მოკლეს. დაკრძალეს გელათს. დარჩა სამი ძე – ალექსანდრე, მამუკა და გიორგი.

გიორგი IV გურიელი – იხ. აქვე, გიორგი VI.

ალექსანდრე V – ძე გიორგი VI-ისა (როდამის, გიორგი XI-ის ასულისაგან), იმერეთის მეფე 1720-1740 და 1741-1752 წლებში. მამამისის მკვლელობის დროს, ალექსანდრე ქართლის მეფის, ვახტანგ VI-ის კარზე იყო. ვახტანგს და ახალციხის ფაშას, ისაყს, ერთად სურდათ ალექსანდრეს გამეფება იმერეთში. ისაყ ფაშამ ოსმალთა და მესხთა ჯარით შემოიყვანა დასავლეთ საქართველოში ალექსანდრე. ბეჟან დადიანმა და ზურაბ აბაშიძემ წინააღმდეგობა სცადეს, მაგრამ სისხლი ამაოდ დაიქცა. 1720 წელს იმერეთის ტახტზე უკვე იჯდა ალექსანდრე V. მისი დრო თურქ-ოსმალთა დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული გამძლავრებისა და გავრცელების დროდ იქცა. გრძელდებოდა ყველაზე სამარცხვინო ტრაგედია ქართველთა შორის – ტყვეთა სყიდვა. ალექსანდრეს დასამხობად ისევ შეითქვნენ ოტია დადიანი, გრიგოლ რაჭის ერისთავი და ზურაბ აბაშიძე. 1734 წლის იანვარში, ჩიხორთან გამართულ მძიმე ბრძოლაში, გაიმარჯვა ალექსანდრემ, შინა-ბრძოლები კი მაინც არ წყდებოდა. 1741 წელს

დასავლეთ საქართველოში პირველად გაჩნდნენ ლეკი მოთარეშენი. ესეც ალექსანდრე V-ის „დამსახურება“ იყო, სწორედ მან მოიწვია ლეკები ურჩ თანამემამულეთა დასათრგუნავად. იმავე 1741 წელს თავადებმა, ოსმალთა დახმარებით, ალექსანდრე ტახტიდან ჩამოაგდეს და მისი ძმა გიორგი (გიორგი VII) გაამეფეს. მაგრამ იმავე წელს ალექსანდრემ ოსმალებთან შერიგება მოახერხა და მათი დახმარებით ისევ დაიბრუნა იმერეთის მეფობა. 1752 წელს ალექსანდრემ დიდი მკრეხელობაც ჩაიდინა – გელათში დასვენებული განთქმული ხახულის ხატი გაძარცვა. რამდენიმე დღეში მეფე-მძარცველს „წამოსცვივდნენ ორნივე თვალნი“. დაბრმავებული მეფე ერთი თვის თავზე კიდევაც მოკვდა. დაკრძალეს იქვე, გელათს. დარჩა სამი ძე – იოსები, სოლომონი, არჩილი.

ბიორგი VII – იხ. აქვე, ალექსანდრე V.

სოლომონ I დიდი – შუათანა ძე ალექსანდრე V-ისა, დიდი ხელმწიფე საქართველოსი, იმერეთის მეფე 1752-1784 წლებში. დაიბადა 1735 წელს. 17 წლის მეფე დიდის ენერგიით შეუდგა შინაფეოდალური ანარქიითა და ოსმალური უფლით დაცემული ქვეყნის აღდგენასა და განმტკიცებას. მეფემ გააუქმა ხალხის კისერზე დაწოლილი გადასახადები -- საური და საუდიერო, რომელთაგან დიდი წილი ოსმალეთის სასულთნოს მიჰქონდა, დანარჩენი კი ადგილობრივ ფეოდალს, – სოლომონმა ორივე გააუქმა. რაც მთავარია, სოლომონმა, სრული სისასტიკით, აკრძალა ტყვეთა სყიდვა – ყველაზე სამძიმო და სამარცხვინო ბოროტება ქართველი ხალხის ისტორიაში. 1757 წელს ოსმალთა 44000-იანი არმია შემოესია იმერეთს. სოფელ ხრესილთან გამართულ ბრძოლაში სოლომონმა ბრწყინვალედ გამარჯვა. 1758 წელს, გორში, ურთიერთდახმარების კავშირი შეკრეს სოლომონმა, თეიმურაზმა და ერეკლემ („რომელსაც ქვეყანაში მტერი შემოვიდესო, ერთმანეთს მივეშველოთო“). მეფის მტერთაგან პაპამისი, ლევან აბაშიძე, ხრესილის ბრძოლაში დაიღუპა, ხოლო როსტომ

რაჭის ერისთავი კი ღალატს და ოსმალეთთან კავშირს არ იშლიდა. ბოლოს, სოლომონმა როსტომს და მის ვაჟებს თვალები დათხარა და რაჭის საერისთავო გააუქმა. სოლომონიც, ისე როგორც თეიმურაზი და ერეკლე, რუსეთის საიმპერატორო კარს სთხოვდა თავისი სამეფოს „მფარველობაში“ აყვანას. 1769 წელს ეკატერინე II-სგან გამოგზავნილი გენერალი ტოტლებენი იმერეთში შევიდა. მაგრამ ტოტლებენის ჩამოსვლა, არც ერეკლეს და არც სოლომონს გამოსდგომია. 1771 წელს, ტოტლებენის ნაცვლად, გენერალი სუხოტინი მოვიდა იმერეთს, მაგრამ მისი მოსვლაც ქართველებისთვის ამაო და უვარგო აღმოჩნდა. სოლომონი კვლავ მარტო ებრძოდა სამხრეთიდან მოწოლილ მაჰმადიანურ ძალებს. ოსმალთა შემოსევები კი გრძელდებოდა, სოლომონიც წარმატებით იგერიებდა. 1779 წელს სამეგრელოში ჩამოდგნენ თურქ-ოსმალნი. სოლომონი დადიანს მიეშველა და რუხის ციხესთან გამართულ ბრძოლაში ქართველებმა ერთხელ კიდევ სასტიკად დაამარცხეს ოსმალნი. 1784 წელს გურიას შემოესივნენ ოსმალები. ჩავიდა სოლომონი გურიაში. გაიმარჯვა და შეტევა ზღვისპირისკენ, აჭარის გასათავისუფლებლად განავითარა. მაგრამ აქ, ნაჭიმკრევის ვიწრო გასასვლელში ჩასაფრებულმა ოსმალურმა ჯარმა დაამარცხა და უკუაქცია სოლომონი. იმავე 1784 წლის 23 აპრილს სოლომონ მეფე უეცრად გარდაიცვალა. დაიკრძალა გელათს, მთავარ ტაძარში. დიდი სოლომონ I, „იმერთა მეორე აღმაშენებელი“, გამეფდა 17 წლისა, იმეფა და იღვაწა 32 წელიწადი, აღესრულა 49 წლისა. მის ბეჭედზე ეწერა: „ლომებრ მყეფე, მტერთ სისხლ მჩქეფე, იმერთ მეფე – სოლომონ“.

დავით II – ძე გიორგი VII-ისა, ბიძაშვილი სოლომონ I დიდისა, იმერეთის მეფე 1784-1789 წლებში. სოლომონ დიდის სიკვდილისთანავე იმერეთის ტახტისათვის პირისპირ დადგა ორი დავითი – მეფის ბიძაშვილი დავით გიორგის ძე და ძმისშვილი დავით არჩილის ძე. სოლომონის ანდერძით, ტახტზე დავით არჩილის ძე

ურდა ასულიყო, მაგრამ კაცია დადიანის, პაპუნა და ზურაბ წერეთლების, ბერი წულუკიძის მხარდაჭერით, ქუთაითისის ტახტი დავით გიორგის ძემ დაიკავა. გამეფებისთანავე დავით II-ემ რუსეთში ელჩები გაგზავნა და რუსხელმწიფეს მფარველობა და ქვეშევრდომობა სთხოვა. ამით მან ოსმალეთიც გაღაიმტერა და ადგილობრივი თავადებიც. თითქმის ყველასთან, ვინც კი მანამდე მისი მომხრე იყო, მეფემ ურთიერთობა წაიხდინა. ბოლოს და ბოლოს, საქმე სისხლის ღვრამდე მივიდა. 1789 წლის 11 ივლისს, დავით გიორგის ძე და დავით არჩილის ძე, თავთავიანთ მომხრეებით, ერთმანეთს საომრად შეხვდნენ სოფელ მათხოჯთან; დავით გიორგის ძე დამარცხდა და ახალციხეში გაიქცა. იმერეთის ტახტზე დავით არჩილის ძე ავიდა ახალი სახელწოდებით – მეფე სოლომონ II. 1790 წელს დავით II ოსმალთა და ლეკთა ჯარით ქუთაითისს გადმოიჭრა და „ახალ სოლომონს“ ტახტი წაართვა. მაშინ იმერეთის საზოგადოებამ ქართლ-კახეთის მეფეს, ერეკლე II-ეს დელეგაცია გაუგზავნა და მის სამეფოსთან იმერეთის შეერთება სთხოვა. ერეკლემ ამ დიდ, საშამულიშვილო შეთავაზების პასუხად მხოლოდ ის იკმარა, ჯარი გაეგზავნა სოლომონ II-ის დასახმარებლად და ტახტზე აღსადგენად. ამ ჯარით და თავისი მომხრეებით, იმავე 1790 წელს, ლოსიათხევის ბრძოლაში, სოლომონ II-ემ დავით II სასტიკად დაამარცხა და იმერეთის ტახტზეც დაემყარა. დამარცხებულმა დავითმა შერიგება ითხოვა, შეირიგეს, მაგრამ 1794 წელს, ლეკების დახმარებით, ისევ სცადა ტახტის დაბრუნება, მაგრამ დამარცხდა და გადაიხვეწა ახალციხეს. იქვე მოკვდა და დაიმარხა.

სოლომონ II – არჩილის ძე, დიდი სოლომონ I-ის ძმისწული, იმერეთის მეფე 1789-1810 წლებში. საქართველოს უკანასკნელი გვირგვინოსანი. დაიბადა 1772 წელს. სახელად დაერქვა დავითი. იზრდებოდა აღმოსავლეთ საქართველოში, პაპამის ერეკლე მეფესთან (ახალშობილი უფლისწულის დედა, ელენე, მეფე ერეკლე II-ის ასული იყო). სოლომონ I-მაც, რაკი თვითონ ძე არ გაუჩნდა, თავისსავე სიცოცხლეში, იმერეთის ტახტის მემკვიდრედ ძმისწული, დავით

არჩილის ძე გამოაცხადა. მაგრამ ეს ანდერძი არ შესრულდა. სოლომონის გარდაცვალებისთანავე, იმერელმა თავადებმა ტახტზე აიყვანეს მეორე დავითი, სოლომონის ბიძაშვილი. ეს მოხდა 1784 წელს. ხოლო, ხუთი წლის შემდეგ, 1789 წლის 11 ივლისს ორ მეტოქე – დავითს შორის გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა სოფელ მათხოჯთან. დავით არჩილის ძემ გაიმარჯვა და ახალი სახელით – სოლომონ II – ავიდა იმერეთის ტახტზე. დავით გიორგის ძემ კიდეც სცადა რამდენჯერმე ტახტის დაბრუნება, მაგრამ ყველა ცდა მარცხით გათავდა. მეფე სოლომონ II კი ცდილობდა დასავლეთ საქართველოში შინაგან ძალთა კონსოლიდაცია მოეხდინა. ამ დროს საქართველოში უკვე რუსული საიმპერიო მმართველობა მკვიდრდებოდა. უკვე აღარ არსებობდა ქართლ-კახეთის სახელმწიფო. 1804 წელს სოლომონ II იძულებული გახდა ხელი მოეწერა ელაზნაურის ზავისათვის, რომლის ძალით, იგი ცნობდა რუსეთის „მფარველობას“ იმერეთის მიმართ. ტახტის უკვე დაკარგვას არ ურიგდებოდა. 1810 წლის 20 თებერვალს ქუთათისში რუსული ხელისუფლება გამოცხადდა. სოლომონი მოტყუებით ტფილისს წაიყვანეს, მაგრამ იქიდან გამოექცათ და ახალციხეს გადავიდა. ახალციხიდან, იმერეთში ჯერ მოწოდებები გამოგზავნა სრულიად ერის მიმართ, მალე თვითონაც გადმოვიდა და აჯანყება დაიწყო. ჯერ წარმატება ჰქონდა, მაგრამ ბოლოს დამარცხდა და ისევ ახალციხეს გადაიხვეწა. იქიდან ისევ აპირებდა ბრძოლის განახლებას. კავკასიის რუსი მესვეურები სოლომონის მკვლელს ეძებდნენ და ვერ ეპოვნათ (!). ახალციხიდან ტრაპიზონს გადავიდა სოლომონი და ახლა იქიდან აპირებდა შეუძლებელის შეძლებას – „კოალიციის“ შედგენას რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ იქვე, ტრაპიზონს უსწრო სიკვდილმა, 1815 წლის 7 იანვარს. დაკრძალეს იქვე, წმიდა გრიგოლის სახელობის ბერძნული ეკლესიის ეზოში. გამეფდა 17 წლისა, იმეფა 20 წელიწადი, აღესრულა 42 წლისა – სოლომონ II, უკანასკნელი მეფე-გვირგვინოსანი საქართველოსი.

შინაარსი

1. იბერია-ქართლის მეფენი 3
2. ქართლის ერისმთავარნი 16
3. ტაო-კლარჯეთის მეფენი 21
4. ეგრის-აფხაზეთის მეფენი 27
5. ერთიანი საქართველოს მეფენი 35
6. ქართლის მეფენი 73
7. კახეთის მეფენი 105
8. ქართლ-კახეთის მეფენი 120
9. იმერეთის მეფენი 126